საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№28 (499)
31 ივლისი – 6 აგვისტო, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## სარდალი, რომელმაც სიმართლე თქვა

8

## «შტურმში პირადად მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შიდა უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები»

2



«არაერთი მათგანი ამოვიცანი. ჩემს სიტყვებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას»

## ხუთი სასიხარულო ნიშანი: ახლოვდება აშშ-ის ჰეგემონიის დასასრული

13




## დოლარის კუბოში ჩაჭედებული კიდევ ერთი ლურსმანი – დედოლარიზაციის პროცესი შეუქცევადია

10



## რატომ იყო რევოლუციამდელი «რუსთავი 2» გონებაჩლუნგი?

7




## ულტიმატუმის ენით მოლაპარაკე ამერიკული კომპანია და საქართველოს უთავმოყვარეო ხელისუფლება

6

SSA Marine




## «ჩვენ ვეძებთ პატრონს ქვეყნის გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ სულ გავიძახით: «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს»

5



## ლიბერალებმა უკრაინელების არჩევანზე გნიასი ატეხეს

15



## გერმანიის თავდაცვა რა დღეში ჩააგდო და ევროკავშირს რას უზამს?!

14



## სტალინს მხოლოდ დეგენერატები ლანძღავენ

12



სკანდალი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ადამიანებს ჰქონდათ გარკვეული დავალება და, როგორც ჩანს, ისინი ამ დავალების შესაბამისად მოქმედებდნენ... სხვათა შორის, ეს ადამიანები რუსთაველზე შევნიშნე არა მხოლოდ ღამის საათებში, როდესაც უკვე შტურმი ხორციელდებოდა, არამედ მანამდეც, როცა პარლამენტის საშვთა ბიუროსთან მოზღვავებული მასა საკანონმდებლო ორგანოში შეღწევას ცდილობდა. მარტივად რომ ვთქვათ, აშკარა იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელიც ჩავარდა, და მოდი პირდაპირ ვთქვათ: რომ არა გიორგი გახარიას პრინციპული, სწორი გადაწყვეტილებები, ეს სცენარი, ალბათ, განხორციელდებოდა.**

## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# შტურმში პირადად მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შიდა უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები და არაერთი მათგანი ამოვიცანი

**26 ივლისს პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერისა და დამფუძნებლის — ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებამ პოლიტიკურ სპექტრში შექმნილი დაძაბულობა კიდევ უფრო გაამძაფრა. აგრესიული „ოპოზიცია“, „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობით, რომელიც აშკარაა, რომ მთავარ გათვლას არა ხელისუფლების მიმართ ჯანსაღ ოპონირებაზე, არამედ ძალადობრივი გზით ბრძოლასა და არეულობაზე აკეთებს, უკვე საგანგებო რეჟიმშია. რეპრესიები, პოლიტიკური დევნა, დიქტატურა და ტირანია — ასე შეაფასეს სპეციალურ ბრიფინგზე ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმის თავკაცებმა სამართალდამცველების მიერ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის დაკავება, რომელიც 21 ივნისს პარლამენტში ძალადობრივი გზით (პროკურატურის ბრალდება) შეჭრას, შემდეგ კი 2003 წელს ნანახი „კინოს სცენარით“, თავმჯდომარის ჩაის დალევას აპირებდა, თუმცა ამ უმწვავეს შეფასებებთან ერთად ზოგიერთ ლიდერს (მაგალითად, გრიგოლ ვაშაძეს), „ტრადიციისამებრ“, რუსეთისკენ თითის გაშვერაც არ დავიწყებია და განაცხადა, რომ ოქრუაშვილის დაკავება, ისევე, როგორც „რუსთავი 2“-ის საქმე, კრემლიდან ნაკარნახევი პოლიტიკის შედეგია.**

რაც შეეხება ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილ **მიხეილ სააკაშვილს**, ექს-პრეზიდენტმა **ოქრუაშვილის** დაკავებიდან მალევე სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვა გაავრცელა (უკვე მერამდენედ), რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ არსებულ ხელისუფლებასთან სამართლებრივი გზით ბრძოლას აზრი არ აქვს. მისი შეფასებით, „ვინც ყვება ზღაპრებს, რომ „ოპოზიციამ“ კანონის ყველა წესის დაცვით უნდა იმოქმედოს, „ივანიშვილისთვის სასარგებლო იდიოტია“: „არ გამოგივა, ხიხო, არ გამოგივა, „ბეზპრიძელშიკო!“ შენი მმართველობა ძალიან მალე დასრულდება. ძალიან აჩქარებ მოვლენებს და, რახან აჩქარებ, გამოწვევა მიღებულია — ჩვენც დავაჩქარებთ, ჩვენც დაგიძაბავთ, ჩვენც მოგხედავთ სათანადო დონეზე...“ სააკაშვილის შეფასებით, ყველაზე დიდი წარმატება ევროპულ დემოკრატიაში ყოველთვის მოჰყვებოდა კონკრეტული ადამიანების მიერ არსებული წყობილების წინააღმდეგ კონკრეტულ ქმედებებს, თუმცა საზღვარგარეთ მყოფ ექს-პრეზიდენტს არ განუმარტავს, კონკრეტულად როგორ და რა გზით წარმოუდგენია „არსებული წყობილების წინააღმდეგ კონკრეტული ქმედებების“ განხორციელება და რა არის ეს „კონკრეტული ქმედებები“...

**რა სტადიაზეა დღეს თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა და რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს მას უახლოეს მომავალში? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, წინა კვირას სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის — ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებამ გარკვეულწილად გააჩინა განცდა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო წლების წინათ ხალხისთვის მიცემული დაპირების შესრულება სამართლიანობის აღდგენის შესახებ. თქვენი აზრით, რა შედეგები შეიძლება ამას მოჰყვეს ახლო მომავალში?**

— სანამ უშუალოდ ბატონი ოქრუაშვილის პიროვნებას შევეხებოდე, მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება, განსაკუთრებით ის, რაც ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ დაიწყო, არის მოვლენათა ერთი ჯაჭვი, რომელიც უკვე ხელისგულზე დევს. **ეს იყო გარკვეული დასავლური „ნეოლიბერალური“ ძალების პირდაპირი, დაუფარავი მცდელობა, რომ ძველი საარჩევნო სისტემით ჩაეტარებინათ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ამ გზით შეეცვალათ რეჟიმი ქვეყანაში.** მაგრამ მას შემდეგ, რაც 20 ივნისის პროვოკაცია ჩაფლავდა და ვერ შეძლეს პარლამენტის შტურმით აღება, ცხადი შეიქნა, რომ ვერანაირი ჩანაცვლება ერთი რეჟიმისა მეორეთი ვერ მოხდებოდა. ჩანაფიქრი, რომ „ოცნებისთვის“ ერთგვარი პოლიტიკური ბლიცკრიგი ჩაეტარებინათ, ვერ განახორციელეს. შესაბამისად, ამის შემდეგ პროცესი სხვა მიმართულებით წავიდა... სხვათა შორის, **იმ დღეს მხოლოდ ერთმა დეპუტატმა, სალომე სამადაშვილმა, შეძლო პარლამენტში შესასვლელი 83 საშვის დაშვება მოქალაქეებზე და ცხადია, ყველა ეს მოქალაქე პარლამენტში უნდა შეეყვანათ იმისთვის, რომ შერწყმოდნენ შიდასაპარლამენტო დესტრუქციულ ძალებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ ამ პროვოკაციისთვის. ახლა წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთი დეპუტატი თუ შეიყვანდა 83 სამოქალაქო აქტივისტს საკანონმდებლო ორგანოში, შემდგომ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ცხადია, ეს იქნებოდა ფართომასშტაბიანი სასტიკი და სისხლიანი პროცესი, რომელსაც ნებისმიერ შემთხვევაში მოჰყვებოდა უმძიმესი შედეგები.**

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პირველად განვაცხადო თქვენი გაზეთის მეშვეობით ძალიან მნიშვნელოვანი რამ: 20-21 ივნისის იმ სამწუხარო მოვლენების შემდეგ ბევრს საუბრობდნენ და დღესაც საუბრობენ იმაზე, ვინ იდგა ამ პროვოკაციების უკან და ვინ უმაგრებდა ზურგს ძალადობრივ პოლიტიკურ დაჯგუფებებს. შემიძლია დადასტურებულად გითხრათ, რომ **ამ შტურმში პირადად მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შიდა უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები და არაერთი მათგანი ამოვიცანი. მეტსაც გეტყვით: თუ დაინტერესდებიან სპეცსამსახურები, შემიძლია, ამ პიროვნებების სახელები და გვარებიც ვუთხრა, თუმცა ახლა, ბუნებრივია, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ...** საუბარია კონკრეტულად საელჩოს უსაფრთხოების სამსახურის უფროს ოფიცერზე, რომელიც შეერთებული შტატების უნიფორმით დადის. საერთოდ, მოგეხსენებათ, **ამერიკის საელჩოში უსაფრთხოების ორი ზონაა — შიდა და გარე. გარე დაცვას ჩვეულებრივი დაცვის პოლიციის ფორმა აცვია, შიდა დაცვას — ამერიკის სახელმწიფო უნიფორმა. აი, ზუსტად ამ შიდაუსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, ანუ ყველაზე მეტი ნდობით აღჭურვილი პირი თანამზრახველებთან ერთად მონაწილეობდა შტურმში...**

**— ეს ადამიანები სპეციალურად იყვნენ ჩამოყვანილი და ორგანიზებული საელჩოს მიერ?**

— ჩამოყვანილი არა, ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ამ ადამიანებს ჰქონდათ გარკვეული დავალება და, როგორც ჩანს, ისინი ამ დავალების შესაბამისად მოქმედებდნენ... სხვათა შორის, ეს ადამიანები რუსთაველზე შევნიშნე არა მხოლოდ ღამის საათებში, როდესაც უკვე შტურმი ხორციელდებოდა, არამედ მანამდეც, როცა პარლამენტის საშვთა ბიუროსთან მოზღვავებული მასა საკანონმდებლო ორგანოში შეღწევას ცდილობდა. მარტივად რომ ვთქვათ, აშკარა იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელიც ჩავარდა, და მოდი, პირდაპირ ვთქვათ: რომ არა **გიორგი გახარიას** პრინციპული, სწორი გადაწყვეტილებები, ეს სცენარი, ალბათ, განხორციელდებოდა.



**— შეერთებული შტატების საელჩო ეხმარებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ პროვოკაციის განხორციელებაში თუ, უბრალოდ, კონკრეტული თანამშრომლები აქციაზე თავიანთი ინიციატივით მივიდნენ, როგორ ფიქრობთ?**

— როდესაც პოლიტიკასა და პოლიტიკურ პროცესებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რაც ზედაპირზე დევს და ყველა ხედავს, არამედ ის, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს და ანალიზს საჭიროებს. ჩემი აზრით, როდესაც შესაბამის სამსახურებს აქვთ საშუალება, დადასტურებულად, ასპროცენტიანი მტკიცებულებების დონეზე მიიღონ ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შიდაუსაფრთხოების ოფიცერთა შემადგენლობა — საქართველოს მოქალაქეები — საკანონმდებლო ორგანოს შტურმში მონაწილეობდნენ, სულ ცოტა, უშიშროების სამსახური ამ პირთა ვინაობით მაინც უნდა დაინტერესდეს. მე, ჩემი მხრიდან, კიდევ ვიმეორებ, **რომ ჩემს სიტყვებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას და მზად ვარ, ნებისმიერ დროს მივაწოდო ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს.**

**«ჩემს სიტყვებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას და მზად ვარ, ნებისმიერ დროს მივაწოდო ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს»**



რაც შეეხება უშუალოდ **ირაკლი ოქრუაშვილსა** და მის დაკავებას, მესმის, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არის სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი; მესმის, რომ ზოგს შეიძლება გაუჩნდა ეს განცდა, მაგრამ მოდი, ობიექტურად შევხედოთ მოვლენებს: **ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე და მისი მინისტრობის პერიოდში მოხდა მკვლელობებიც... რომელიმე მათგანზე ჩატარდა რეალურად ობიექტური, სამართლიანი გამოძიება? სანამ ამ საქმეების შესწავლა არ მოხდება და დამნაშავეები პასუხს არ აგებენ, შეიძლება, სამართლიანობის აღდგენის პროცესზე ვისაუბროთ?!**

**— ოქრუაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მოხდა ბუტა რობაქიძის მკვლელობა, შემდეგ — საქმის „შეკერვა“ და გაყალბება... მისი მინისტრობის პერიოდში მოხდა შეჭრა სამაჩაბლოში, რომელიც ჩვენი შეიარაღებული ძალების სრული კრახითა და 50-მდე პოლიციელის ტყვედ ჩავარდნით დასრულდა... ამ ყველაფერზეც უნდა დაწყებულიყო გამოძიება?**

— ცხადია, უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მე ასევე მახსენდება არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებზეც თვითონ ოქრუაშვილი არ საუბრობდა წლების წინათ თავის საჯარო აღსარებაში...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, ოქრუაშვილის გენერალური პროკურორობის დროს შეიქმნა კერძო სამართლის იურიდიული პირი სახელწოდებით „პენიტენციარული სისტემის განვითარების ფონდი“, რომლის ანგარიშზეც სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირებს, საპროცესო შეთანხმების პარალელურად, ეროვნულ ბანკში შეჰქონდათ ე.წ. შემოწირულობები. ოქრუაშვილთან ერთად ამ იდეის ავტორები იყვნენ **გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი** და სხვები. როგორ ფიქრობთ, ამ ფონდში წლების განმავლობაში რამდენი მილიონი იქნა აკუმულირებული?

**— წლების წინათ ოქრუაშვილის სახელი მსხვილმასშტაბიან კორუფციულ გარიგებებშიც ფიგურირებდა, თუმცა ეს უკვე კულუარული ინფორმაცია იყო.**

— რა თქმა უნდა, ეს არის კორუფცია და, ▶

**„უგულავას, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დატაცებული 48 მილიონი ლარი. არაფერს ვამბობ იმ დანაშაულებრივ ოპერაციებზე, რომლებიც პოლიტიკურ კორუფციას უკავშირდებოდა... მთელი ეს პროცესები ქმნიდა ერთ ჯაჭვს, რომელიც უკავშირდებოდა ბოკერიას აქტიურობას; და, როგორც ჩანს, ჯამში, ამ ყველაფრის საფუძველს წარმოადგენდა შეერთებული შტატების საელჩოდან წამოსული დირექტივა, რომ შემდგომი არჩევნების შედეგად სწორედ გიგა ბოკერია უნდა გამხდარიყო პრემიერი“.**

საკანდალო

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ელიტურ კორუფციაზე როდესაც ვსაუბრობთ, სხვა არაფერია... **ოქრუაშვილი, მოგეხსენებათ, „ნაცმოძრაობასთან“ დაპირისპირების შემდეგ საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ არ ჩანდა. გაინტერესებთ, როგორ ცხოვრობდა? — არ აკლდა არაფერი: არც აპარტამენტები და დალხენილი ცხოვრება. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — საიდან ეს ყველაფერი? საიდან ამხელა კომფორტი და ფუფუნება, თუ არა სწორედ იმ ფონდში აკუმულირებული თანხების ქვეყნიდან გატანის შედეგად?**

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი მტკიცებულებების არსებობის პირობებში რატომ არ იწყება გამოძიება?**

— ეს არის ზუსტად ის ლაკმუსის ქაღალდი, რომელიც ააშკარავებს იმას, რომ რეალურად აქ სამართლიანობის აღდგენის პროცესზე საუბარი ნაადრევია. კიდევ ვიმეორებ: ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა ამ დღეებში ოქრუაშვილის დაკავებაზე, მის საჯარო პოლიტიკურ აღსარებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, მაგრამ ეს ყველაფერი გამიზნული იყო მისი პოლიტიკური აქტივობის წამოწევაზე. თვითონ კიდევ ისეთ რაღაცებზე იძლეოდა ჩვენებებს, რომლებიც ბრალის წარდგენის სამართლებრივ საფუძველს არ ქმნიდა სხვა მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში; ხოლო, **რაზეც ახლა მე ვლაპარაკობ, არის პირდაპირი საფუძველი იმისა, რომ არათუ მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის, არამედ მთელი იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს სამართლებრივი დევნა.** სანამ იმაზე ვისაუბრებთ, რატომ არ იწყება ეს პროცესი, კონკრეტული საქმეების მტკიცებულებები განვიხილოთ. მახსენდება **ივანიშვილის** მიერ, თუ არ ვცდები, 2013 წელს გაკეთებული ძალიან მკაცრი და კრიტიკული განცხადება **გიგა ბოკერიას** მიმართ, რომელიც უშიშროების საბჭოდან ლობისტური საქმიანობისთვის გამოყოფილი მილიონების ხარჯვის შესწავლას შეეხებოდა. შემდეგ **ამას მოჰყვა საგამოძიებო პროცესი და გარკვეული საქმე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ბოკერიას თავზე, მაგრამ ბოლოს მოხდა ის, რაც დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა — ეს ყველაფერი შეიქნა იმის საფუძველი, რომ ბატონი ბოკერია გამხდარიყო ანგარიშგასაწევი ძალა ივანიშვილის კარის თამაშებში.**

ახლა სხვებზე ვთქვათ: ბატონ **დავით ბაქრაძეს, საააკაშვილის პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და ამჟამად პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, ლონდონის ბანკში აღმოაჩნდა არადეკლარირებული 350 ათასი გირვანქა სტერლინგი. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც დეპუტატს მანდატის მოქმედებას უჩერებს და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის საფუძველს ქმნის. დაიწყო გამოძიება ბაქრაძის მიმართ? — რა თქმა უნდა, ყველას გვახსოვს, რომ დაიწყო. რით დამთავრდა? — დამთავრდა გარკვეული პოლიტიკური ლავირებით,** ბატონ ბოკერიას გუნდში მისი გადაბარგებით და იქიდან კიდევ უფრო საინტერესო პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობით. სხვათა შორის, ანალოგიური პრინციპით მოხდა **გიგი უგულავას** გადაბარგებაც მათ გუნდში... **უგულავას, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დატაცებული 48 მილიონი ლარი. არაფერს ვამბობ იმ დანაშაულებრივ ოპერაციებზე, რომლებიც**

**«2020 წელი, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, არასაიმედო წლადაა მიჩნეული ჩვენი ამერიკელი «პარტნიორების» მიერ და ისინი უკვე ერევიან პროცესებში. ამას ადასტურებს საელჩოს უსაფრთხოების თანამშრომლების უშუალო მონაწილეობა 20-21 ივნისის შტურმში და ვფიქრობ, ეს არის პირდაპირი მტკიცებულება. მე სიტყვებს ჰაერში არ ვისვრი. ამ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ!»**







**პოლიტიკურ კორუფციას უკავშირდებოდა... მარტივად რომ ვთქვათ, მთელი ეს პროცესები ქმნიდა ერთ ჯაჭვს, რომელიც უკავშირდებოდა ბოკერიას აქტიურობას; და, როგორც ჩანს, ჯამში, ამ ყველაფრის საფუძველს წარმოადგენდა შეერთებული შტატების საელჩოდან წამოსული დირექტივა, რომ შემდგომი არჩევნების შედეგად სწორედ გიგა ბოკერია უნდა გამხდარიყო პრემიერი.** აი, ასეთი სცენარი უნდა განეხორციელებინათ 20 ივნისამდე, მაგრამ 20 ივნისის შემდეგ უკვე დაჩქარებული მეთოდებით ხდება ამ ყველაფრის განხორციელება. რატომ? იმიტომ რომ, როგორც ჩანს, **2020 წელი, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, არასაიმედო წლადაა მიჩნეული ჩვენი ამერიკელი „პარტნიორების“ მიერ და ისინი უკვე ერევიან პროცესებში.** ამას ადასტურებს საელჩოს უსაფრთხოების თანამშრომლების უშუალო მონაწილეობა 20-21 ივნისის შტურმში და ვფიქრობ, ეს არის პირდაპირი მტკიცებულება. **მე სიტყვებს ჰაერში არ ვისვრი. ამ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ!** მერე ამ ყველაფერს მიება თბილისი პრაიდი, რომელიც უნდა ყოფილიყო დესტაბილიზაციის მთავარი მაპროვოცირებელი ქვეყანაში, თუმცა ეს უკვე სხვა საკითხია და ამაზე ადრეც ბევრი ითქვა...

**— ოქრუაშვილის დაკავებიდან მალევე სააკაშვილმა ინტერნეტში ვიდეომიმართვა გაავრცელა და განაცხადა, რომ „ივანიშვილისთვის სასარგებლო იდიოტია“ ყველა, ვინც ხელისუფლებასთან სამართლებრივი გზით ბრძოლას ემხრობა. ეს უკვე მერამდენე რევოლუციური მოწოდება იყო საზღვარგარეთ გაქცეული ექსპრეზიდენტის... როგორ ფიქრობთ, რეალურად არსებობს ქვეყნაში არეულობისა და დესტაბილიზაციის საფრთხე?**

— დესტაბილიზაციის საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს და მე ვიტყოდი, რომ დღევანდელ ვითარებაში ის განსაკუთრებით დიდია. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდა „ლიბერალური“ ოპოზიცია რუსეთში, გააქტიურდა ასევე ანტიტერორისტულ ზონაში უკრაინული არმიაც, რომლის შედეგადაც დონბასის მიმართულებით საზავო ხელშეკრულება, ფაქტობრივად, დარღვეულია და შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული დაძაბულობაა მოლდოვაშიც. აი, ზუსტად ამ პროცესების ჭრილში უნდა განვიხილოთ ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება... რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას, ჩემი აზრით, ის კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ 20 ივნისიდან დღემდე ჩაშლილი ყველა სპეცპოლიტიკური ოპერაციის გაგრძელებას ისტერიკულად ცდილობენ. მაგრამ ვფიქრობ, დღეს ჩვენი საზოგადოება საკმაოდ გაიზარდა იმისთვის, რომ მსგავს სიბინძურეებს ბრმად არ აჰყვეს. ამას ხედავს ყველა და ხედავენ მათ შორის ეს მოძალადე პოლიტიკური ჯგუფებიც, ამიტომ აქვთ ასეთი უსაშველო პოლიტიკური აშლილობა და მოუსვენრობა, რომელიც თავისთავად საფრთხეს ქმნის, მაგრამ, დიდი ალბათობით, ამ ყველაფერს საბოლოოდ თვითონ გადაჰყვებიან...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ყველაფერი, რაც დღეს ხდება, განსაკუთრებით ის, რაც ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ დაიწყო, არის მოვლენათა ერთი ჯაჭვი, რომელიც უკვე ხელისგულზე დევს. ეს იყო პირდაპირი, დაუფარავი მცდელობა გარკვეული დასავლური «ნეოლიბერალური» ძალების მხრიდან, რომ ძველი საარჩევნო სისტემით ჩაეტარებინათ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ამ გზით შეეცვალათ რეჟიმი ქვეყანაში»**



პოლიტიკური ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლება თითქოს შეფარვით ამბობს, რომ რუსი ტურისტების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ, ამასთანავე, ვერაფერს უხერხებს 30-40 კაცს, რომლებიც ყოველ საღამოს რუსთაველზე მიდიან, სადაც პარლამენტის წინ სატელევიზიო პავილიონი აქვთ მოწყობილი. ის, რომ აღნიშნული აქცია სერიოზულად აზარალებს სახელმწიფოს ეკონომიკას, ეს როგორც იქ შეკრებილებმა, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კარგად იციან. შეკრებილებს ეს ყველაფერი ხელს აძლევთ. ხელს აძლევთ, ყოველდღიურად სოციალურ ქსელში გამოჩნდეს ერთი ბანერი მაინც, რომელიც სწორედ რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული; ხელს აძლევთ, რომ ეს იმ რუსმა ტურისტებმა ნახონ, რომლებიც ჯერაც ჭოჭმანობენ საქართველოში მოგზაურობაზე და აქ ჩამოსვლა საბოლოოდ გადაიფიქრონ.**

# რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება თითქოს დაფარული ქმედებებით არ გამოვა

**საქართველოსა და რუსეთს შორის ავიამიმოსვლის შეწყვეტისა და რუსი ტურისტების საქართველოდან ფეხის ამოკვეთის მიუხედავად, სახმელეთო მიმოსვლა კვლავაც შესაძლებელია, მაგრამ რა ხეირი?! ბოლოს მომხდარზე ვთქვათ: რამდენიმე დღის წინათ საქართველოდან გატანილი 19 ტონა ატამი დაღესტნელმა ექიმებმა შეამოწმეს და უკან გამოაბრუნეს. მიზეზი ძალიან მარტივია — ერთ-ერთი ყუთიდან, რომელშიც ატამი იყო დაფასოებული, პეპელა ამოფრინდა. დაღესტნელებმაც განაცხადეს: პეპელას ეს ჯიში ადვილად მრავლდება, მოსავალს ანადგურებს და ამიტომ ამ ხილს ვერ შემოვუშვებთ, გარანტია არ გვაქვს, პეპლები სხვა ყუთებშიც არ იქნესო.**

როცა 19 ტონა ატამი მიგაქვს ყუთებით, ზოგში პეპელა იქნება, ზოგში — ჭიანჭველა და ზოგში — ხოჭო. ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთი პეპლებიანი ყუთები არაერთხელ გადაუტანიათ რუსეთში და ხმა არავის ამოუღია. ახლა კი სხვა რეალობა გვაქვს — რუსეთში ბავშვმაც კი იცის, რომ ქართველმა ჟურნალისტმა მათ პრეზიდენტს უკანასკნელი სიტყვებით აგინა; ისიც კარგად იციან, რომ დღემდე აქციები მიმდინარეობს რუსთაველზე და, იმის მიუხედავად, რომ მთავარი მოთხოვნა თითქოს **გიორგი გახარიას** გადადგომაა, აქციებს ფონად რუსოფობია გასდევს. ჰოდა, გასაკვირიც არ უნდა იყოს მათი ასეთი დამოკიდებულება, რადგან დღევანდელ სამყაროში ცალ კარში არავინ გათამაშებს და პასუხს აუცილებლად მოგთხოვენ.

ადვილი მისახვედრია, რომ **ის 19 ტონა ატამი რამდენიმე გლეხის იყო, რომლებსაც, სავარაუდოდ, სწორედ ამ ტრანზიტზე ჰქონდათ გათვლა. ისიც მარტივი გასაგებია, რომ უკან დაბრუნებული ატამი გადამწიფებული იქნება და, საექსპორტო კი არა, საარყე ფასადაც ველარ გაიყიდება და გადასაყრელი იქნება. რეალურად იზარალა რამდენიმე გლეხმა, მათ ვერ მიიღეს შემოსავალი და, რაც მთავარია, ქვეყანაში არ შემოვიდა რამდენიმე ათასი უცხოური ვალუტა, რომელიც სწორედ ამ ატმის რეალიზაციის შედეგად უნდა მიეღო კონკრეტულ პიროვნებებს და შესაბამისად — ქვეყანას.**

ის, რომ ათიათასობით უცხოური ვალუტა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იქიდანაც ჩანს, რომ ხელისუფლება მზად არის, რუსი ტურისტების შემოსვლის სანაცვლოდ, სუბსიდია გაიღოს და მათი ფასნამატი დააფინანსოს. პრემიერმინისტრის ინიციატივით, 600 ათასი ევრო გამოიყო და იმ რუს ტურისტებს, რომლებიც საქართველოში ერევნის გავლით ჩამოვლენ, ბილეთის სხვაობას (დიდი-დიდი 90 ევროო, — მოგვახსენა პრემიერმა) სწორედ სახელმწიფო აუნაზღაურებს. ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. 600 ათასი რომ 90-ზე გავყოთ, დაახლოებით 6 650-ს მივიღებთ, ანუ სახელმწიფო მზად არის, დააფინანსოს 6 650 ტურისტის ვიზიტი საქართველოში. შარშანდელი გათვლითა და დათვლით კი ჩვენს ქვეყანას რუსეთიდან ნახევარ მილიონამდე ადამიანი ეწვია. რა გამოდის? ვაფინანსებთ მინიმუმს და თითქმის ნახევარი მილიონი დაუფინანსებელი გვრჩება?! ცოტა არ იყოს, აბსურდის თეატრს ჰგავს ეს ყველაფერი და სახელმწიფოს მხრიდანაც არასერიოზულ ნაბიჯად აღიქმება. **ამ ნაბიჯით ხელისუფლება თითქოს შეფარვით ამბობს, რომ რუსი ტურისტების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ, ამასთანავე, ვერაფერს უხერხებს 30-40 კაცს, რომლებიც ყოველ საღამოს რუსთაველზე მიდიან, სადაც პარლამენტის წინ სატელევიზიო პავილიონი აქვთ მოწყობილი. ის, რომ აღნიშნული აქცია სერიოზულად აზარალებს სახელმწიფოს ეკონომიკას, კარგად იციან როგორც იქ შეკრებილებმა, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შეკრებილებს ეს ყველაფერი ხელს აძლევთ; ხელს აძლევთ, ყოველდღიურად სოციალურ ქსელში გამოჩნდეს ერთი ბანერი მაინც, რომელიც სწორედ რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული; ხელს აძლევთ, რომ ეს იმ რუსმა ტურისტებმა ნახონ, რომლებიც ჯერაც ჭოჭმანობენ საქართველოში მოგზაურობაზე, და აქ ჩამოსვლა საბოლოოდ გადაიფიქრონ.**

შედეგად, ეროვნული ვალუტა რეკორდს რეკორდზე ხსნის და **ეს ყველაფერი იმ დიდი გეგმის ნაწილია, რომელსაც სოციალური აფეთქება ჰქვია.** ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ხელისუფლება ამას ხვდება, რადგან სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ აღნიშნულ თემაზე ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ არაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ეს უმსგავსობა შეწყდეს.

## შეძახილმა ხე გაახმოო... იმდენი უძახა ოპოზიციამ ხელისუფლებას: უნიათოა, უნიათოო, რომ მართლაც უნიათობაში გადაიზარდა ეს ყველაფერი



**რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლობის შემთხვევაში, პრაქტიკულად გამორიცხულია, ჩვენს ეკონომიკას ვინმე და რამე შეეხიდოს; სად არიან ჩვენი ევროპელი და ამერიკელი "მეგობრები"? სადაა მათი ქმედითი დახმარება მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად გვჭირდება? დიდი-დიდი, კრედიტი შემოგვაძლიონ მამასისხლად პროცენტით, მაგრამ ამაზეც აღარ იწუხებენ თავს. დღევანდელ მდგომარეობას ვინ ჩივის, ისინი თავს არც მაშინ იკლავდნენ, როცა ქვეყანაში, ერთი შეხედვით, სტაბილური სიტუაცია იყო და ლარიც ყოველდღიურად არ უფასურდებოდა. ისევ რუსეთის იმედად ვართ, იქნებ გული მოულბეთ და ტურისტებმა ისევ ჩვენკენ იბრუნონ პირი**

**ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერიდებათ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, იმის თქმა, რომ რუსეთისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ და კონკრეტული ტელევიზიის კონკრეტული ჟურნალისტების მიერ გამოვლენილმა აღვირახსნილმა უზნეობამ ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩააგდო; ერიდებათ იმის აღიარება, რომ რუსეთთან დამოკიდებულების გამწვავებამ საქართველოს ეკონომიკას დაარტყა; რომ ჩვენთან წამოსასვლელად გამზადებული ტურისტები თურქეთში გაემგზავრნენ და სწორედ ამიტომ თურქეთის მთავრობამ დაგეგმილზე მეტი ეკონომიკური ზრდა დააანონსა; რომ ჩვენთან დასახარჯი ფული იქ იხარჯება, რომ... რომ... რომ... და რატომ არ სთხოვს ხელისუფლება პასუხს ყველას, ვინც ამაში დამნაშავეა?**

ხანდახან კაცი იფიქრებს, ერთი ადამიანი რომ გამოვიდეს ქუჩაში და ნებისმიერი სისულელის შესრულება მოითხოვოს, ტელევიზიები ამ სისულელეს აჰყვებიან, სახალხო დამცველი გამოხატვის თავისუფლებაზე ილაპარაკებს და ხელისუფლება ვერაფერს გააწყობს, თუნდაც იმ ერთმა ადამიანმა ჯერ არნახული სიგიჟეები აკეთოს. **შეძახილმა ხე გაახმოო და... იმდენი უძახა ოპოზიციამ ხელისუფლებას: უნიათოა, უნიათოო, რომ მართლაც უნიათობაში გადაიზარდა ეს ყველაფერი.** რატომ და ვისი ერიდება მმართველ გუნდს, ნამდვილად ვერ გეტყვით.

ცუდი კამუფლაჟით, მაგრამ მაინც, ხელისუფლება ცდილობს, რუსეთს აგრძნობინოს, რომ მასთან საუბარი სურს, მაგრამ საკმარისია, ეს კამუფლაჟი რომელიმე არასამთავრობომ გააპროტესტოს, რომ ხელისუფლების ყველა წევრი მაშინვე ერთ ხმაში გაჰყვირის: რას ამბობთ, რა რუსეთთან მოლაპარაკებები და ურთიერთობების დათბობა, რუსეთი მტერია და არ ვესაუბრებითო! ცოდვა გამხელილი სჯობს და გამახსენდა, 1990-იან წლებში **ზვიად ძიძიგურმა** სამტრედიის სარკინიგზო მაგისტრალი რომ გადაკეტა და რუსეთი „ბლოკადაში" მოაქცია. იმხანად საქართველომ მილიარდობით მანეთი იზარალა. ძიძიგური ისევ ხელისუფლებაშია და, წესით, ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს საქართველოს მიერ რუსეთისთვის პირდაპირი თუ ირიბი ეკონომიკური „სანქციების" დაწესება. ყველაზე კარგად სწორედ მან უნდა იცოდეს, რომ ამით ქვეყანა ზარალდება და 1990-იან წლებში განცდილი ზარალის გამო ათი წელი მუხლზე წამოდგომაც კი ვერ შევძელით.

ახლა პარლამენტი შვებულებაშია, მაგრამ ამის მიუხედავად არაერთი დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში მაინც დადის და სწორედ მათი კომენტარებიდან ირკვევა, რომ თურმე არსებული სიტუაცია არასტაბილური გარემოს ბრალია. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ არასტაბილური გარემოს შექმნაში კანონმდებლები ოპოზიციას და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებენ, რომელთა თაოსნობითაც რუსთაველზე აქცია მიმდინარეობს. ეს აქცია უკვე მარაზმში გადაიზარდა და არაფერს აღარ ჰგავს. კანონმდებლები იმას კი არ ამბობენ, — ამ მარაზმს აღვკვეთთო, არამედ თითს იშვერენ, იმათი ბრალია ყველაფერიო. არადა, ბერკეტები სწორედ მათ ხელშია.

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს. ოპოზიციაც და არასამთავრობოებიც პოლიტიკურად ცხელ აგვისტოს აანონსებენ და ეს მაშინ, როცა ტემპერატურის მატების პარალელურად ლარის კურსი სულ უფრო ეცემა. **რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლობის შემთხვევაში, პრაქტიკულად გამორიცხულია, ჩვენს ეკონომიკას ვინმე და რამე შეეხიდოს; სად არიან ჩვენი ევროპელი და ამერიკელი „მეგობრები"? სადაა მათი ქმედითი დახმარება მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად გვჭირდება? დიდი-დიდი, კრედიტი შემოგვაძლიონ მამასისხლად პროცენტით, მაგრამ ამაზეც აღარ იწუხებენ თავს. დღევანდელ მდგომარეობას ვინ ჩივის, ისინი თავს არც მაშინ იკლავდნენ, როცა ქვეყანაში, ერთი შეხედვით, სტაბილური სიტუაცია იყო და ლარიც ყოველდღიურად არ უფასურდებოდა. ისევ რუსეთის იმედად ვართ, იქნებ გული მოულბეთ და ტურისტებმა ისევ ჩვენკენ იბრუნონ პირი. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება კი შეფარვითა და თითქოს დაფარული ქმედებებით არ გამოვა. ხელისუფლების უმაღლესი პირები უნდა გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადონ, რომ სწორედ იმის გამო, რაც მოხდა, სწორედ იმის გამო, რომ საქართველოში რუსი ტურისტები აღარ ჩამოდიან, რომ ჩვენს მეზობელთან ფრენების გაუქმებამ ჯერჯერობით ძალიან გვაზარალა, უძიმეს დღეში ვართ და ერი ყოველდღიურად ლატაკდება. ჰო, ერი ლატაკდება, რადგან ეროვნული ვალუტა მყიდველუნარიანობას კარგავს და, როგორც ამბობენ, თუ დოლარის მიმართ ნიშნული 3.0-ს გადასცდება, ეს კატასტროფა იქნება.** რატომ კატასტროფა? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ენერგოექსპორტიორები იძულებულნი იქნებიან, სემეკს ფასების მომატების მოთხოვნით მიმართონ და სემეკიც, თავის მხრივ, უარს ვერ იტყვის. ბუნებრივ აირზე, ელექტროენერგიასა და წყალზე ფასის მომატება კი ბოლო წვეთი იქნება იმ ფიალაში, რომელიც, დიდი ხანია, გაივსო, მაგრამ სოციალურ აფეთქებას სწორედ ასეთი რამ სჭირდება.

ვერ ვიტყვით, ხელისუფლება ამას ვერ ხვდება-მეთქი, მაგრამ მოქმედებას ვერ ვხედავთ. ისე გამოდის, თითქოს მმართველ გუნდს ეს ყველაფერი ხელს აძლევს და საგარეო პოლიტიკაში მოქმედებს პრინციპით: არც მწვადი დაწვას, არც შამფური, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე იწვება და ცეცხლში რიგითი ადამიანები იხრუკებიან.

**ბესო ბარბაქაძე**

**„ჩვენი ხელისუფლება კედელთან არის მიყენებული, კედელთან მიყენებული კაცი კი საშიში ხდება, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას ძალიან უნდა შევუტიოთ, პირიქით — გასაძრომი დერეფანი უნდა დავუტოვოთ, თუმცა აუცილებლად უნდა გავაგებინოთ, რომ მათი საქმე წასულია. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ისინი ხელისუფლებაში დარჩნენ?!“**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება „ეროვნულობაზე“ აცხადებს პრეტენზიას, ქართველ საზოგადოებას უპატრონობის განცდა დაეუფლა. სოციალურ ქსელებში ხშირად წაიკითხავთ ასეთ რამეს: „რატომ მაქვს განცდა, რომ ქვეყანა უპატრონოდ არის დარჩენილი?“ და იქვეა პასუხიც: „უპატრონოა და იმიტომ!“ ქართველი საზოგადოების „უპატრონობის“ განცდასა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი და „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრებიან.**

# «განცდა იმისა, რომ ქვეყანასა და ხალხს პატრონი არ ჰყავს, დღეს არ გაჩენილა, ეს განცდა ქართველებს სულ გვაქვს, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა»



**„ჩვენი ხელისუფლების მმართველობა ჩრდილოკორეულ მოდელს ჰგავს, მათი ჩაკეტილობა მხოლოდ ამას მაგონებს“**

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— საქართველოს ბოლო 30 წლის ისტორიას რომ გადავხედოთ, მართლაც სხვადასხვა ეტაპი გავიარეთ. ვნახეთ კორუფციის ჭაობში ჩაფლული ხელისუფლება, ვნახეთ დიქტატურა, სასტიკი და დაუნდობელი... დღევანდელ ხელისუფლებაში კი ყველა მანკიერებამ ერთად მოიყარა თავი, თუმცა შესრულების ხარისხი სუსტია, „სიმაღლეებს“ ვერ მიაღწიეს ვერც კორუფციაში, ვერც დიქტატურის მიმართულებით, მაგრამ მანკიერებები ნამდვილად შეითვისეს. დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელსაც ყველა ცუდი თვისება აქვს, რაც გვინახავს, მაგრამ შედარებით დაბალ რეგისტრში.

**— ხალხს დაუცველობის განცდა აქვს; მიაჩნია, რომ ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავს და უპატრონოდ დავრჩით. მაგალითად, როდესაც ქვეყნის პირველ პირს ჰკითხეს ეროვნული ვალუტის გაუფასურების შესახებ, მან ოპოზიციის დესტრუქციულ ქმედებას დააბრალა ყველაფერი...**

— ქვეყნის პირველ პირს როდესაც ვახსენებთ, აუცილებელია, გვარიც ვთქვათ, რადგან ისიც კი არ ვიცით, რომელია პირველი პირი. ამ შემთხვევაში, ალბათ, ბახტაძეს გულისხმობთ...

სხვისკენ თითის გაშვერა გაკოტრებული ხელისუფლების საქციელია. ეკონომიკის ბოლო პერიოდის რყევებში გარკვეული წვლილი ნაციონალებმაც შეიტანეს, მაგრამ ეს 5-პროცენტიანი წილია, დანარჩენი ხელისუფლების კისერზეა. ნაციონალებს რაც უნდა მოეწყოთ, მას ლარის კურსის ნახტომისებური ვარდნა შეიძლება გამოეწვია, მაგრამ ახლა ჩვენ კურსის სტაბილურ დაცემას ვხედავთ, რომელიც 20 ივნისამდე დაიწყო.

დიდი ხმაურია ატეხილი ანაკლიის პორტის გარშემო. თუ ჩვენ გადავხედავთ პროცესების მიმდინარეობას და დავაკვირდებით, როდის იწყება ეს არეულობა, დავინახავთ, რომ ეს იწყება მაშინ, როდესაც ამ პროექტის საინვესტიციო პაკეტი უნდა შეიკრას.

ამერიკელებს სურთ ანაკლიის პორტის აშენება და დაფინანსება, ოღონდ გრძელვადიან პოლიტიკურ გარანტიებს ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არ აშენდებაო, — ამბობენ. ასეთ ვითარებაში ერთი აზრი მომდის თავში: ჩვენი ხელისუფლება ამერიკას შანტაჟის ენით ხომ არ ესაუბრება?

**— შეუძლია კი საქართველოს, რომ ამერიკას შანტაჟის ენით ესაუბროს?**

— მესამე სამყაროს ქვეყნის ხელისუფლებას შეუძლია თუ არა, შანტაჟის ენით ესაუბროს ამერიკას, ეს სხვა თემაა და სიგიჟეა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ასეა, რადგან ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს, მათ ძალაუფლების შენარჩუნება სურთ და ეს მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ სიგიჟეზე წავლენ. ისინი ამ ყველაფერს აფექტის მდგომარეობაში აკეთებენ.

**საზოგადოებას მართლაც აქვს განცდა, რომ ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, რადგან აფექტში მყოფი ხელისუფლება ბუნკერშია ჩაკეტილი, გათიშული აქვს ინტერნეტი, ტელეფონი, გარე სამყაროსთან კომუნიკაცია შეწყვიტა და მხოლოდ ერთმანეთს ელაპარაკებიან, თანაც ლაპარაკობენ არა რაიმე ჭკვიანურს, არამედ იმას, რა მაგრები არიან, როგორ უყვარს ისინი ხალხს.** ჩვენი ხელისუფლების მმართველობა ჩრდილოკორეულ მოდელს ჰგავს, მათი ჩაკეტილობა მხოლოდ ამას მაგონებს. ჩრდილოეთ კორეელები ერთმანეთს უმტკიცებენ, რომ მალე თანამგზავრს გაუშვებენ მარსზე. ზუსტად ასე არიან ესენიც, თავს იმხნევებენ.

ჩვენი ხელისუფლება კედელთან არის მიყენებული, კედელთან მიყენებული კაცი კი საშიში ხდება, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას ძალიან უნდა შევუტიოთ, პირიქით — გასაძრომი დერეფანი უნდა დავუტოვოთ, თუმცა აუცილებლად უნდა გავაგებინოთ, რომ მათი საქმე წასულია. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ისინი ხელისუფლებაში დარჩნენ?!

„ოცნება“ წავა, მაგრამ ჩვენ ისინი უნდა დავარწმუნოთ, რომ ხელისუფლებიდან წასვლა ტრაგედია არ არის და ცხოვრება გრძელდება. თუკი მმართველი ძალა დარჩება იმ აზრზე, რომ ხელისუფლება, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ, მაშინ უფრო საშიში გახდებიან; მათ საქმის გაკეთება არ შეუძლიათ, მაგრამ გაფუჭება ნამდვილად ეხერხებათ. ამის კლასიკური მაგალითი **სალომე ზურაბიშვილია**, რომელიც მხოლოდ აფუჭებს ყველაფერს. ახლა ცოტა მშვიდად ვარ, ატმის საკრეფად დადის და არა გვიშავს...



**„ამერიკისთვის საქართველო უკანა პლანზე გადავიდა“**

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— განცდა იმისა, რომ ქვეყანასა და ხალხს პატრონი არ ჰყავს, დღეს არ გაჩენილა. ეს განცდა ქართველებს სულ გვაქვს, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

1992 წლის პარლამენტში იყო ასეთი დეპუტატი **გვარად სუმბათაშვილი.** ის ერთხელ გამოვიდა სიტყვით და შევარდნაძეს უსაყვედურა: ბატონო ედუარდ, თქვენ მთავარი ვერ შეძელით, პატრონი ვერ მოუძებნეთ ქვეყანასო. ის „პატრონს“ ქვეყნის გარეთ გულისხმობდა... ასე, მხოლოდ ეს დეპუტატი არ ფიქრობდა, **ასეთი განწყობა იყო საზოგადოებაში და დღესაც ასეა, ჩვენ ვეძებთ პატრონს ქვეყნის გარეთ,**

## «ჩვენ ვეძებთ პატრონს ქვეყნის გარეთ, მიუხედავად იმისა, რომ სულ გავიძახით: «ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს»

**მიუხედავად იმისა, რომ სულ გავიძახით: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“.**

ქართველები სუსტი საზოგადოება ვართ, შველას გარეთ ვეძებთ, ამიტომაც გარბის ქვეყნიდან ყველა. არავინ ფიქრობს თვითორგანიზებასა და ქვეყნის მიხედვაზე. თუკი უცხოელი ჩამოდის ქართული მიწის დასამუშავებლად, ამას ჩვენ რატომ ვერ ვახერხებთ? სასურველია, სწორედ ამის გამო მოვახდინოთ ხელისუფლებაზე ზეწოლა, ქართველებმა დავამუშავოთ მიწები, შევქმნათ ფერმერული საზოგადოებები, მაგრამ ამის სურვილი ერთეულებს აქვთ. მახინჯი სისტემაა შექმნილი და **გასაკვირი არ არის, რომ უპატრონობის განცდა გვაქვს.**

ამ განცდას იწვევს ისიც, რომ ქვეყნის ოთხივე მხარეს პრობლემები გვაქვს — არავინ ჩვენი მეგობარი არ არის, ამას ვაცნობიერებთ.

**— ამერიკამ ელჩიც კი არ დაგვინიშნა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსახლეობის დიდ ნაწილს არც სურს, მაინც ამბობენ, ამერიკამაც „დაგვიკიდაო“...**

— კი, ეს ასეა, რადგან ამერიკის საგარეო პოლიტიკა იცვლება ბევრ საკითხში. არსებობს მუდმივობა და ცვალებადობა, საქართველო ცვალებადობაში მოყვა. ამერიკას არა მხოლოდ რუსეთთან აქვს დაძაბული ურთიერთობა, რომლის დეესკალაციასაც **ტრამპი** ცდილობს, ამერიკას დაეძაბა ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასთან, რომელიც მისი ძალიან მნიშვნელოვანი მოკავშირეა და მნიშვნელოვანი წევრია ნატოსი. თურქეთს აქვს უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. იგი აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რაც არის ევროპისა და აზიის საზღვარი, ასევე შავი ზღვის ერთადერთი შესასვლელი და გასასვლელი. ამერიკა თურქეთს თავიდანვე ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. **ერდოღანის** დამოუკიდებელმა პოლიტიკამ, ეკონომიკის აღმავლობამ, თურქეთის ამბიციების ზრდამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. 2016 წლის ბუნტმა თურქეთში ბევრი რამ შეცვალა. ბუნტი ამერიკას უკავშირდება — **გიულენი**, რომელიც თურქეთში ტერორისტად არის შერაცხილი, ამერიკაშია და ამერიკელები თურქეთისთვის მის გადაცემაზე უარს ამბობენ. ამან ამერიკისადმი უნდობლობა გააჩინა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა თურქეთმა რუსეთისგან შეიძინა.

**ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს, რუსეთსა და თურქეთს შორის, ამიტომ ამერიკისთვის საქართველო აღარ არის ადვილად მისადგომი და შავი ზღვა ამერიკისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამერიკას რუმინეთისა და ბულგარეთის აკვატორია აქვს მისახედი, პრობლემებია უკრაინასთან ურთიერთობაში. საქართველო ამერიკისთვის მაინც რჩება მნიშვნელოვან ქვეყნად, მაგრამ ჩვენ მათთვის უფრო მეტად საზრუნავი ობიექტი ვართ, ვიდრე ხელსაყრელი იარაღი, ამიტომ საქართველო უკანა პლანზე გადავიდა.** ეს ცუდი სულაც არ არის, რადგან, როდესაც ამერიკა აქტიურობს და აქ პრეზიდენტები ჩამოდიან (ვგულისხმობ ბუშის სტუმრობას), ამას ჩვენთვის უბედურება მოაქვს — ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობიდან სამ წელიწადში სრულმასშტაბიან ომში ჩავებით. იმედია, ამერიკის ინტერესის კლება საქართველოს შანსია, დავაბალანსოთ ურთიერთობა მეზობელ ქვეყანასთან, მაგრამ ეს უნიათო ხელისუფლება ამას ვერ შეძლებს, რადგან რადიკალური ცვლილებებია საჭირო.

არჩევნების გზით უნდა გადავირჩიოთ ეს ხელისუფლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ასარჩევი არავინაა. ვფიქრობ, მეც ხომ არ ჩავერთო საარჩევნო მარათონში, რაც უკვე ცუდია. როდესაც ადამიანს, რომელსაც არასდროს უფიქრია პოლიტიკურ აქტივობაზე, ასეთი აზრი უჩნდება, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ცუდად არის.

**— ეს ხელისუფლება რომ წავა, როგორ მოიხსენიებს მას ხალხი?**

— ამ ხელისუფლებას სახელი არ აქვს, ესენი ისეთი უსახურები არიან, რომ სახელიც არ შერჩებათ. მათი არც წასვლა გადაწყვეტს რამეს ქვეყნისთვის და არც დარჩენა. ამხელა პოლიტიკურ სპექტრში ერთი კაცი არ გამოდგა ჭკვიანი, რომ ეთქვა: რას სჩადით? რას აკეთებთ? 20 ივნისიდან მოყოლებული ქვეყანა პარალიზებულია. თურმე ჩვენ ანტისაოკუპაციო მიტინგები უნდა ვატაროთ. ეს ხომ სიგიჟეა?!

მახსენდება 1990-იანი წლები, როდესაც ხან რუსეთს ვუტარებდით მიტინგებს და ხან გავიძახოდით: „ძირს ბუშიო“. დავბრუნდით მიტინგომანიებში, კარვებში, შეიქმნება ბანდები, თანაც უფრო ძლიერი, ვიდრე ადრე იყო. გამოსავალი არსად ჩანს...

## «ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს, რუსეთსა და თურქეთს შორის, ამიტომ ამერიკისთვის საქართველო აღარ არის ადვილად მისადგომი და შავი ზღვა ამერიკისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამერიკას რუმინეთისა და ბულგარეთის აკვატორია აქვს მისახედი, პრობლემებია უკრაინასთან ურთიერთობაში. საქართველო ამერიკისთვის მაინც რჩება მნიშვნელოვან ქვეყნად, მაგრამ ჩვენ მათთვის უფრო მეტად საზრუნავი ობიექტი ვართ, ვიდრე ხელსაყრელი იარაღი, ამიტომ საქართველო უკანა პლანზე გადავიდა»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ჩაკუჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ ხელისუფლებას ასეთი ლოიალური დამოკიდებულება ექნება და მაგიდაზე მუშტის ბრახუნით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) არ გამოხატავს თავის პოზიციას, ასე იქნება: კომპანიებს საქართველო, ქვეყანა კი არა, ქარვასლა ეგონებათ, რომელშიც ვაჭრობა ულტიმატუმის ენაზე შეიძლება... ისე, ეს ქარვასლაშიც არ შეიძლება!**

# ულტიმატუმის ენით მოლაპარაკე ამერიკული კომპანია და საქართველოს უთავმოყვარეო ხელისუფლება

**ანაკლიის პორტის მშენებლობის გარშემო ისეთი ამბები ატყდა, დედა შვილს არ აიყვანს. წესითა და რიგით, ანაკლიის პორტის მშენებლობაში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა მამუკა ხაზარაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში ყველაზე ცნობილმა ბანკირმა 26 ივლისს პორტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ვინ შეცვლის მას, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ, ჩვენი აზრით, ანაკლიის პორტის მშენებლობაში მთავარი მოთამაშე ამერიკის შეერთებული შტატებია, თუმცა ამერიკის ხელისუფლება ამ ყველაფერს არა თვითონ, არამედ კომპანია SSA Marine-ს ხელით აკეთებს. ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობ:**




„დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ჩვენი პარტნიორები, პორტის ოპერატორი დაგვერწმუნებინა, რომ პროექტს მთავრობის მხარდაჭერა აქვს, თუმცა მაისში განვითარებული მოვლენების გამო მათ გადაწყვიტეს, წამოეყენებინათ დამატებითი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს, რომ ანაკლიის პორტი გარკვეული დროით, კერძოდ, სანამ პროექტის პირველი ფაზა არ მიაღწევს 70%-იან უტილიზაციას, იყოს ერთადერთი ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოში. ეს არის SSA MARINE-ს მიერ წამოყენებული ახალი პირობა. ისინი მზად არიან, ჩაერთონ პროექტში, განახორციელონ ინვესტიცია, რომელზეც თავის დროზე აიღეს ვალდებულება, მაგრამ ეს ახალი პირობა წამოაყენეს. მათი ეს რეაქცია პორტთან დაკავშირებული საკითხების ორაზროვნებამ გამოიწვია", — განაცხადა ანაკლიის განვითარების კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა **ლევან ახვლედიანმა.**

მისივე თქმით, ამ ახალი მოთხოვნით ამერიკული კომპანია SSA Marine-სგან წერილი 10 დღის წინათ მიიღეს. კერძოდ, პორტის ოპერატორი და ინვესტორი კომპანია SSA Marine გარკვეული პერიოდით ანაკლიის პორტისთვის ექსკლუზივის მინიჭებას ითხოვს.

არის თუ არა ეს თხოვნა? — არა, ბატონებო. ეს არც თხოვნაა, არც მოთხოვნა. **ეს არის ულტიმატუმი, რომელსაც სახელმწიფოს (!) უყენებს რიგითი კომპანია და ახლა საუბარი იმაზე, რომ ეს კომპანია ერთ-ერთი დიდი და წარმატებულია, უადგილოა, რადგან სახელმწიფოსთან ყველა კომპანია რიგითი უნდა იყოს. რაც მთავარია, სახელმწიფომ იცის ამ ულტიმატუმის შესახებ, მაგრამ, თითქმის ორი კვირაა, პასუხის გაცემას არ ჩქარობს. რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფომ არ იცის, რა ქნას:** თუ ამ მოთხოვნას დათანხმდება, გამოვა, რომ რიგითი კომპანია სახელმწიფოს საკუთარ დაკრულზე აცეკვებს; თუ არ დათანხმდება — **ამ კომპანიის უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას და ეს ყველაზე კარგად სწორედ ხელისუფლებამ იცის. აი, ამერიკის წინააღმდეგ წასვლა, როგორც ჩანს, ხელისუფალთ არ სურთ, მაგრამ არც ის სურთ, რომ მსოფლიოში თავი ბოლომდე მოეჭრათ და აღიარონ, რომ კონკრეტული კომპანიის დაკრულზე ცეკვავენ.**

მოდი, ახლა წარმოვიდგინოთ, **რა მოხდებოდა ანალოგიური მოთხოვნა რომ წამოეყენებინა რომელიმე რუსულ კომპანიას. არასამთავრობოები ხომ ხმის ჩახლეჩამდე იყვირებდნენ: ხელისუფლება რუსეთს სტრატეგიულ ობიექტს აძლევსო... საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია კი ხელისუფლებას მოღალატედ გამოაცხადებდა და საერთაშორისო ორგანიზაციებს რეაგირებისკენ მოუწოდებდა. მერე აუცილებლად გამოთქვამდნენ შეშფოთებას ევროპა და ამერიკა; აღნიშნულ კომპანიას, დიდი ალბათობით, სანქციებს დაუწესებდნენ და წერილს წერილზე აფრენდნენ: არიქა, ქუდზე კაცი გამოდითო.** ახლა კი ვითომც არაფერი ხდება, ვითომ ასე უნდა იყოს, ვითომ ეს ყველაფერი ნორმალურია. **კაცი არ გამოჩნდა, რომელიც გააპროტესტებდა, იტყოდა, რომ კომპანია, ამერიკული იქნება, რუსული, ფრანგული თუ გერმანული, სახელმწიფოს ულტიმატუმის ენით არ უნდა ელაპარაკებოდესო.** ხომ გახსოვთ, **სერგეი ლავროვმა** რომ შემოთვალა: ურთიერთობების მოგვარება მას შემდეგ დავიწყოთ, როცა საქართველოში რუსოფობია შეწყდება, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ და ქვეყნის შიგნით სიტუაცია დასტაბილურდებაო. **ეს შემონათვალი არასამთავრობოებმა და ოპოზიციამ ულტიმატუმად და ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალეს, ხოლო პირდაპირი მოთხოვნა და ულტიმატუმი, რომელიც, რომელიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი არა, რიგითმა კომპანიამ წამოაყენა, ერთი ყურიდან მეორეში გაატარეს.**

ვთქვათ, სახელმწიფომ დახუჭა თვალი, დაიყარა თავზე ნაცარი და დააკმაყოფილა SSA Marine -ს მოთხოვნა, **ვინ არის გარანტი, რომ აღნიშნულის შემდეგ ეს კომპანია სხვა პორტების საერთოდ გაჩერებას არ მოითხოვს, რათა საქართველოში შემოსული ტვირთები მთლიანად მის პორტში შევიდეს? ვინ არის გარანტი იმისა, რომ SSA MARINE ფოთის პორტის რეაბილიტაცია-გაფართოების წინააღმდეგი არ წავა?** ეს პროცესი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ანაკლიის პორტი. ანუ, **ერთი პორტისთვის, ერთი კომპანიისთვის სასათბურე პირობების შექმნით სახელმწიფომ შეიძლება არათუ მილიონობით, არამედ მილიარდობით ლარი იზარალოს, მაგრამ არა უშავს, რადგან საქმე ამერიკულ კომპანიასა და ამერიკის ინტერესებს ეხება?! ამის მიღწევა გვინდა? და ფოთსა და ფოთელებს რას ვეუბნებით, ქალაქს, რომელსაც საპორტო ქალაქის სახელი, საუკუნეებია, აქვს და რომლის მოსახლეობაც სწორედ პორტით სულდგმულობს?** თუ ამერიკული კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე ქალაქიც გავაჩეროთ, მოსახლეობაც დავიკიდოთ და **მხოლოდ იმაზე ვიფიქროთ, რომ ძია სემმა მშვიდად იძინოს და აქ ჩადებული თანხა რაც შეიძლება მალე ამოიღოს?!**

ახლა წარმოვიდგინოთ, **რომ რომელიმე ქართულმა კომპანიამ ანალოგიური მოთხოვნა წაუყენოს ამერიკის მთავრობას — მისწეროს წერილი, სანამ ჩადებულ ფულს არ ამოვიღებ, კონკურენტი არ გამოიჩინო, ყველაფერი გააჩერე და მხოლოდ ჩემზე იმუშავეო. დაახლოებითაც ვერ წარმოიდგენთ, რა მოხდება — კომპანიის მფლობელს, სავარაუდოდ, შეურაცხადად გამოაცხადებენ, ხოლო უშუალოდ კომპანიას აღგვიან პირისაგან მიწისა და ის აღარ იარსებებს. ეს — ჩვენს რეალობაში, თორემ ამერიკელებს ხომ ყველაფრის უფლებას ვაძლევთ.** აგერ, რამდენიმე დღის წინათ დონალდ ტრამპმა სიკვდილით დასჯა ფედერალურ დონეზე დააკანონა და ბრძანა: ხუთი სიკვდილმისჯილის თავი 2020 წლის იანვრამდე გავარდესო და გავარდება კიდეც. ჩვენ თუ გვკითხავთ, იმდენად მძიმე დანაშაულისთვის იხდიან ის ადამიანები სასჯელს, ალბათ, არავინ გამოჩნდება შემცოდებელი, მაგრამ, **აბა, საქართველოში დაძრას ვინმემ სიტყვა სიკვდილით დასჯის შემოღებაზე, ნახავთ, რა მოხდება — იგივე ამერიკა დაგვამუნათებს: ამას როგორ ბედავთო, და ჩვენც დამნაშავე ბავშვებივით თავს დავხრით. ჩვენ რა, ხელისუფლება, თორემ ჩვენ, დიდი ხანია, გავიძახით, — ქვეყანა ამერიკისა და ევროპის დაკრულზე ცეკვავს და ეს ცეკვა არაფერს გვარგებსო, მაგრამ ვინ გვისმენს?!**

SSA Marine
A Carrix Enterprise

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის გენერალური დირექტორი **ლევან ახვლედიანიც** წერილს მოთხოვნას ეძახის და აღიარებს, რომ ამერიკული კომპანია მოლაპარაკებებს კი არ აპირებს, არამედ პირდაპირ ითხოვს, რომ ეს ყველაფერი ლამის კანონის დონეზე გაიწეროს და გარანტად სახელმწიფო დადგეს. ჯერ ისიც არავინ იცის, როდის ამოიღებს დანახარჯის 70%-ს აღნიშნული კომპანია ან ვინ გააკონტროლებს მის მოგებას და, რადგან საუბარი მილიარდებზეა, შეიძლება ყველაფერი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში ქვეყანა ჩამოეკიდება ერთ პორტს, როცა პორტები აქვს ბათუმში, ფოთში და ორივე სრული დატვირთვით მუშაობს. **ამერიკულ კომპანიას კი, საერთოდ, არ აინტერესებს ამ პორტებში დასაქმებული ასობით ადამიანის ბედი; არ აინტერესებს, რომ პორტის გარეშე ფოთი, როგორც ქალაქი, შესაძლოა, საერთოდ, დაცარიელდეს. ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და, რაც მთავარია, ფიქრობს, რომ ჩადებული ფულის ამოღებისა და მოგების შემდეგ აქ თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა.**

> **ამერიკულ კომპანიას საერთოდ არ აინტერესებს ამ პორტებში დასაქმებული ასობით ადამიანის ბედი; არ აინტერესებს ის, რომ პორტის გარეშე ფოთი, როგორც ქალაქი, შესაძლოა, საერთოდ დაცარიელდეს. ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და, რაც მთავარია, ფიქრობს, რომ ჩადებული ფულის ამოღებისა და მოგების შემდეგ აქ თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა**

ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ; ეს არის ის რეალობა, რომელშიც მოგვიყვანა ხელისუფლების არადამაჯერებელმა საგარეო პოლიტიკამ. **კომპანია ამას რომ გაგიბედავს, სახელმწიფოს ნიშნებსაც კი კარგავ. როგორ გგონიათ, როცა ერთი კომპანია ამას ბედავს, რომ გაიტანოს ლელო, სხვები რას იზამენ?** რას იზამს ნებისმიერი მსხვილი კომპანია, რომელიც საქართველოში ოპერირებს? არ დაელაპარაკება ხელისუფლებას იმავე ენით? არ მოითხოვს ულტიმატუმის დონეზე სასათბურე პირობებს? და რას იზამს სახელმწიფო, რომელსაც ერთხელ უკვე თანხმობა ექნება ნათქვამი და „მიქარული"?

სწორედ ამიტომ მართებულად მიგვაჩნია, **ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა საჯაროდ დაგმონ კომპანიის მიერ წამოყენებული ულტიმატუმი; ხმამაღლა განაცხადონ, რომ ულტიმატუმებით საუბარს არავის აპატიებენ და გვერწმუნეთ, არაერთი ფირმა გამოჩნდება, რომლებიც ანაკლიის პროექტში ყოველგვარი ულტიმატუმისა და სასათბურე პირობების გარეშე ჩადებენ თანხას და ვინ იცის, ეგებ უკეთესადაც გააკეთონ, ვიდრე SSA MARINE-მ.**

სანამ ხელისუფლებას ასეთი ლოიალური დამოკიდებულება ექნება და მაგიდაზე მუშტის ბრახუნით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) არ გამოხატავს თავის პოზიციას, ასე იქნება: კომპანიებს საქართველო, ქვეყანა კი არა, ქარვასლა ეგონებათ, სადაც ვაჭრობა ულტიმატუმის ენაზე შეიძლება... ისე, ეს ქარვასლაშიც არ შეიძლება!

**ბესო ბარბაქაძე**

**შესაძლოა, ის ამბავი მოგეწონათ ძალიან, კულტურის ყოფილ მინისტრ ვალერი ასათიანს სატანისტური რიტუალების ჩატარება და ორი ადამიანის მკვლელობა და მათი დანაწევრებული გვამების დაწვა რომ დააბრალეს. მოგვიანებით იმ პატიმარმა, რომელსაც მაშინ „რუსთავი 2“-მა ეს ათქმევინა, აღიარა, რომ ეს ცილისწამება ყურადღების მიქცევის მიზნით მოიგონა, „რუსთავი 2“-ს კი ვალერი ასათიანისთვის ბოდიშიც კი არ მოუხდია.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ იყო რევოლუციამდელი «რუსთავი 2» გონებაჩლუნგი?

**ეს, უბრალოდ, იმ სიტყვების პერიფრაზია, რომლებსაც ერთი ცნობილი ქართული ფილმის გმირი ამბობს, თორემ, სინამდვილეში, რევოლუციამდელი ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ზუსტად ისეთივე ცილისმწამებელი, შანტაჟისტი და პოლიტიკურად ანგაჟირებული ანტიტელევიზია იყო, როგორც ნაცების მმართველობის პერიოდში და მის შემდეგ. მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო მაყურებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ „რუსთავი 2“-ის აშკარად ტენდენციური და სულელური სიუჟეტები უცოდინარობისა და გონებაჩლუნგობის შედეგია, უმეტესობამ კი კარგად იცის — „რუსთავი 2“-ელი ჟურნალისტების ასეთ საქციელს მხოლოდ დიდძალი ფული, პოლიტიკური დაკვეთა და შუბლის ძარღვის გაწყვეტა განაპირობებს.**




**ესენი არიან სპეცსამსახურების (უცხოური) მიერ გარკვეული ნიშნით შერჩეული ჯგუფები, რომელთა ხელშიც იყო იმთავითვე „რუსთავი 2“ და ჯერ კიდევ ბევრ რამეში გაუთვითცნობიერებელი ქართველი საზოგადოებაც დაუღეჯავად ყლაპავდა ყველა იმ ბინძურ დაკვეთას, რომლებსაც ეს მედიასაშუალება უტიფრად ასრულებდა**

ჭკვიანი ადამიანისთვის „რუსთავი 2“-ის ერთი სიუჟეტის ნახვაც კი საკმარისია, რომ მიხვდეს, რასთან აქვს საქმე. ოღონდ ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელებულ ტენდენციას მინდა მივაპყრო ყურადღება — საკმაოდ ჭკვიანი ადამიანებიც კი სხვადასხვა ტელეეთერში ამ თემაზე საუბრისას გამოთქვამენ აზრს, რომ „რუსთავი 2“ სწორედ ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2003 წლიდან „გაფუჭდა“, თორემ მანამდე ძალიან კარგი და ობიექტური ტელევიზია იყო. ამ ადამიანების აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ვინაიდან ეს პოლიტიკური ძალა მფარველობდა „რუსთავი 2“-ს, ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტებს თავში აუვარდათ და მიკერძოებულები გახდნენ. რევოლუციამდელი „რუსთავი 2“ კი თურმე სამართლიანი ჟურნალისტიკის ეტალონი ყოფილა.

მინდა ასეთ ადამიანებზე ვთქვა: ისინი ან ძალიან ზედაპირულად უყურებენ საერთო სურათს, ან ძალიან მოკლე მახსოვრობა აქვთ, ან კიდევ, უბრალოდ, განზრახ და ანგარებით ავრცელებენ „რუსთავი 2“-ისთვის, ფაქტობრივად, ნაცებისთვის სასურველ ნარატივს ამ ტელევიზიის ოდესღაც „კარგობის“ შესახებ, რაც უტიფარი ტყუილია. სინამდვილეში **„რუსთავი 2“ რევოლუციამდეც ზუსტად ისეთივე „გონებაჩლუნგი“, ანუ უტიფარი და უსირცხვილო, ყველანაირი სიბინძურის მკადრებელი ტელევიზია იყო, როგორც რევოლუციის შემდეგ და ახლაც.**

უმარტივესი კითხვა „რევოლუციამდელი რუსთავი 2“-ის აპოლოგეტებს: მიპასუხეთ, **როდის იყო ეს ტელევიზია „ჟურნალისტური სტანდარტების ეტალონი“?** — ასაკოვან კაცს, სატყეო დეპარტამენტის ყოფილ უფროს **შოთა მეფარიძეს** ყოველ მეორე დღეს კერძო საკუთრებაში რომ უვარდებოდნენ? საბოლოოდ არავის უნახავს არანაირი დოკუმენტი შოთა მეფარიძის მექრთამეობისა და ტყის უკანონოდ ჩეხვა-გაყიდვისა. „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაშიც ვერაფერი ამოუქექეს, სამაგიეროდ ხნიერ კაცს ინფარქტი დამართეს და შეიწირეს კიდეც. ეს არის თქვენთვის სამაგალითო ტელევიზია?!

იქნებ მაშინ იყო „რუსთავი 2“ კარგი, როდესაც მისი ჟურნალისტები რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილ უფროს **აკაკი ჩხაიძეს** უვარდებოდნენ კაბინეტში და უტიფრად მოითხოვდნენ, რომ რკინიგზის საფინანსო განყოფილებას მათთვის მიეცა ის დოკუმენტაცია, რომლის ნახვის უფლება, შესაბამისი სპეციალური სამსახურების გარდა, არავის აქვს? იქნებ ეს იყო „ძალიან მაგარი“ ჟურნალისტიკის ნიმუში თქვენთვის?

შესაძლოა, ის ამბავი მოგეწონათ ძალიან, კულტურის ყოფილ მინისტრ **ვალერი ასათიანს** სატანისტური რიტუალების ჩატარება და ორი ადამიანის მკვლელობა და მათი დანაწევრებული გვამების დაწვა რომ დააბრალეს. მოგვიანებით იმ პატიმარმა, რომელსაც მაშინ „რუსთავი 2“-მა ეს ათქმევინა, აღიარა, რომ ეს ცილისწამება ყურადღების მიქცევის მიზნით მოიგონა, „რუსთავი 2“-ს კი ვალერი ასათიანისთვის ბოდიშიც არ მოუხდია. კიდევ უამრავი მსგავსი ფაქტის გახსენება შეიძლება. ეს არის თქვენთვის „კარგი რუსთავი 2“?

თუ არა, მაშ, რატომ ამბობთ სისულელეს, რომ ეს სამარცხვინო ტელევიზია თუნდაც ერთი დღით ან ერთი საათით მაინც კარგი ტელევიზია იყო და იქ პროფესიონალები მუშაობდნენ (პროფესიონალი პროვოკატორები, ყალბისმქნელები და „შემვარდნელები“ კი, მაგრამ პროფესიონალი ჟურნალისტები?!)? რატომ არც ერთ „პროფესიონალს“ არ მოუვიდა აზრად, რომ გაეპროტესტებინა ასეთი საზიზღარი ცისლიმწამებლური სიუჟეტები იმ ტელევიზიაში, რომელშიც მუშაობდა?

აქ მიზეზი სხვა რამაა — იმხანად **ედუარდ შევარდნაძის** ხელისუფლება ხალხს მოყირჭებული ჰქონდა და, ასე ვთქვათ, „უსწორდებოდა“ მისი მინისტრების ლანძღვა-თათხვა, დიდი ენთუზიაზმით იჯერებდნენ მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებას, სრულიად დაუსაბუთებელსა და აბსურდულსაც კი.

აი, ამით სარგებლობდა ბოროტად ეგ თქვენი „კარგი“ „რუსთავი 2“ და, როგორც ჩანს, თქვენ, უბრალოდ, „განწყობა“ გაქვთ დამახსოვრებული და არა რეალური ფაქტები.

თქვენს განწყობაში „რუსთავი 2“ „ცუდებს ებრძოდა“ (მერე რა, რომ პროვოკაციებითა და ყალბისქმნით) და თქვენ ეს უპირობოდ „კარგი ტელევიზიის“ კრიტერიუმად მიგაჩნიათ. სინამდვილეში კი, უსამართლობა, ცილისწამება, შანტაჟი, პროვოკაცია ყოვლად მიუღებელია კარგი ტელევიზიისთვის, როგორც არ უნდა მოგწონდეს ის მთავრობა, რომელსაც ვითომ „ებრძვი“ (ბრჭყალები იმიტომ, რომ სინამდვილეში „რუსთავი 2“-ს სახელისუფლო „კრიშა“ არასოდეს აკლდა). ალარავისთვის არის საიდუმლო, რომ „რუსთავი 2“-ის დაარსებასა და შემდეგ „გაქაჩვაში“ უდიდესი წვლილი შეიტანა აწ გარდაცვლილმა **ზურაბ ჟვანიამ**, რომელიც იმხანად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყანში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსი იყო. ამ ტელევიზიაზე იმთავითვე (სანამ ბოლომდე ჯიბეში ჩაიდებდა) უდიდესი გავლენა ჰქონდა ქვეყნის მაშინდელი მმართველი პარტიის — „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერსა და შემდგომ შევარდნაძის მინისტრთა კაბინეტის იუსტიციის მინისტრს — **მიხეილ სააკაშვილს.**

მაშ, მიპასუხეთ: რანაირად იყო „რუსთავი 2“ ხელისუფლებების წინააღმდეგ მებრძოლი „ხალხის ტელევიზია“? არა, ბატონებო, ის ყოველთვის იყო ყველაზე ბინძური მეძავი ტელევიზია, რომელსაც სახელისუფლო წრეები „კრიშავდნენ“, უბრალოდ, ხან ერთ სახელისუფლო ფრთას მიეყიდებოდა, ხან — მეორეს; ხან ერთი სახელისუფლო ფრთა ატრიალებდა თავის ჭკუაზე, ხან — მეორე. შესაბამისად, „რუსთავი 2“ ხალხის გვერდით კი არ იდგა მთავრობების წინააღმდეგ, არამედ სამთავრობო ინტრიგების ხლართვას ემსახურებოდა და უბინძურეს დაკვეთებს ასრულებდა ყოველთვის.

მაშინდელ ჟურნალისტებს ისიც კარგად ემახსოვრებათ, რომ მინისტრები პრესკონფერენციებსა და ბრიფინგებსაც კი არ იწყებდნენ, სანამ „რუსთავი 2“-ის ჯგუფი არ მივიდოდა. პირადად ვარ შემსწრე არაერთხელ, რომ, დავუშვათ, 11 საათზე დანიშნული საგანგებო ბრიფინგი ამა თუ იმ უწყებაში საათნახევრიანი დაგვიანებით დაწყებულა, რადგან „რუსთავი 2“ გადამღები ჯგუფის გამოგზავნას ვერ ახერხებდა. რატომ არ ხდებოდა იგივე სხვა ტელევიზიების მიმართ? **თვით „რუსთავი 2“-ელებიც ყოველგვარი ადამიანური და პროფესიული ეთიკის უგულებელყოფით ძალიან უტიფრად სარგებლობდნენ ამ სამთავრობო პრივილეგიებით და ყოველთვის ზემოდან უყურებდნენ კოლეგებს...**

სხვათა შორის, სწორედ ამ დღეებში ერთ-ერთ ტელეარხზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილს** დაუსვა კითხვა ჟურნალისტმა „რუსთავი 2“-ის დაარსების დეტალების შესახებ. უსუფაშვილმა, რომელიც იმ წლებში აწ უკვე კარგად ცნობილი სოროსული ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე იყო, ასეთი პასუხი გასცა: **„მე მახსოვს, როგორ ჩამოვიდა რუსთავიდან მაშინ ეროსი კიწმარიშვილი და მოვიდა სწორედ ჩვენთან — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ტელევიზიის დაარსების საკითხებთან დაკავშირებით. იქ შედგა ყველა საჭირო კონსულტაცია, შეხვედრები და საბოლოოდ დაარსდა „რუსთავი 2“.** დამეთანხმებით, უსუფაშვილის პასუხი საკმაოდ ბუნდოვანია და ფაქტია, რომ ყოფილი „რესპუბლიკელ-სოროსელი“ რაღაცას მალავს და ბოლომდე არ ამბობს. თუმცა მთავარი კითხვის დასმა მაინც შეიძლება: **რა უნდოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიასაშუალების, ტელევიზიის დაარსების მსურველ ეროსი კიწმარიშვილს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში? რომელი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეგ იყო?** ან მითხარით, თუ იცით რომელიმე სხვა ტელევიზია და მედიასაშუალება, რომელიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში საჭირო ხალხთან „შეხვედრებისა და კონსულტაციების“ შედეგად დაარსდა?

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი — დავით უსუფაშვილმა ახსენა „ნაცების“ ხელისუფლების ყოფილი თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ოქრუაშვილი**, რომელიც იმხანად ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი გახლდათ. **„ირაკლი ოქრუაშვილთან მე მაკავშირებს ის წლები, როდესაც საქართველოს კონსტიტუციას „კერასინკაზე“ გამთბარი ხელებით ვწერდით“,** — განაცხადა უსუფაშვილმა. მოგეხსენებათ, მოგვიანებით ირაკლი ოქრუაშვილის სახელი ასევე მჭიდროდ დაუკავშირდა „რუსთავი 2“-ს. დავსვათ კიდევ ერთი შეკითხვა: **კი მაგრამ, ვინ იყვნენ ეს ადამიანები? გინდაც უსუფაშვილი, გინდაც ოქრუაშვილი და სხვები — ბოკერია, ხიდაშელი და ასე შემდეგ, რომელთა წლოვანება იმხანად 20-25 წელს არ აღემატებოდა, რა დამსახურებისა და რომელი გამოცდილების გამო აწერინებდნენ მათ საქართველოს კონსტიტუციას, აარსებინებდნენ ტელევიზიებს, აბარებდნენ ქვეყნის ბედს?! ფაქტია: ესენი არიან სპეცსამსახურების (უცხოური) მიერ გარკვეული ნიშნით შერჩეული ჯგუფები, რომელთა ხელშიც იყო იმთავითვე „რუსთავი 2“ და ჯერ კიდეც ბევრ რამეში გაუთვითცნობიერებელი ქართველი საზოგადოებაც დაუღეჭავად ყლაპავდა ყველა იმ ბინძურ დაკვეთას, რომლებსაც ეს მედიასაშუალება უტიფრად ასრულებდა.**

უკვე ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2012 წლის მოვლენებამდე, „რუსთავი 2“, ტელევიზია კი არა, მთავრობის ნასუფრალი მაგიდის გადასაწმენდი ჩვარი რომ იყო, ამაზე „გულწრფელობის“ ხასიათზე დამდგარმა ირაკლი ოქრუაშვილმაც ილაპარაკა **ინგა გრიგოლიას** გადაცემაში და ეს „ნიჭიერი იურისტი“ იმდენსაც ვერ მიხვდა, რომ **„ტელევიზია ჩვენ წამოვიღეთ“, „როცა მოითხოვეს, მე ვუთხარი: ტელევზია მიეცით“** და სხვა მსგავსი „მაფიოზური“ ტერმინებით საუბარი, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება იყო იმის დასტურად, „რუსთავი 2“-ს და ყველა დანარჩენ მედიასაშუალებასაც თავის ჭკუაზე როგორ ატრიალებდა იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი და მისი „შეფი“ მიხეილ სააკაშვილი.

სხვათა შორის, არც „თავისუფალ ჟურნალისტ“ ინგა გრიგოლიას ჰქონია მძფრი რეაქცია და მაშინ, როდესაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი „წავიღეთ, წამოვიღეთ, მივეცით, გამოვართვით“-ო, ყვებოდა „რუსთავი 2“-ზე, თითქოს ეს, ტელევიზია კი არა, სათამაშო ნივთი იყო, ინგა გრიგოლიამ მხოლოდ ორჯერ, მოკრძალებით წამოიკნავლა: **„ბატონო ირაკლი, არ გეჩვენებათ, რომ, ცოტა არ იყოს, არაადეკვატური ტერმინებით საუბრობთ?“** ყველამ ვიცით, „ქართული ოცნების“ რომელიმე მინისტრს რომ ეთქვა, „ტელევიზია წავიღე-წამოვიღეო,“ რა ისტერიკასაც მოუწყობდა მას ეთერში „თავისუფალი ჟურნალისტი“ გრიგოლია... სხვათა შორის, „გრიგოლია და კომპანია“ იმ შემთხვევაშიც ატეხდნენ „მედიაისტერიკას“, რომელიმე ტელევიზიის გენერალურ დირექტორად „ქართულ ოცნებას“ რომ დაენიშნა ყოფილი პროკურორი. „რა ესაქმება პროკურორს მედიაში?“ — თვალების დაქაჩვით დასვამდა კითხვას ინგა...

ახლა კი სხედან პატივცემული „ექსპერტები“ და თვალში ნაცარს გვაყრიან, თითქოს 2003 წლამდე „რუსთავი 2“ არ იყო უსირცხვილო, ბინძური და ყველაფრის მკადრებელი ტელევიზია და ის ასეთად მხოლოდ 2003 წლის შემდეგ აქციეს ხელისუფლებაში მოსულმა ნაცებმა...

სანამ ყველა ფაქტს სწორად არ შევაფასებთ, ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ და მომავალ თაობას სიმართლეს არ ვეტყვით, ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოს ვერასდროს დაემსგავსება!

ინტერვიუ გაგრძელებით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჭუბურხინჯში, ხიდთან აფხაზებს რომ შევხვდით, პირდაპირ მითხრეს — ომი იწყებაო. მართალია, არ ვიცით, სად — აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში და როდის, მაგრამ შეტაკება გარდაუვალიაო. იმავე პერიოდში ჩვენ მხარესაც ვრცელდებოდა აზრი, რომ იწყებოდა ომი, ხან აფხაზეთს იტყოდნენ, ხან — ცხინვალს. 2006-07 წლები იყო. არაერთხელ ვცადე საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარებისთვის ხელის შეწყობა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობიდან“ მითხრეს, ომი იწყება და მოლაპარაკებას აზრი არ აქვსო“.**

# სარდალი, რომელმაც სიმართლე თქვა

## «დამოუკიდებელი ქვეყანა გვქვია, თორემ პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდზე ვართ დამოუკიდებელი»

**2019 წლის 20 ივლისს, შემოჩვეული ქარების ღამეს, გარე განათების ბოძის ყვითელი ნათურა ფიქრის გორაზე უკანასკნელი ერთსართულიანი სახლის უფანჯრო კედელზე ხის ტოტების ჩრდილებით „მოძრაობის თეატრის“ შავ-თეთრ სცენებს ხატავდა. ისეთივე არეულსა და მოსაბეზრებელს, როგორც აქედან ხელის გაწვდენაზე, პარლამენტის შენობის წინ ერთი თვის წინათ დაწყებული და აჩაჩა ურემივით გზადაუმთავრებელი მიტინგების სერია დღემდე მიიზლაზნება. ბუნება და ქვეყანა ერთნაირად აირია. ერთიანად. ვკითხოთ გონებადამჯდარ ადამიანებს, როგორ აფასებენ ასეთ კატაკლიზმს.**
**რას ფიქრობენ. რა აწუხებთ.**
**ისეთმა რა „გლობალურმა დათბობამ“ დაგვრია ხელი, რომ ურთიერთობათა გამყინვარების კატასტროფულ მორევში ჩაგვითრია და ჩაგვატრიალა?!**
**ვკითხოთ გიორგი შერვაშიძეს — გენერალ-ლეიტენანტს, რომელიც 1996-დან 2004 წლამდე საქართველოს შინაგანი ჯარის სარდალი იყო, მოღვაწეს, ინტელექტუალს, წარმოშობით აფხაზს, სულისკვეთებითა და საქმით ჭეშმარიტ ქართველს. ამჟამად რასა იქმს, რას საქმიანობს, ბოლოს გეტყვით.**


გიორგი შერვაშიძე

### ჯარი დაშალეს, ტერიტორიები გაყიდეს

**— ბატონო გიორგი, წლებია, აღარ არსებობს შინაგანი ჯარი. იქნებ, შეახსენოთ ჩვენს მკითხველებს, რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ამ სახელმწიფო ძალოვან სტრუქტურას?**

— მთავარი ფუნქცია იყო მშვიდობიანობის პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ყველა იმ ღონისძიებაში მონაწილეობა, რომელშიც ჩართვას მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ შს მინისტრი და პრეზიდენტი, უპირველესად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში მონაწილეობა და ა.შ. ამჟამად ამ ფუნქციებს ასრულებს სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი.

რეფორმირების იდეა სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გაჩნდა. მაშინ შინაგან ჯარს ქვედანაყოფები ჰქონდა გურიაში, აჭარაში, კახეთშიც და ქართლშიც, რა თქმა უნდა. 10 000 კაცამდე იყო პირადი შემადგენლობა.

**— დიდი ძალა იყო.**

— დიახ. შეუმცირდა არეალი. მიზეზი — არ გვჭირდებაო. რატომ არ სჭირდებოდათ, არ ვიცი. შინაგანი ჯარის სტრუქტურები პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, განსხვავება მხოლოდ სახელწოდებებშია. ზოგან ჰქვია გვარდია, ზოგან — ჟანდარმერია, სხვაგან — შინაგანი ჯარი და ა.შ.

„რეფორმირებული“ შინაგანი ჯარის ფუნქცია ფორმალურად დარჩა იგივე, როგორიც იყო, მაგრამ **ჩვენთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პრაქტიკულად მიტინგების დაშლად გადაიქცა.**

დღეს ეს სტრუქტურა თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი. 2003 წლისთვის კი, როცა ცნობილი „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მოძრაობა დაიწყო, ჩვენ მხოლოდ ხელკეტები და ფარები გვქონდა. არც წყლის ჭავლის სპეციალური მანქანა, არც რეზინის ტყვიები თავისი იარაღით, არც ცრემლმდენი აირი არ გვქონდა. მორჩა და გათავდა!..

**— მაინც რატომ დაშალეს შინაგანი ჯარი? მისი ერთგულების იმედი არ ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— რაღაცაში შეუშალა ხელი შინაგანმა ჯარმა. რაღაც დაპირისპირება დაიწყო მაშინ სარდალ **გოგი თავთუხაშვილსა** და ხელისუფლებაში მყოფ პირებს შორის. სარდალს, რა თქმა უნდა, არ სურდა, დაშლილიყო შინაგანი ჯარი, მაგრამ მას არავინ არაფერს ეკითხებოდა.

ამას გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაშლის **ერთ-ერთი მიზეზი იყო შინაგანი ჯარის მიერ დაკავებული ტერიტორიების გასხვისება: რა ბაზებიც კი გაგვაჩნდა, გაყიდეს.**

მაგალითად, ყოფილი მერვე პოლკის უდიდესი ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობებით, თუ არ ვცდები, მიჰყიდეს რომელიღაც თურქულ ფირმას. გაყიდეს გორის ბატალიონის ტერიტორია, გასხვისდა ჩვენი შტაბი, რომელიც მეტროპოლიტენის სადგურ „დელისთან“ იყო. ზუგდიდში შეინარჩუნეს, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს აფხაზური ფაქტორი. დანარჩენი გაასაღეს.

**— ესე იგი, სახელმწიფო ტერიტორიებით ვაჭრობდნენ? მე ასე გავიგე თქვენი პასუხის ქვეტექსტი.**

— მე მხოლოდ ფაქტები დაგისახელეთ...

ორიოდე სიტყვას ერთგულების იმედის არქონაზეც გეტყვით. როგორც ვიცი, შინაგანი ჯარის მაშინდელ სარდალსა და მიხეილ სააკაშვილს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობისას გოგი თავთუხაშვილი მისი დაცვის უფროსი იყო. ჩემი სარდლობის პერიოდში ბრიგადის მეთაურის მოადგილის თანამდებობიდან წავიდა. შემდეგ, როგორც გითხარით, სარდალი გახდა. თავდაპირველად ნდობა მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ შემდეგ რაღაც უთანხმოება გაჩნდა. რა იყო მიზეზი, არ ვიცი, მაგრამ შედეგად შინაგანი ჯარი დაიშალა.

### „სად დავჭარ და სად გაწყდაო“

**— თქვით, როგორი მწირი იყო შინაგანი ჯარის აღჭურვილობა სპეციალური ტექნიკით: არც რეზინის ტყვიები, არც სხვა რამ. დღეს აქვთ.**

**20-21 ივნისის ცნობილი მოვლენების შემდეგ რეზინის ტყვიებს „დათვის შესაშინებელ“ თუ „დათვის შესაჩერებელ“ საშუალებად მოიხსენებენ, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ დაჭრილ დათვზე საშიში მხეცი ძნელად წარმოსადგენია. შეშინებასა და შეჩერებაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში სისულელეა.**

**პოლიციის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გასაძლიერებლად ხომ არ შემოაგდეს ეს ტერმინი? მხეცის შესაჩერებელი ტყვიების გამოყენებით დაჭრეს და თვალები დასთხარეს ადამიანებს მათ მიერ კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენების დროსო(!)...**

— აგიხსნით: ეს „შესაჩერებელი“ ტყვიები რეზინის ტყვიებზე ძლიერია. დღეს ხომ შეგვიძლია ყველაფერი ვთქვათ და ვილაპარაკოთ ისე, რომ პასუხს არავინ მოგვთხოვს, არავინ იკითხავს, მართალს ვლაპარაკობთ თუ ტყუილს. პრაქტიკულად ამაზეა აგებული ოპოზიციის ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ და — პირიქითაც. სურთ, დათვის შესაშინებელს დაარქმევენ, სურთ — დინოზავრის.

ნათქვამზე კი არა, ნამოქმედარზე არავის სთხოვენ პასუხს.

**— თვალში ტყვიის მოხვედრა ოპტიკურსამიზნიანი შაშხანით შეიძლება ან „ვოროშილოვსკი სტრელოკი“ (როგორც უწინ იტყოდნენ) უნდა იყოს სპეცრაზმელი.**

ან შემთხვევის ბრალია.

არაო, — მინისტრმა გასცა ასეთი განკარგულება, და გადადგესო...

— გეთანხმებით, რომ თვალში მოხვედრა ან ოპტიკური სამიზნის გამოყენებით შეიძლება ან „ვოროშილოვის მსროლელი“ უნდა იყო. გამორიცხული არ არის შემთხვევითობაც. როცა ბევრი გასროლაა, თანაც თავში თუ უმიზნებ, შეიძლება თვალში მოახვედრო.

**მიმაჩნია, რომ მინისტრს ამის ბრძანება არ გაუცია. ბრძანება გასცა კანონმა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც წინასწარ იყო შედგენილი. სწორედ ამ გეგმით მოქმედებდა სპეცდანიშნულების დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა.**

ფაქტებით ვილაპარაკოთ: ჯერ გაუშვეს ცრემლმდენი გაზი, დაშალეს პარლამენტში შესაღწევად ამხედრებული ხალხი. თავდაპირველად პარლამენტში შევარდნის მცდელობა ჰქონდა ერთ ჯგუფს, რომელიც, ეტყობოდა, ამისთვის კარგად იყო მომზადებული. პროვოცირებას ბევრი არაფერი უნდა: 50 კაცი წინ რომ დააყენონ და დაიწყონ მოქმედება, ხალხი აჰყვება.

**— ეგ ზალტირებული ბრბოს პრინციპია.**

— დიახ. უკან თუ მოიხედავს ავანგარდის რიგებში მყოფი და დაინახავს, რომ ხალხის მასა დგას, მიიჩნევს, რომ მას უჭერენ მხარს და შეუტევს მეტი გაბოროტებით.

პროვოცირებული იყო, რაც მოხდა.

შემდეგ მცირე ხნით სიტუაცია დამშვიდდა, მაგრამ მალევე გაჩნდა შეტევის ახალი ტალღის აგორების მცდელობა. კვლავ რომ შეუტიეს, უნდა ამოქმედებულიყო და ამოქმედდა კიდეც გეგმის ის პუნქტები, რომლებიც ასეთი შემთხვევისთვის იყო გათვალისწინებული.

სამჯერ შეეცადნენ პარლამენტში შეჭრას. დაშლას არ აპირებდნენ. სპეცდანიშნულების დეპარტამენტიც გეგმის მიხედვით იგერიებდა შეტევებს.

### შეცდომებს თავი ვერ აარიდეს

**— შეცდომა იყო ის, რომ უკვე დაშლილი მიტინგის მონაწილეებს ძალიან შორს მიჰყვნენ, „რედისონამდე“ სდიეს, მაგალითად. მეორე შეცდომა იყო ის, რომ პარლამენტის წინ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ბეჭებს ზემოთ არ უნდა ესროლათ აქციის მონაწილეებისთვის. გამორიცხულია, რომ ვინმემ გასცა თავში დამიზნებით სროლის ბრძანება, რაც ზუსტად ნაციონალების ხელწერა იყო. ეტყობა, იქ იყვნენ პროვოკატორები, რომლებმაც სპეციალურად გააკეთეს ის, რასაც შემდეგ ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა.**

დღემდე ლობე-ყორეს ედება 20-30-კაციანი ჯგუფი და გაიძახის, — გახარია გადადგესო, რითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ პროვოკატორების მომხრეებად გვევლინებიან.

**— ბატონო გიორგი, თქვენმა ნათქვამმა განმიმტკიცა ეჭვი, რომ 20-21 ივნისს გადაღებული ტელეკადრები უკვე სადღაც მქონდა ნანახი: სპეცრაზმელი, რომელიც დამიზნებით ესროდა მომიტინგეებს, მოუქნელი ფიგურით, დგომის, იარაღის ხელში დაჭერის, დამიზნების მანერით მხეცურ ჟინს აყოლილი, აბსოლუტურად იმეორებდა 26 მაისს გადაღებულ კადრებში აღბეჭდილი ვანო მერაბიშვილის სპეცრაზმელის გამოსახულებასა და განწყობილებას. თქვენ არ გამორიცხეთ, რომ იყვნენ ასეთი პროვოკატორები?**

— არ გამოვრიცხავ კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ იყვნენ. მაგრამ წლევანდელ ივნისს 26 მაისს ნუ შევადარებთ, იქ მსხვერპლი იყო და ეს ჩვენმა საზოგადოებრიობამ კარგად იცის — ჯიხურის თავზე შემოდებული ორი ადამიანის გვამი, ასობით დაჭრილი და დასახიჩრებული.

**— ორი გვამი — იქ, ორი გვამის მოთხოვნა მერაბიშვილის მიერ: რიცხვი 22 ხომ არ არის ყოფილი ხელისუფლების ჯოჯოხეთური ნიშანი, როგორც სატანისტური სამი ექვსიანი და ჰიტლერის საყვარელი 555?!**

— შემდეგ ამ პროვოკაციულ აქციას შეუერთდნენ (თქვენმა მკითხველმა კარგად იცის) ლგბტ-აქტივისტები, კლუბ „ბასიანის“ წევრები და დღემდე მხიარულობს ის კრება, ლანძღავენ და აგინებენ ყველასა და ყველაფერს, მათ შორის, ეკლესიასა და პატრიარქს.

**ალბათ, ეს არის ევროპული დემოკრატია; ალბათ, ეს არის პრობლემისადმი „ცივილიზებული“ მიდგომა. არ მესმის, უმცირესობის უფლებათა დასაცავად რატომ უნდა გადაუარონ უმრავლესობას?! აბსურდულ ვითარებაში ვცხოვრობთ 1991 წლიდან დღემდე.**

### იქ რომ ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?

**— ერთი უხერხული შეკითხვა უნდა მაპატიოთ.**

— გისმენთ.

**— შინაგანი ჯარი რომ არ დაშლილიყო, თქვენ სარდლად დარჩენილიყავით და 20-21 ივნისის მოვლენების ეპიცენტრში მოხვედრილიყავით, რას იზამდით?**

— მიტინგს დავშლიდი, რა თქმა უნდა. მე რომ მყოლოდა ასეთი მომზადებული პირადი შემადგენლობა, სპეცსაშუალებებით ამგვარად აღჭურვილი, კარგად დავშლიდი — თვალის ამოთხრისა ▶

**„შეცდომა იყო ის, რომ უკვე დაშლილი მიტინგის მონაწილეებს ძალიან შორს მიჰყვნენ, „რედისონამდე“ სდიეს, მაგალითად. მეორე შეცდომა იყო ის, რომ პარლამენტის წინ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ბეჭებს ზემოთ არ უნდა ესროლათ აქციის მონაწილეებისთვის. გამორიცხულია, რომ ვინმემ გასცა თავში დამიზნებით სროლის ბრძანება, რომელიც ზუსტად ნაციონალების ხელწერა იყო. ეტყობა, იქ იყვნენ პროვოკატორები, რომლებმაც სპეციალურად გააკეთეს ის, რასაც შემდეგ ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა“.**

ინტერვიუ გაგრძელებით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და ზედმეტი გართულებების გარეშე.

— **სპეცრაზმელებს ფარებს რომ ართმევდნენ პარლამენტზე მისეული ჯგუფის მონაწილეები, ეს მიგაჩნიათ „ასე მომზადებულ პირად შემადგენლობად“?**

— სპეცდანიშნულების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანა იყო, შენობაში არ შეეშვათ მოძალადეები და მაქსიმალურად ცდილობდნენ, ზედმეტი ძალა არ ეხმარათ. ხელკეტებიც კი არ გამოუყენებიათ. ფარის წართმევა არ არის ძნელი, როცა მასა გიტევს, შენი ამოცანა კი მხოლოდ პოზიციის შენარჩუნებაა.

როცა იქ შეკრებილმა ხალხმა ნახა, რომ პარლამენტის შტურმი დაიწყო, ბევრმა მიატოვა მიტინგი, რადგან ამას არ ელოდნენ. მასა მიხვდა, რომ ორგანიზატორებმა და ე.წ. ლიდერებმა ღრმად შეტოპეს. ეს მომდევნო დღეებში მიტინგის მონაწილეთა რიგების შეთხელებასაც აშკარად დაეტყო.

20-30 პოლიციელი, თუ არ ვცდები, გამოათრიეს პარლამენტის დამცველთა კორდონიდან. ეს არის პოლიციელზე პირდაპირი თავდასხმა, რაც კანონით ისჯება.

და, რადგან ჩვენთან დემოკრატიის „ძალიან დიდი ხარისხია“, ყველას უნდა დავანახვოთ, ეტაპობრივად და კანონის სრული დაცვით რომ მიმდინარეობს გამოძიება. ეს **ყველა** კი არის ის ჯგუფი, რომელიც ყოველ საღამოს პარლამენტის წინ იკრიბება.

ცუდია, როცა დამნაშავეს უცებ კი არ მიაბრძანებენ იქ, სადაც ჯერ არს, არამედ თანდათან უნდა დავარწმუნოთო ნარკომანების, მამათმავლების, ოპოზიციის ჯგუფები, რომ მათ წინააღმდეგ კანონი არ ირღვევა. **დღეს მამათმავლები გვასწავლიან, ქვეყანა როგორ უნდა ვმართოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ. „სირისტიანების“ მოთხოვნით უნდა გადადგეს შს მინისტრი(?!).** მოთხოვნები ზოგჯერ შეიძლება პოზიტიურიც იყოს, მაგრამ ამათგან არ უნდა მოდიოდეს. ვაზუსტებ, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მაქვს გახარიას გადადგომის საკითხი. იგი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, მოქმედებდა აბსოლუტურად სწორად. ასეთი იყო მისი ვალდებულებაც.

### ვინ ვართ ჩვენ?

— დამოუკიდებელი ქვეყანა გვქვია, თორემ პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდზე ვართ დამოუკიდებელი.

— **თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ამას ამბობს.**

— რა თქმა უნდა! აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი რწმენის წართმევასაც ცდილობენ — **ებრძვიან მართლმადიდებლობას, როგორც ქართული თავისთავადობის არსსა და საფუძველს. მეტიც, გვაბრალებენ, რომ მართლმადიდებლობა ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას.**

თურმე დემოკრატიის წინააღმდეგ არის მიმართული ქრისტეს ათი მცნება, ხოლო ყველა ის უბედურება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს — ნარკოტიკები, ტრადიციების უგულებელყოფა, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებისკენ სწრაფვა, მამათმავლობა თურმე დემოკრატიის გამოხატულება და ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ძალებია.

ჩვენ მოწმენი ვართ, როგორ გააუბედურეს აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ქვეყნები. დაშლით ხომ დაშალეს, მაგრამ, როგორც კი ფეხზე წამოდგომას შეეცდებიან, დაუყოვნებლივ რაღაცას მოუწყობენ და პირვანდელ მდგომარეობაში აბრუნებენ. უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ, მგონი, „საქართველო და მსოფლიო“ ისე საფუძვლიანად აშუქებს საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს, რომ თქვენს მკითხველებს შეხსენება არ სჭირდება.

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებული სიძლიერით გრძელდება. მოლდოვაში, უკრაინაში, საქართველოსა და რუსეთში, რომლებიც მართლმადიდებელი ქვეყნებია, დააკვირდით, როგორი დუღილია, როგორ ცდილობენ გარე ძალები, ერთმანეთს დაუპირისპირონ ეს ოთხი ქვეყანა. იმ დიდი გეგმით, რომელიც ჩაფიქრებული აქვთ, შეძლეს იმის განხორციელება, რომ მეტ-ნაკლებად ერთ მხარეს არის უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, მეორე მხარეს კი დარჩა რუსეთი. ცდას არ აკლებენ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ დავიწყოთ ნამდვილი ომი. მართალია, მოლდოვაში ბოლო დროს რაღაც ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ამან საერთო სიტუაციაზე სერიოზული გავლენა ვერ იქონია.

იმაზეც არ უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ ამ ოთხივე ქვეყანაში ძალიან ბევრი შეცდომა არის დაშვებული ერთმანეთის მიმართ. ამასაც სათავისოდ იყენებენ. **თუ მართლმადიდებელმა ქვეყნებმა ერთმანეთს არ ვუშველეთ, პრაქტიკულად განწირულები ვართ; განსაკუთრებით, საქართველო, რომლის ინტერესები აბსოლუტურად უგულებელყოფილია, როგორც მოწინააღმდეგეების, ასევე მეტ-ნაკლებად, „სტრატეგიული პარტნიორების“ მიერაც.**

**«მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებული სიძლიერით გრძელდება. მოლდოვაში, უკრაინაში, საქართველოსა და რუსეთში, რომლებიც მართლმადიდებელი ქვეყნებია, დააკვირდით, როგორი დუღილია, როგორ ცდილობენ გარე ძალები, ერთმანეთს დაუპირისპირონ ეს ოთხი ქვეყანა. იმ დიდი გეგმით, რომელიც ჩაფიქრებული აქვთ, შეძლეს იმის განხორციელება, რომ მეტ-ნაკლებად ერთ მხარეს არის უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, მეორე მხარეს კი დარჩა რუსეთი. ცდას არ აკლებენ, რათა ერთმანეთის წინააღმდეგ დავიწყოთ ნამდვილი ომი»**



— **თუნდაც ჩვენი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების უმტკივნეულეს საკითხში.**

### ჩვენს ძმებთან კონტაქტი არ გვაქვს

— დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ პრაქტიკულად აკრძალული გვაქვს ლაპარაკი აფხაზებთან, ოსებთან.

— **ვინ გვიკრძალავს?**

— **მოდი, ასე ვთქვათ, გვიკრძალავენ ისინი, ვინც ებრძვიან მართლმადიდებლობას. გვიკრძალავენ კი იმიტომ, რომ შეხვედრები და საუბარი ჩვენს ძმებთან მიგვიყვანს რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობამდე.**

ერთი გადახვევის უფლებას მივცემ თავს.

2005 წელს, მაშინ, როცა ნაციონალური ხელისუფლება მართავდა ჩვენს ქვეყანას, ჩავედი სოხუმში. მეგობრებმა იქითა მხარეს გადამიყვანეს. შევხვდი რამდენიმე კაცს, მათ შორის ცნობილ **ბაგაფშს**, რომელიც იმხანად აფხაზეთის პრეზიდენტი იყო. ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობაზე — არა. მოთელვა შეიძლება დავარქვათ. მეორედაც ჩავედი. რაღაც ინტერესი გამოიჩინეს ჩემ მიმართ დიპლომატიურ კორპუსში. შემხვდა ესტონეთის მაშინდელი ელჩი საქართველოში, მითხრა, რომ იცის აფხაზეთში ჩემი ჩასვლის ამბავი, იცის ისიც, რომ წარმოშობით აფხაზი ვარ და ჩამესვლება. მაგრამ შენ, ქართველს, გენერლის სამხრეებიანს, როგორ გხვდებიან სოხუმში, ის მაინტერესებს, წამიყვანე და მაჩვენეო. ისიც დაუმატა, რომ არ მთხოვდა მხოლოდ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ევროპის ქვეყნებისა და აშშ ელჩებიც იყვნენ ამით დაინტერესებულები.

ჩავიყვანე, ბაგაფშსაც შევახვედრე, ესტონური სოფელი ესტონკაც ვანახვეთ.

ბაგაფშმა ჰკითხა ესტონეთის ელჩს: რატომ გაინტერესებთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობა?

ჩვენო, — უპასუხა სტუმარმა, როგორც ევროპული სახელმწიფოების სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ვალდებული ვართ, სრულყოფილად ვიცოდეთ იმ ქვეყანაში არსებული ვითარება, რომელშიც მოვლინებული ვართო.

ამაზე ბაგაფშმა უთხრა:

— თვით საქართველოს არ აინტერესებს და თქვენ რა გაწუხებთ?

— რას ნიშნავს, „საქართველოს არ აინტერესებს“?

— იმას, რომ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა (იმ მომენტში ნაცების ხელისუფლება ახალი იყო), ქართველს და აფხაზს საერთოდ არანაირ თემაზე ერთმანეთთან არ ულაპარაკია. სახალხო დიპლომატიას არანაირი ხელშეწყობა არ აქვს და საერთოდ აღარც არსებობს. ხოლო საქართველოს პრეზიდენტი ძალიან ცუდ განცხადებებს აკეთებს. გაუწონასწორებელი ახალგაზრდაა. ჩვენ ხელს გვაძლევს, ასეთი პიროვნება საქართველოს სათავეში რომ იდგეს, რადგან, ადრე თუ გვიან, ეს თავქარიანი ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებს. ჩვენ გამოვიყენებთ ამ შეცდომას იმისთვის, მსოფლიოს თუნდაც რამდენიმე ქვეყანამ რომ გვაღიაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოდო.

მისი ვარაუდი სამ წელიწადში გამართლდა.

მახსოვს, ჭუბურხინჯში, ხიდთან აფხაზებს რომ შევხვდით, პირდაპირ მითხრეს — ომი იწყებაო. მართალია, არ ვიცით, სად — აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში და როდის, მაგრამ შეტაკება გარდაუვალიაო. იმავე პერიოდში ჩვენს მხარესაც ვრცელდებოდა აზრი, რომ იწყებოდა ომი, ხან აფხაზეთს იტყოდნენ, ხან — ცხინვალს. 2006-07 წლები იყო.

არაერთხელ ვცადე საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის მშვიდობიანი განვითარებისთვის ხელის შეწყობა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობიდან“ მითხრეს, ომი იწყება და მოლაპარაკებას აზრი არ აქვსო.

ვუპასუხე, რომ სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად სწორედაც უნდა გამოვიყენოთ მშვიდობიანი მოლაპარაკება-მეთქი.

არა და არაო. ყველა გზა გადამიკეტეს.

### 222 – ნაციონალების ეშმაკისეული სამკაპა სიმბოლო

**სწორედ მაშინ ბაქიბუქობდა თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, — ახალ წელს ცხინვალიდან მოგილოცავთო. ეს ერთი, და მეორე, უკვე სხვა თემასთან დაკავშირებული მისივე წამონაროში: რუსეთში ფეკალიებსაც სიამოვნებით მიირთმევენო. ეს ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ავანტიურისტობით იყვნენ დაავადებული: ოქრუაშვილის ამ ორმა წამოყრანტალებამ ორჯერ კატასტროფის წინაშე დაგვაყენა: ერთმა — აგვისტოს ომის მომზადებასთან, მეორემ — ქართულ პროდუქციაზე რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესებასთან დაკავშირებით.**

**ესეც მესამე, ოქრუაშვილისეული ორიანი (ორ-ორ გვამს დამატებული) 222, რომელიც ნაციონალების ეშმაკისეულ სამკაპა სიმბოლოდ ისახება. ზემოთ მიგანიშნეთ).**

**ბატონი გიორგი ასკვნის:**

— 2008 წლის 8 აგვისტოს მოვლენებს ომს ვერ ვუწოდებთ. ეს იყო პოლიტიკური ღონისძიება, რომელსაც შეიძლება პატარა ომი დაერქვას — სამდღიანი თუ ხუთდღიანი, რომელიც ორივე მხარემ პოლიტიკურად თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

იმ მხარემ (სოხუმმა და ცხინვალმა) გამოიყენა იმით, რომ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებინეს.

ამ მხარემ (საქართველომ) კი იმით, რომ რუსეთს უწოდეს ოკუპანტი. ეს იყო ყველაზე „დიდი შედეგი“, რომელსაც, ნაცხელისუფლების აზრით, საქართველომ მიაღწია, და ატყდა არნახული ტაშფანდური: გავიმარჯვეთ და ვამხილეთ ოკუპანტი რუსეთიო.

* * *

**ჩინური ფოლკლორის ერთ-ერთი პერსონაჟი დიდი ჩხუბისთავი იყო. უმიზეზოდ შეუჩნდებოდა მავანს და, როგორც წესი, მაგრად გალახულ-დასისხლიანებული მიწაზე დაგდებული რჩებოდა. მავანი რომ წავიდოდა, წამოდგებოდა, მტვერს ჩამოიბერტყავდა და ყიჟინას დასცემდა:**

— **მე გავიმარჯვე!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**«დღეს მამათმავლები გვასწავლიან, ქვეყანა როგორ უნდა ვმართოთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ. «სირისტიანების» მოთხოვნით უნდა გადადგეს შს მინისტრი(?!). მოთხოვნები ზოგჯერ შეიძლება პოზიტიურიც იყოს, მაგრამ მათგან არ უნდა მოდიოდეს. ვაზუსტებ, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მაქვს გახარიას გადადგომის საკითხი. იგი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, მოქმედებდა აბსოლუტურად სწორად. ასეთი იყო მისი ვალდებულებაც»**

დედოლარიზაცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შორეულ პერსპექტივაში აშშ-ის სავალუტო სანქციები სიკეთედ გადაიქცევა. ეს აძლევს თურქეთს არგუმენტს, უარი თქვას ამერიკულ დოლარზე და ნელ-ნელა გადავიდეს აღმოსავლეთის ფულად ერთეულებზე, ძირითადად, იუანზე. ეს იქნება დოლარის კუბოში ჩაჭედებული კიდევ ერთი ლურსმანი, თუმცა ყველაზე მძიმე დარტყმა ვაშინგტონისთვის ნატოდან თურქეთის გასვლა იქნება. ეს, ადრე თუ გვიან, მოხდება, მიუხედავად ქალბატონ ფონ დერ ლაიენის ომახიანი მოწოდებებისა ნატოსკენ. ნატოს დაშლა გაანადგურებს ძალაუფლების დასავლურ სტრუქტურას ევროპასა და სრულიად მსოფლიოში, სადაც აშშ-ს ჯერ კიდევ აქვს 800-ზე მეტი სამხედრო ბაზა.**

# დოლარის კუბოში ჩაჭედებული კიდევ ერთი ლურსმანი — დედოლარიზაციის პროცესი შეუქცევადია

**რა მოხდება, თუკი ხვალ, აშშ-ის გარდა, არავინ გამოიყენებს ამერიკულ დოლარს? თითოეული ქვეყანა ან ქვეყნების თანამეგობრობა გამოიყენებს საკუთარ ვალუტას საშინაო და საერთაშორისო ვაჭრობისთვის — საკუთარ ვალუტას, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკონომიკაზე, და არა ქაღალდის ვალუტას, რომელიც დაფუძნებულია ბრძანებულებებზე. ეს შეიძლება იყოს ტრადიციული ვალუტები ან მთავრობის მიერ გაკონტროლებული ახალი კრიპტოვალუტები, მაგრამ ქვეყნების საკუთარი სუვერენული ფული. აღარ იქნება აშშ-ის დოლარი, აღარ იქნება დოლარის გერი — ევრო, აღარ იქნება აშშ-ის ბანკებისა და SWIFT-ის — გადარიცხვების საერთაშორისო სისტემის — მიერ გაკონტროლებული საერთაშორისო სავალუტო ოპერაციები. სისტემის, რომელიც შეერთებულ შტატებს უადვილებს, განახორციელოს ყველა სახის ფინანსური და ეკონომიკური სანქციები: უცხოური საშუალებების კონფისკაცია; ქვეყნებს შორის ვაჭრობის შეწყვეტა; „დაუმორჩილებელი“ სახელმწიფოების შანტაჟი, რა მოხდებოდა? მოკლე პასუხი ასეთია: ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთი ნაბიჯით ახლოს ვიქნებით მშვიდობასთან მსოფლიოში და ერთი ნაბიჯით შორს — ამერიკის (ფინანსური) ჰეგემონიისგან. უფრო განვითარდება ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტი ისეთ გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში, რომელშიც იქნება მეტი თანასწორობა.**



**თურქეთის მხრიდან ნატოზე უარის თქმა კატასტროფა იქნება აშშ-ისთვის, რადგან თურქეთი, როგორც სტრატეგიული, ისე სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი თუ არა, ერთ-ერთი ძლიერია ნატოს 29 წევრ სახელმწიფოს შორის. თუ თურქეთი გამოვა ნატოდან, ალიანსის არსებობა ეჭვქვეშ დადგება. სხვა ქვეყნებმაც, რომლებიც გაფაციცებით შეჰყურებენ ნატოს და ამ ალიანსის ატომურ იარაღს თავიანთ ტერიტორიაზე ინახავენ (განსაკუთრებით იტალია და გერმანია), შეიძლება დაიწყონ ნატოდან გამოსვლის საკითხის განხილვა. გერმანიაშიც და იტალიაშიც მოსახლეობის უმრავლესობა ნატოს წინააღმდეგია, განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ისინი პენტაგონის მიერ ომის წარმოებას გერმანიისა და იტალიის ტერიტორიებზე განლაგებული ნატოს ბაზებიდან**

იქამდე ჯერჯერობით ვერ მივედით, მაგრამ კედლებზე შესრულებული გრაფიტი გვაძლევს სიგნალს, რომ ჩვენ საკმაოდ სწრაფად ვმოძრაობთ ამ მიმართულებით. ეს იცის ტრამპმა, მისმა მმართველებმაც იციან. აი ამიტომ მატულობს გეომეტრიულ პროგრესიით ფინანსური დანაშაული — სანქციები, სავაჭრო ომები, უცხოური აქტივებისა და რეზერვების კონფისკაცია ან დაუფარავი ქურდობა (ეს ყველაფერი მოწოდებით — გადავაქციოთ „ამერიკა კვლავ დიად ქვეყნად“).

და ეს ხდება დაუსჯელად. საკვირველია, რომ ანგლოსაქსი ჰეგემონები, როგორც ჩანს, ვერ ხვდებიან; **ყველა მუქარა, როგორიც უნდა იყოს ის ფორმით, ეფექტიანია მხოლოდ მანამ, სანამ მსოფლიო დოლარს იყენებს ვაჭრობისთვის, აგრეთვე, როგორც სარეზერვო ვალუტას.**

ბევრმა ქვეყანამ შეიგნო, რომ დოლარი სულ უფრო გამოიყენება მათი ეკონომიკების მანიპულაციისთვის. აშშ-ის დოლარმა — ფიატურმა (სიმბოლური, ძვირფასი ლითონებით არაუზრუნველყოფილი ფული) ვალუტამ — ფულადი მასის წყალობით შეიძლება ქედი მოახრევინოს ნებისმიერი მიმართულების ნაციონალურ ეკონომიკას, იმის მიუხედავად, რომელი მიმართულებით „უჭერს მხარს“ ჰეგემონი ამა თუ იმ ქვეყანას.

**დღეს დოლარი „ცხელ ჰაერსაც“ კი არ ეფუძნება. ის იმ ქაღალდზე იაფი ღირს, რომელზეც არის დაბეჭდილი. 2019 წელს აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტი 21,1 ტრილიონი დოლარი იქნება (მსოფლიო ბანკის შეფასება), ამასთანავე, მიმდინარე ვალი 22,0 ტრილიონი დოლარია — მშპ-ს დაახლოებით 105%. 2019 წელს, პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოს მშპ იქნება 88,1 ტრილიონი დოლარი (მსოფლიო ბანკი).** „ფორბსის“ მონაცემებით, დაახლოებით 210 ტრილიონი დოლარი „არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია“ (სუფთა ღირებულება სამომავლოდ პროგნოზირებული, თუმცა არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებისა 75 წლის განმავლობაში — ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო უზრუნველყოფა და ვალის დაგროვებული პროცენტები), რაც დაახლოებით 10-ჯერ აჭარბებს აშშ-ის მშპ-ს, ხოლო მსოფლიოს ეკონომიკის მშპ-ს — 2,5-ჯერ.

ეს მონაცემი მატულობს იმის შესაბამისად, როგორც რთულდება ვალის პროცენტები — წარმოქმნიან ნაწილს იმისა, რასაც ბიზნესტერმინით ეწოდება „ვალის მომსახურება“ (პროცენტი და ვალის ამორტიზაცია), მაგრამ უკან არასოდეს „ბრუნდება“. ამას გარდა, მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 2 კვადრილიონი დოლარის (ზუსტი რაოდენობა არავინ იცის) ე.წ. დერივატივები.

**დერივატივი** — ეს არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც თავის ღირებულებას აყალიბებს საბაზისო აქტივების სპეკულაციური სხვაობის საფუძველზე. ამ აქტივებს კი იღებს ისეთი უცნაურობებიდან, როგორიც არის „ფიუჩერსები“, „ოფციონები“, „ფორვარდები“ და „სვოპები“, რომლებიც მიმოიქცევა ბანკთაშორის მოედნებსა და საფონდო ბირჟებზე.

ეს საშინელი ვალი ნაწილობრივ ასახულია სახაზინო ობლიგაციებში, როგორც უცხო სახელმწიფოების სავალუტო რეზერვები. ამერიკის სახელმწიფო ვალის დიდ ნაწილს ფლობს თვით აშშ — „მისი დაბრუნების არანაირი გეგმით“, თუმცა, როგორც ჩანს, გეგმა არის ის, რომ „შეიქმნას“ კიდევ მეტი ფული, მეტი ვალი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ომების დაფინანსება, იარაღის წარმოება, სიცრუის პროპაგანდა და მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა.

ყველაფერი ეს წარმოადგენს დოლარის უზარმაზარ მსოფლიო სისტემას. წარმოიდგინეთ, რომ ეს ვალი ინგრევა. მაგალითად, იმიტომ, რომ რამდენიმე მსხვილი ბანკი (უოლ-სტრიტზე) გაკოტრების პირასაა და უფრო პატარა ბანკები მოითხოვენ, დაუბრუნონ გაუნაღდებელი დერივატივები, „ქაღალდის ოქრო“ (კიდევ ერთი საბანკო აბსურდი) და სხვა ვალი. **ეს გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას, რომელიც ჩამოშლის დოლარზე დამოკიდებულ მსოფლიო ეკონომიკას. ეს შექმნის გლობალური მასშტაბის კრიზისს „LEHMAN BROTHERS-2008“ -ის (ამერიკული საინვესტიციო ბანკი, რომელიც 2008 წელს გაკოტრდა) სტილში.**

მსოფლიო სულ უფრო აცნობიერებს ამ რეალურ საფრთხეს — **გლობალური ეკონომიკა აგებულია ბანქოს ქაღალდის სახლის მსგავსად და ქვეყნებს სურთ, თავი დააღწიონ დოლარის ეშვებისგან შექმნილ ხაფანგს; ამის გაკეთება იოლი არ არის დოლარის რეზერვებისა და აქტივების გათვალისწინებით, რომლებიც ინვესტირებულია ნაციონალურ სახელმწიფოებში. პრობლემა შეიძლება მოგვარდეს ამ ყველაფრის (აშშ-ის დოლარის ლიკვიდურობისა და ინვესტიციების) თანდათანობით თავიდან მოშორებით და გადასვლით ისეთ ვალუტაზე, რომელიც დოლარზე დამოკიდებული არ არის, მაგალითად, ჩინურ იუანზე, რუსულ რუბლზე ან აღმოსავლურ ვალუტებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის დოლარსა და მისი გადახდების საერთაშორისო სისტემა SWOFT-ზე, ფრთხილად უნდა ვიყოთ ევროს მიმართ, ის ამერიკული დოლარის შვილობილია!**

სულ უფრო ხშირად ჩნდება ბლოკჩეინის ტექნოლოგიების ალტერნატივები. ჩინეთი, რუსეთი, ირანი და ვენესუელა სანქციების გვერდის ავლის მიზნით, იმ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, რომლებშიც დოლარია გაბატონებული, უკვე ატარებენ ექსპერიმენტს სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებულ კრიპტოვალუტებზე გადახდებისა და გადარიცხვების ახალი სისტემის შესაქმნელად.

**ინდოეთი** შეიძლება შევიდეს (შეიძლება — არა) ამ კლუბში — ეს დამოკიდებულია იმაზე, რას გადაწყვეტს **ნარენდრა მოდის** მთავრობა, საით გადაიხრება ის — აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ. ლოგიკის მიხედვით, ინდოეთმა ორიენტაცია უნდა აიღოს აღმოსავლეთზე, რადგან ეს ქვეყანა უზარმაზარი ევრაზიული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია. ინდოეთი უკვე არის **თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო)** აქტიური წევრი. ეს არის ასოციაცია ქვეყნებისა, რომლებმაც შეიმუშავეს მშვიდობიანი სტრატეგია ვაჭრობის, ფულად-საკრედიტო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში. თშო-ს წევრები არიან **ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი, შუა აზიის ქვეყნების უმრავლესობა,** ხოლო **ირანი** ელოდება, მოიპოვოს ამ ორგანიზაციის ნამდვილი წევრის სტატუსი. ამრიგად, **თშოზე მოდის მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი და მსოფლიოს ეკონომიკის მესამედი.**

დასავლური მედიასაშუალებები თითქმის არ ახსენებენ თშო-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ დასავლელი საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, რა არის თშო და რომელი ქვეყნებია მასში გაერთიანებული. სახელმწიფოების მიერ გაკონტროლებული და რეგულირებული ბლოკჩეინის ტექნოლოგია შეიძლება გასაღები აღმოჩნდეს აშშ-ის ფინანსური სიმძლავრისა და სანქციების წინააღმდეგ.

ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეუერთდეს ამ ახალ ალიანსს, ახალ, მაგრამ, სწრაფად მზარდ ალტერნატიულ ვაჭრობა და დაუბრუნდეს ეროვნულ პოლიტიკურ და ფინანსურ სუვერენიტეტს.

**დედოლარიზაციის სულისკვეთებით მუშაობენ ინდოეთის „ბარტერული ბანკები“. მაგალითად, ისინი ყიდიან ინდურ ჩაის ირანულ ნავთობზე. ასეთი მოლაპარაკებები ირანის ნავთობზე საქონლის გაცვლის შესახებ ხორციელდება ინდოეთის „ბარტერული ბანკების“ მეშვეობით, მათგან ერთ-ერთი მუშაობს ნაციონალური ვალუტებით — ირანული რიალებითა და ინდური რუპიებით. საქონლის გაცვლა დაფუძნებულია სიაზე იმ ინდური საქონლისა, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი მოცულობა ნახშირწყლების ირანული პროდუქტების მიმართ.**

ინდოეთის ფარგლებს გარეთ არანაირი ფულა- ▶

**აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების მიუხედავად, 2019 წელს გერმანიის ინვესტიციებმა რუსეთში 10-წლიანი რეკორდი მოხსნა — 2019 წლის პირველ სამ თვეში გერმანულმა ბიზნესმა რუსეთის ეკონომიკაში 1,7 მლრდ ევრო ჩადო. რუსეთ-გერმანიის საგარეო ვაჭრობის პალატის მონაცემებით, გერმანული კომპანიების ინვესტიციებმა რუსეთში 33%-ით (400 მლნ ევროთი) მოიმატა. და ეს მხოლოდ გასული წლიდან, როცა ინვესტიციების საერთო მოცულობამ მიაღწია 3,2 მლრდ ევროს — 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს. მიუხედავად სანქციებისა, რომლებმაც გამოკითხული 140 გერმანული კომპანია, საერთო ჯამში, 1 მლრდ ევროთი აზარალა და, მიუხედავად დასავლეთის მხრიდან ანტირუსული წნეხისა, რუსეთ-გერმანიის ვაჭრობამ 2018 წელს 8,4%-ით მოიმატა და თითქმის 62 მლრდ ევროს მიაღწია.**

დედოლარიზაცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დი ოპერაცია არ ხორციელდება, ამიტომ აშშ-ის სანქციებისთვის გვერდის ავლა თავისუფლად შეიძლება, რადგან რომელიმე ამერიკული ბანკი ან აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო ვერ ჩაერევა ორმხრივ ვაჭრობაში.

აქ, ალბათ, **უპრიანი იქნებოდა, გაგვეხსენებინა „ფეისბუკის“ მცდელობა, შემოეღო გლობალური კრიპტოვალუტა LIBRA. ჯერჯერობით ცოტა რამ არის ცნობილი იმის შესახებ, როგორ იმუშავებს (ან შეძლებს თუ არა მუშაობას საერთოდ) ეს კრიპტოვალუტა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს კრიპტოვალუტა მოემსახურება „ფეისბუკის“ მილიარდობით მომხმარებელს მსოფლიოში.**

„ფეისბუკის“ მონაცემებით, ამ სოციალურ ქსელში 2,38 მილიარდი აქტიური მონაწილეა. **წარმოიდგინეთ, რა მოხდება ამ მონაწილეების ორმა მესამედმა, დაახლოებით 1,6 მლრდ ადამიანმა, „ფეისბუკში“ თავისი ექაუნთები LIBRA-ში რამ გახსნას. ასეთ შემთხვევაში LIBRA-სთვის ყველა კარი გაიღება. LIBRA არის ან იქნება კერძო კრიპტოვალუტა და მისი დანიშნულება იქნება ის, რომ დოლარი შეცვალონ იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს რჲვნიან მსოფლიოს და დასცინიან მას აშშ-ის დოლარის დახმარებით.**

შესაძლოა, ეს იყოს პროექტი, რომელიც ჩაფიქრებულია სხვა ქვეყნების მიერ გაკონტროლებული კრიპტოვალუტების საწინააღმდეგოდ, რათა თავიდან აირიდონ დედოლარიზაციის არასასურველი შედეგები. **უფრთხილდეთ LIBRA-ს!**

**აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების მიუხედავად, 2019 წელს გერმანიის ინვესტიციებმა რუსეთში 10-წლიანი რეკორდი მოხსნა — 2019 წლის პირველ სამ თვეში გერმანულმა ბიზნესმა რუსეთის ეკონომიკაში 1,7 მლრდ ევრო ჩადო. რუსეთ-გერმანიის საგარეო ვაჭრობის პალატის მონაცემებით, გერმანული კომპანიების ინვესტიციებმა რუსეთში 33%-ით (400 მლნ ევროთი) მოიმატა. და ეს მხოლოდ გასული წლიდან, როცა ინვესტიციების საერთო მოცულობამ მიაღწია 3,2 მლრდ ევროს — 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს. მიუხედავად სანქციებისა, რომლებმაც გამოკითხული 140 გერმანული კომპანია, საერთო ჯამში, 1 მლრდ ევროთი აზარალა და, მიუხედავად დასავლეთის მხრიდან ანტირუსული წნეხისა, რუსეთ-გერმანიის ვაჭრობამ 2018 წელს 8,4%-ით მოიმატა და თითქმის 62 მლრდ ევროს მიაღწია.**

ამას გარდა, აშშ-ის პროტესტისა და სანქციებით დამუქრებისა, მოსკოვი და ბერლინი განაგრძობენ პროექტ გაზსადენ Nord Stream 2- ის („ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის) რეალიზაციას, რომელიც, სავარაუდოდ, 2019 წლის ბოლოს დასრულდება. **რუსული ბუნებრივი აირი გეოგრაფიული სიახლოვის ძალით ბუნებრივი და ლოგიკური წყაროა გერმანიისა და ევროპის მოსამარაგებლად, NORD STREAM-2 კი ევროპას დამოუკიდებლობას მოუტანს აშშ-ისგან. გადახდაც აღარ იწარმოებს დოლარებში. შორეულ პერსპექტივაში გერმანულ-რუსული საქმიანი და ეკონომიკური ურთიერთობა მნიშვნელოვნად გადაწონის აშშ-ის უკანონო სანქციებს.** ამის შემდეგ ხელს აღარაფერი შეუშლის რუსულ-გერმანული ბიზნესასოციაციების აყვავებასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნების საქმიან ურთიერთობებს რუსეთთან. და ეს მოხდება იმ საბანკო და ფულადი გადარიცხვების სისტემების ფარგლებს გარეთ, რომლებშიც დოლარი დომინირებს.

**ჩინეთთან** პრეზიდენტ **ტრამპის** სავაჭრო ომიც, საბოლოო ჯამში, დედოლარიზაციაზე იმუშავებს, რადგან ჩინეთი დაიწყებს სხვა სავაჭრო პარტნიორების ძებნას (უკვე იპოვა კიდეც). ეს, ძირითადად, არის აზიის, აზია-წყნარი ოკეანისა და ევროპის ქვეყნები, რომლებთანაც ჩინეთი დადებს გარიგებებს არა დოლარებში; გარიგებებს, რომლებშიც გადარიცხვები მოხდება არა SWIFT-ის სისტემაში — მაგალითად, გადახდების ჩინური საერთაშორისო სისტემის (China International Payment System, CIPS) მეშვეობით, რომელიც, სხვათა შორის, ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისთვის ნებისმიერ ქვეყანასთან.

ამით შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ჩინურ საექსპორტო საქონელზე დაწესებული ჯარიმებისთვის გვერდის ავლა, არამედ ეს სტრატეგია განამტკიცებს ჩინური იუანის პოზიციებს საერთაშორისო ბაზრებზე, აგრეთვე, კიდევ უფრო გაამყარებს იუანს, როგორც საიმედო სარეზერვო ვალუტას, რომელიც ყოველთვის აღემატებოდა ამერიკულ დოლარს. ბოლო 20 წლის განმავლობაში დოლარის აქტივები „საერთაშორისო სარეზერვო ხაზინაში 60%-მდე შემცირდა და ეს აქტივები კიდევ უფრო სწრაფად შემცირდება ვაშინგტონის ფინანსური პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად, ვაშინგტონისა, რომელიც იძულების ზომებს მიმართავს.

დოლარის რეზერვებს სწრაფად შეცვლიან იუანებითა და ოქროთი. ამას გააკეთებს დასავლეთის ისეთი მედგარი მომხრეც კი, როგორიც არის **ავსტრალია.**

ვაშინგტონმა კონტრპროდუქტიული ფინანსური ომი დაიწყო **თურქეთის წინააღმდეგაც, იმიტომ, რომ თურქეთი ამყარებს მეგობრულ ურთიერთობებს რუსეთთან, ჩინეთსა და ირანთან. უწინარესად იმიტომ, რომ თურქეთმა — ნატოს ბურჯმა — შეიძინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რუსული სისტემა C-400. ეს არის ახალი სამხედრო კავშირი, რომელიც აშშ-ისთვის მიუღებელია. შედეგად, აშშ საბოტაჟს უწყობს თურქულ ვალუტას — ლირას, რომელიც 2018 წლის იანვრიდან 40%-ით გაუფასურდა.**

თურქეთი, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს თავის გასათავისუფლებლად ამერიკული ჩექმისგან, რომელიც მას დოლარებითა და სავალუტო სანქციებით ახრჩობს, რათა შემდეგ აღმოსავლეთთან კავშირი შეკრას. ეს ორმაგი დანაკარგი იქნება აშშ-ისთვის. თურქეთი, ალბათ, უარს იტყვის სავაჭრო გარიგებებზე დოლარში და თავის ვალუტას გაუთანაბრებს ჩინურ იუანს ან რუსულ რუბლს. ამას გარდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზარალოდ თურქეთმა, დიდი ალბათობით, შეიძლება დატოვოს ნატო. **თურქეთის მხრიდან ნატოზე უარის თქმა კატასტროფა იქნება აშშ-ისთვის, რადგან თურქეთი, როგორც სტრატეგიული, ისე სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი თუ არა, ერთ-ერთი ძლიერია ნატოს 29 წევრ სახელმწიფოს შორის. თუ თურქეთი გამოვა ნატოდან, ალიანსის არსებობა ეჭვქვეშ დადგება. სხვა ქვეყნებმაც, რომლებიც გაფაციცებით შეჰყურებენ ნატოს და ამ ალიანსის ატომურ იარაღს თავიანთ ტერიტორიაზე ინახავენ (განსაკუთრებით იტალია და გერმანია), შეიძლება დაიწყონ ნატოდან გამოსვლის საკითხის განხილვა. გერმანიაშიც და იტალიაშიც ადამიანების უმრავლესობა ნატოს წინააღმდეგია, განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან ისინი პენტაგონის მიერ ომის წარმოებას გერმანიისა და იტალიის ტერიტორიებზე განლაგებული ნატოს ბაზებიდან.**



ევროპელები ათვითცნობიერებენ, რომ პენტაგონის მიერ ინიცირებული და ვაშინგტონის ევროპელი მოკავშირე-მარიონეტების მხარდაჭერელი ომები და კონფლიქტები შეიძლება ატომურ ომში გადაიზარდოს, მათ ქვეყნებში განლაგებულ ნატოს ბაზებს კი, პირველ რიგში, ამოიღებენ სამიზნეში, რაც ევროპას ბოლო ასწლეულში მესამედ ჩაძირავს მსოფლიო ომში. ეს კონფლიქტი შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს სრულიად მსოფლიოსთვის. არავინ იცის და ვერც იწინასწარმეტყველებს ატომური კატასტროფისგან გამოწვეულ ზარალს და ვერც ამ კატასტროფის შედეგების აღმოფხვრის დროს



ამ ტენდენციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ევროკომისიის თავმჯდომარედ, **ჟან-კლოდ იუნკერის** ნაცვლად, დანიშნეს გერმანიის თავდაცვის მინისტრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი **ურსულა ფონ დერ ლაიენი,** რომელიც ნატოს თავგამოდებული მხარდამჭერია. მისი როლი ნატოს, როგორც ევროკავშირის განუყოფელი ნაწილის, შენარჩუნებაზე ზრუნვაა.

ევროკავშირს, ფაქტობრივად, ნატო მართავს და ეს შეიძლება შეიცვალოს, როდესაც ხალხი გამოვა ნატოსა და აშშ-თან ვასალური ურთიერთობის წინააღმდეგ, ბრიუსელში ევროკავშირის ადმინისტრაციის წინააღმდეგ და განაცხადებს თავისი დემოკრატიული უფლებების შესახებ ეროვნული სახელმწიფოების მოქალაქეების რანგში.

ევროპელები ათვითცნობიერებენ, რომ პენტაგონის მიერ ინიცირებული და ვაშინგტონის ევროპელი მოკავშირე-მარიონეტების მხარდაჭერელი ომები და კონფლიქტები შეიძლება ატომურ ომში გადაიზარდოს. მათ ქვეყნებში განლაგებულ ნატოს ბაზებს კი, პირველ რიგში, ამოიღებენ სამიზნეში, რაც ევროპას ბოლო ასწლეულში მესამედ ჩაძირავს მსოფლიო ომში. ეს კონფლიქტი შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს სრულიად მსოფლიოსთვის. და არავინ იცის და ვერც იწინასწარმეტყველებს ატომური კატასტროფისგან გამოწვეულ ზარალს და ვერც ამ კატასტროფის შედეგების აღმოფხვრის დროს.

იმედი ვიქონიოთ, რომ თურქეთი გამოვა ნატოდან. ეს იქნება გიგანტური ნაბიჯი მშვიდობისკენ და გონივრული პასუხი ვაშინგტონის შანტაჟსა და დივერსიაზე თურქული ვალუტის მიმართ.

**შორეულ პერსპექტივაში აშშ-ის სავალუტო სანქციები სიკეთედ გადაიქცევა. ეს აძლევს თურქეთს არგუმენტს, უარი თქვას ამერიკულ დოლარზე და ნელ-ნელა გადავიდეს აღმოსავლეთის ფულად ერთეულებზე, ძირითადად, იუანზე. ეს იქნება დოლარის კუბოში ჩაჭედებული კიდევ ერთი ლურსმანი, თუმცა ყველაზე მძიმე დარტყმა ვაშინგტონისთვის ნატოდან თურქეთის გასვლა იქნება. ეს, ადრე თუ გვიან, მოხდება, მიუხედავად ქალბატონ ფონ დერ ლაიენის ომახიანი მოწოდებებისა ნატოსკენ. ნატოს დაშლა გაანადგურებს ძალაუფლების დასავლურ სტრუქტურას ევროპასა და სრულიად მსოფლიოში, სადაც აშშ-ს ჯერ კიდევ აქვს 800-ზე მეტი სამხედრო ბაზა. მეორე მხრივ, ნატოს დაშლა აამაღლებს უსაფრთხოების დონეს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, მიუხედავად ამ დაშლით გამოწვეული შედეგებისა. ნატოდან გასვლა ნიშნავს დოლარის ორბიტიდან გასვლასაც — ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება დედოლარიზაციისკენ და დარტყმა აშშ-ის ფინანსურ და სამხედრო ჰეგემონიაზე.**

დასასრულ, ჩინეთის საინვესტიციო ინიციატივა „სარტყელი — გზის“ (Belt and Road Initiative, BRI) შესახებ, რომელსაც „ახალ აბრეშუმის გზასაც“ უწოდებენ: ეს ინვესტიციები, ძირითადად, განხორციელდება იუანსა და მონაწილე ქვეყნების ვალუტებში. ერთი-ორი სახმელეთო და საზღვაო მარშრუტი და BRI მსოფლიოს მოიცავს. დოლარში განხორციელებული ზოგიერთი ინვესტიცია კი ჩინეთის სახალხო და ცენტრალურ ბანკებს დაეხმარება, გაყიდონ დოლარის უზარმაზარი რეზერვი, რომელიც ამჟამად დაახლოებით 2 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

უახლოეს ათწლეულში, შესაძლოა, ასწლეულშიც, BRI ეკონომიკურ რევოლუციად, უდოლარო ეკონომიკური განვითარების სქემად იქცევა და გააერთიანებს ხალხებსა და ქვეყნებს, ამასთანავე, BRI თავს არავის მოახვევს ერთგვაროვნებას, განავითარებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და ადამიანების თანასწორობას. ეს ყველაფერი მოხდება დოლარის დინასტიის საზღვრებს გარეთ, დოლარის ბილწი ჰეგემონიის დარღვევით.

**პიტერ კენიგი**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა

**გიორგი ბაჩეჩილაძე**

**ცნობისთვის: სტატიის ავტორი პიტერ კენიგი არის ქალაქ მონრეალის (კანადა) გლობალიზაციის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერი მუშაკი, ეკონომისტი და გეოპოლიტიკური ანალიტიკოსი, მსოფლიო ბანკის ყოფილი თანამშრომელი.**

ბელადის ნაკვალევზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დასავლელი ე.წ. პარტნიორების დაკვეთით სტალინის მშობლიურ ქალაქში ღამით მალულად აიღეს ბელადის ძეგლი. საბედნიეროდ, ამ ვანდალური ფაქტის შემდეგაც არ დაუკარგავს გორს აქტუალურობა, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სტუმრობენ გორს, სტალინის გამო უამრავი ტურისტი ჩამოდის საქართველოში და ამითაც ეხმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას დიდი ბელადი“.**

**სტალინი ან ძალიან უყვართ, ან ძალიან სძულთ, თუმცა მოძულეებმაც კი იციან, რომ ის უაღრესად ნიჭიერი და განათლებული პიროვნება იყო. მიუხედავად იმისა, რომ, უკვე წლებია, ცდილობენ, სტალინის სახელს ჩირქი მოსცხონ, მისი პიროვნების თაყვანისმცემელთა რაოდენობა არ იკლებს. საქართველოს უამრავი ტურისტი სტუმრობს და მათგან ბევრი სტალინის მშობლიური ქალაქისა და იმ ადგილების მოსანახულებლად ჩამოდის, რომლებიც გარკვეულწილად სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. ავლაბრის არალეგალური სტამბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ რუსუდან ჩიკვილაძეს ვთხოვეთ, ეამბნა, რას ამბობენ ტურისტები სტალინზე, რომელი ქვეყნებიდან სტუმრობენ სტალინის სტამბას და რა იციან მათ დიდი ბელადის შესახებ.**

## რუსუდან ჩიკვილაძე:

# სტალინს მხოლოდ დეგენერატები ლანძღავენ

— იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველომ ვითომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაიწყო ჩვენი გაჭირვება. მოსახლეობა შემცირდა, განადგურდა ეკონომიკა, დაეცა განათლების დონე, დაინგრა ქართული ოჯახი — ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამ, როგორც ბევრს, მეც გამიჩინა იმედი, რომ დანგრეული აღდგებოდა, საქართველო წელში გაიმართებოდა. თვითონ გაჭირვებულმა, ივანიშვილის პარტიას ფული შევწირე... ახლა იუმედოდ ვარ, რაც გვქონდა, ისიც დაანგრიეს, სხვამ რაც დააკლო, ამ ხელისუფლებამ დაამატა. ღირსებააყრილია ჩვენი სამშობლო. გული მწყდება, როდესაც წარსულს ლანძღავენ, ისტორიას აყალბებენ და დიდებულ ადამიანებს ტალახს ესვრიან. სტალინისთვის, როგორც ქართველისთვის, ტალახის სროლა, სამშობლოს ღალატის ტოლფასია. სტალინის დიქტატორად მოხსენიება უწიგნურობის ბრალია. საკუთარ ისტორიას ივიწყებენ გრანტების გამო. სტალინს დეგენერატები ლანძღავენ.

მსოფლიოში არ მოიძებნება პოლიტიკოსი, რომელზეც იმდენი დაიწერა და იწერება, რამდენიც სტალინზე, წერენ ცუდსაც და კარგსაც. რას ვერ მიუტევებენ სტალინს? ვფიქრობ იმას, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში გლობალისტების ნეოიმპერიალისტური მსოფლიო რევოლუცია ჩაშალა, ხოლო შემდეგ ფაშიზმი დაამარცხა, როდესაც გერმანიამ საბჭოთა კავშირის საზღვრები დაარღვია.

თვითონ სტალინი ამბობდა: რადგან გვებრძვიან, ე.ი. ყველაფერს მართებულად ვაკეთებთო. დღეს გამძაფრებულია სტალინის წინააღმდეგ ბრძოლა, **დასავლელი ე.წ. პარტნიორების დაკვეთით სტალინის მშობლიურ ქალაქში ღამით მალულად აიღეს ბელადის ძეგლი.** საბედნიეროდ, ამ ვანდალური ფაქტის შემდეგაც არ დაუკარგავს გორს აქტუალურობა, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან სტუმრობენ გორს, უამრავი ტურისტი ჩამოდის სტალინის გამო საქართველოში და ამითაც ეხმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას დიდი ბელადი.

სტალინის რევოლუციური გამოცემები მის მიერვე დაარსებულ ავლაბრის სტამბაში იბეჭდებოდა, სტამბაში, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. სტამბა უდიდეს ინტერესს იწვევს ტურისტებში და სტალინის თაყვანისმცემლებში.

სტალინის სტამბაში 2002 წლიდან ვმუშაობ, სტუმარი არასოდეს გვაკლდა, მაგრამ 2013 წლიდან განსაკუთრებით მოიმატა ტურისტების ნაკადმა. სტუმრები თავიანთი სურვილით მოდიან, ინტერნეტში ნახულობენ მისამართს, ზოგი პირდაპირ გორიდან მოდის, რადგან გორის მუზეუმში ავლაბრის სტამბის მაკეტია. **სტამბას ხშირად სტუმრობენ უცხო ქვეყნის მეცნიერები, ჟურნალისტები, რეჟისორები, ისტორიკოსები, ბლოგერები. უნდა აღვნიშნო, რომ ტურისტებს შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. გაგაოცებთ მათი ცოდნა ისტორიისა, ბევრმა ქართველ ახალგაზრდებზე უკეთ იცის ჩვენი ქვეყნისა და სტალინის ცხოვრების დეტალები, ისინი პატივს სცემენ მას, როგორც დიდ პოლიტიკოსს.**

ერთხელ პირდაპირ აეროპორტიდან მოგვადგა **ავსტრალიელი** ახალგაზრდა, მელბურნის უნივერსიტეტის სტუდენტი. გვითხრა, რომ ინტერნეტით მოძებნა სტალინის სტამბის ადგილმდებარეობა; გვითხრა, რომ სტალინს პატივს სცემს, რადგან ფაშიზმი დაამარცხა, რომ ის უდიდესი პოლიტიკოსია და მის ბიოგრაფიას ინტერესით ეცნობა. იკითხა, გორამდე რა მანძილიაო და მაშინვე ბელადის მშობლიური ქალაქისკენ გაემართა.

**ბრაზილიიდან** ჩამოვიდნენ ტურისტები — ახალგაზრდა სტუდენტები. ერთმა სტამბაში მოსვლის გადაწყვეტილების ამბავი მოგვიყვა: **„როდესაც მამას ვუთხარი, ჯორჯიაში მივდივარ-მეთქი, გადაირია: რა გინდა ჯორჯიაში, რა საქმე გაქვსო? ავუხსენი, რომ ჯორჯია პატარა ქვეყანაა და ამა და ამ ადგილას მდებარეობს-მეთქი. ამის თქმა იყო და კაცი წამოხტა, სიხარულით დაფრინავდა და მითხრა: ეს სტალინის სამშობლოა, მესხის სამშობლოო (გამოჩენილმა ქართველმა ფეხბურთელმა მიხეილ მესხმა ბრაზილიაში სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში 1965 წელს ისე კარგად ითამაშა ცნობილ სტადიონ „მარაკანაზე“ (მატჩი დასრულდა ანგარიშით 2:2) პელესა და გარინჩას დიდი გუნდის წინააღმდეგ, რომ ბრაზილიელ გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა — ე. ნ.).“**



**ჩინეთიდან ჩამოდის ბევრი ტურისტი. მათ ზუსტად იციან, სად არის ჭა და პირდაპირ მიდიან იმ ადგილამდე. რომ დაინახავენ, ძალიან უხარიათ, ამბობენ, ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოში ხატია ეს ყველაფერიო**

ორი **ამერიკელი** მოვიდა, სტამბას ათვალიერებდნენ, როგორც ჩანს, არ იცოდნენ, აქ რა იყო. როდესაც საბეჭდი მანქანა დაინახეს, კინაღამ გაგიჟდნენ, თქვეს, რომ ბრაზილიაში ნახეს უნიკალური საბეჭდი მანქანა, რომელიც კომუნისტებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ის ამასთან ახლოსაც ვერ მოვაო. აღმოჩნდა, რომ კომუნისტური პარტიის მკვლევარები იყვნენ, მსოფლიოში დადიოდნენ და აღიარეს, რომ მსგავსი რამ არსად უნახავთ, რაც აქ, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, ნახეს.

ერთ დღეს მოხუცი ცოლქმარი მოგვადგა, **ისრაელიდან** იყვნენ. მოხუცებმა, დიდი ინტერესის მიუხედავად, ჭაში ჩასვლა ვერ მოახერხეს, ვერც ოთახებში შეძლეს ასვლა. ერთი წუთით გავედი, რომ დავბრუნდი, დავინახე, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტიროდნენ. ვკითხე, რა გატირებთ-მეთქი. კაცი რუსი ებრაელი იყო, ქალი — პოლონელი. ქალის ნათესავები ჰოლოკოსტის დროს დაუხოცავთ, ძალიან პატარა ობლად დარჩენილა და საბჭოთა კავშირში ჩამოუყვანიათ, ბავშვთა სახლში გაზრდილა, უმაღლესი განათლებაც მიუღია და შემდეგ ოჯახიც შეუქმნია. ტიროდნენ მადლიერების გამო. **მამაკაცმა მითხრა, ისრაელში ყოველდღიურად მატულობს სტალინის პატივისმცემელთა რიცხვიო და მართლაც ტურისტებს შორის, ბევრია სტალინის მადლიერი ებრაელი.**

**გერმანიაში** მცხოვრები თურქები მოვიდნენ, ახალგაზრდა ქალმა სტალინის ფოტო ამოიღო ხელჩანთიდან და კოცნიდა, ფოტოს დავხედე, ბელადის ახალგაზრდობის ფოტო იყო, ჯერ კიდევ რევოლუციონერის, ცნობილი ფოტოა, კაშნე აქვს მოხვეული. გამეცინა, ვკითხე: ლაზები ხართ-მეთქი? არა, თურქები ვართ, გერმანიაში ვცხოვრობთო. სტალინმა მთელი მსოფლიო გადაარჩინა ფაშიზმისგან, ამის დავიწყება შეუძლებელია. აქედან დედამისის საფლავზე გვინდა წასვლა და ხომ ვერ მიგვასწავლით, სად არისო.

**კანადიდან** იყო სტუდენტი გოგო, გვითხრა, რომ ინტერნეტით შეიტყო, სად მდებარეობდა სტალინის არალეგალური სტამბა და სანახავად ჩამოვიდა. გვითხრა, რომ ლექტორმა ლექციაზე უამბო სტალინზე: „ძალიან საინტერესოდ მოგვიყვა ყველაფერი. აგვიხსნა, უდიდესი მთავარსარდალი და პოლიტიკოსი იყოო. მე და ჩემმა მეგობრებმა რუსული ვისწავლეთ სპეციალურად, რომ მის ენაზე გველაპარაკა, მთელი რუსეთი მოვიარეთ, სადაც კი სტალინს ფეხი დაუდგამს, ახლა საქართველოში, მის სამშობლოში, ჩამოვედით“. ცოტა ხნის შემდეგ ამ გოგომ მკითხა: — რატომ არ გვაქვთ სტალინის ძეგლები, ბუშის ქუჩა რატომ გაქვთ და რეიგანის ძეგლი რატომ გიდგათო?.. რომ მეთქვა, რატომ გვაქვს ამ ადამიანების ძეგლები, და რატომ არ გვაქვს სტალინის ძეგლები ნეტავ, თუ მიხვდებოდა?

**ინდოეთიდან** იყო ჩამოსული ოჯახი. „ტაქსით“ იყვნენ, მძღოლმა დაიჩივლა: გორში ვიყავით, მცხეთა მოვიარეთ, მაგრამ მთელი დღეა, გაიძახიან „ტიპოგრაფიაში“ წაგვიყვანეო. ძლივს მოვაგენი აქაურობას, კითხვა-კითხვით მოვედი და მათ საიდან იცოდნენო?! იმავე მძღოლმა მოგვიყვა: „გუშინ გერმანელების ორი ოჯახი მყავდა გორში. სტალინის მუზეუმის შესასვლელთან სტალინის პატარა ბიუსტი დგას, მივიდნენ ეს გერმანელები და კოცნა დაუწყეს. არ მოვერიდებივარ და ვუთხარი, რაც თქვენ სტალინმა ბერლინში დაგმართათ, იმის მერე როგორ კოცნით მის ძეგლს-მეთქი?! გერმანელებმა მიპასუხეს: „ეს რომ არ ყოფილიყო, გერმანელი ერი ვერ გადარჩებოდა. ბერლინში საბჭოთა ჯარები რომ შემოვიდნენ, ჯარისკაცებს ბრძანება ჰქონდათ, რომ დასახლებული პუნქტები არ დაებომბათ, ინგლისელები და ამერიკელები კი დასახლებულ პუნქტებს ბომბავდნენო“.

**უკრაინელმა** ახალგაზრდა კაცმა გულისტკივილი გამოთქვა: „ლონდონში ჩერჩილის მუზეუმში ვიყავი და იქ თქვეს, მეორე მსოფლიო ომი ამერიკამ და ინგლისმა მოიგოო, საბჭოთა კავშირზე მხოლოდ ორი წინადადება ეწერა. არადა, ბაბუაჩემი იბრძოდა სამამულო ომში და მის წინაშე თავი დამნაშავედ ვიგრძენი“.

**სანკტ-პეტერბურგიდან** იყო ჩამოსული ახალგაზრდა ქალი, პეტრე პირველის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი: „მუზეუმში ერთი კუთხე სტალინს ეთმობა, სადაც ამ სტამბის მაკეტია განთავსებული. ტურისტების დიდი ნაწილი სწორედ ამ პატარა კუთხის სანახავად მოდის, ყველაზე მეტი სტუმარი სტალინის კუთხეს ჰყავს, ამიტომ სპეციალურად ჩამოვედი არალეგალური სტამბის სანახავად, დილას კი გორში ვიყავი და მისი სახლ-მუზეუმი დავალთვალიერე. ამ ზაფხულს გადამღებ ჯგუფს ჩამოვიყვან“.

**ჩინეთიდან** ჩამოდის ბევრი ტურისტი. მათ ზუსტად იციან, სად არის ჭა და პირდაპირ მიდიან იმ ადგილამდე. რომ დაინახავენ, ძალიან უხარიათ, ამბობენ, ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოში ხატია ეს ყველაფერიო.

შვეიცარიიდან ოჯახი ჩამოვიდა, მშობლებთან ერთად ორი ბიჭი იყო. დედამ რუსული იცოდა კარგად. უფროს ვაჟს მაისური ეცვა, წინ ნამგალი და ურო ეხატა, უკან კი „კგბ“ ეწერა რუსულად. ვკითხე, ამ მაისურის ჩაცმას არ უშლიდნენ მის სამშობლოში, ვუთხარი, რომ ჩვენთან აკრძალულია საბჭოთა სიმბოლიკით სიარული-მეთქი. დედამ მიპასუხა: არავინ უშლის, თანაც სპეცსამსახურების ისტორიით არის დაინტერესებული, ყველაზე მეტად „კა-გე-ბე“ მოსწონს, **ბერიაზეც** გიჟდება, — უძლიერესი სპეცსამსახური იყოო. ეს ბიჭი 18 წლისა იყო. მეეჭვება 18 წლის ქართველმა ახალგაზრდამ საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ბევრი რამ იცოდეს და ბერიას ღვაწლზეც.

სტალინს საკუთარი თავისთვის არაფერი გაუკეთებია, მან დიდი სახელმწიფო ააშენა. საბედნიეროდ, ეს ყველა სტუმარმა იცის. მე კი ერთი სათხოვარი მაქვს ხელისუფლებისთვის: ნუ გადააკეთებენ სტალინის მიერ დაარსებულ ავლაბრის არალეგალურ სტამბას „მეხსიერების მუზეუმად“, ის მაინც გააკეთონ, რომ გორის სახლ-მუზეუმის დაქვემდებარებაში გადაგვიყვანონ!

ჩაიწერა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე დაწყებულია მსოფლიოში მოქმედი საფინანსო სისტემის დაშლა. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრმა პეტერ ალტმაიერმა თეთრ სახლს მიმართა წინადადებით, რომ ერთობლივად „გაანულონ“ სამრეწველო საქონლის შემოტანაზე დაწესებული საბაჟო გადასახადები. ამასთანავე, ამ მოხელემ ხაზი გაუსვა, რომ მორიგი „სავაჭრო ომი“, რომლის დაწყებას ვაშინგტონი ევროკავშირის წინააღმდეგ აპირებს, „უაღრესად მტკივნეულად დაარტყამს ამერიკის ეკონომიკას“. დღეს მსოფლიო ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ აღიქვამს არც ლიდერად და არც სტაბილურობის გარანტად.**

# ხუთი სასიხარულო ნიშანი: ახლოვდება აშშ-ის ჰეგემონიის დასასრული

**ცნობილია, რომ ცვლილებები ჩვენ გარშემო ერთბაშად და მოულოდნელად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. მოსალოდნელ ავდარს, მაგალითად, წინასწარ გვანიშნებს ატმოსფერული წნევის რყევა, რომელსაც ბევრი ვერ ხედავს და ვერც გრძნობს. თავისი მომასწავებელი ნიშნები აქვს ტაიფუნს, ცუნამის, ვულკანის ამოფრქვევას და სხვა ბუნებრივ კატაკლიზმებს.**
**საქმეში ჩახედულ ადამიანებს აქვთ უნარი, ამოიცნონ მოსალოდნელი გლობალური რყევების სიმპტომები, რომლებიც დაემუქრება სახელმწიფოებს, კაცობრიობას — ომები, მსოფლიო კრიზისები და მსგავსი მოვლენები. დღეს აშშ-ის მმართველი ელიტა შეშფოთებულია უბრალო ყოფითი საკითხებით, მაგალითად, კარსმომდგარი არჩევნებით, ან თავიანთ პარტნიორებთან მორიგი სავაჭრო ჩხუბითა და კამათით. მაგრამ რაღაც საშინელი ამბავი, რომელიც ამ ქვეყანას ემუქრება, ჯერჯერობით მხოლოდ ჰორიზონტზე გამოჩნდა. კერძოდ რა? ამაზე დღეს მოგითხრობთ.**




**სულ უფრო მეტი ამერიკელი ექსპერტი და ანალიტიკური ცენტრი დაუფარავად აცხადებს, რომ უაღრესად დიდია ალბათობა აშშ-ის ეკონომიკის მასშტაბური რეცესიის დაწყებისა, რომელთან შედარებით 2008 წლის კრიზისი, რომელმაც შემდეგ მთელი მსოფლიო მოიცვა, ბავშვურ გართობად მოგვეჩვენება**

## მსოფლიოს აშშ-ის აღარ ეშინია

დღევანდელობა „სანქციების ომის“ არნახული სიმრავლით არის გამორჩეული, სადამსჯელო ღონისძიებებით, რომლებსაც ამერიკა ლამის სრულიად მსოფლიოს მიმართ ახორციელებს. საქმე ის კი არ არის, ასეთი შეზღუდვები ვის უფრო მეტად აზარალებს — იმ ქვეყნებს, რომელთა წინააღმდეგაც აწესებენ, თუ თვითონ ამერიკის ეკონომიკას, არამედ ის, რომ არც ერთი მიზანი, რომლებსაც ეს სანქციები ან მათი დაწესების მუქარა ისახავდა, ვერ იქნა მიღწეული. აშშ აპირებდა, ამ გზით დაემორჩილებინა **ირანი;** იძულებული გაეხადა **ვენესუელა,** შეეცვალა პრეზიდენტი; ხელი შეეშალა **თურქეთისთვის** რუსული C-400 სარაკეტო კომპლექსების შესყიდვაში; ისე დაეშინებინა ჩრდილოეთ კორეა, რომ მას უარი ეთქვა თავის ბირთვულ შეიარაღებაზე.

ამერიკელები ცდილობენ, **ჩინეთს** თავს მოახვიონ ვაჭრობის სფეროში თავიანთი თამაშის წესები, ფაქტობრივად კი, აიძულონ, დათმოს საკუთარი ეკონომიკური სუვერენიტეტი და არ დაჩრდილოს აშშ ინოვაციური სიახლეების შემუშავება-დანერგვის პროცესში; რუსეთისგან მოითხოვენ, დაუბრუნდეს თავის იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც უკარნახებენ პირდაპირ ვაშინგტონიდან და რომელიც ფედერაციას აშშ-ისთვის ნედლეულის მიმწოდებელ დანამატად და ვასალად აქცევს.

რისი გაკეთება შეძლეს?

ვერაფრის. მეტიც, სამხედრო ძალის გამოყენების პირდაპირ და დაუფარავ მუქარას, რომლებიც ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში ორი ქვეყნის — ირანისა და ვენესუელის წინააღმდეგ გამოითქვა, შედეგი არ მოჰყოლია. ათწლეულების განმავლობაში „მსოფლიოს ჟანდარმად“ მყოფმა შეერთებულმა შტატებმა დაკარგა სხვათა დაშინების უნარი.

## მსოფლიოს აღარ სურს აშშ-თან ერთად სანგარში ჯდომა

ისტორიული საზომით, არცთუ დიდი ხნის წინათ საკმარისი იყო, ვაშინგტონიდან გაცემულიყო ბრძანება — „ეცი!“, რომ მისი (აშშ-ის) ერთგული სატელიტები ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯდნენ განწირულ ქვეყანას, დაირაზმებოდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები. ასე იყო **იუგოსლავიაში, ერაყში, ლიბიაში.** დღეს ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია. ამერიკელების პირველივე დაძახილზე მათი ინტერესების დასაცავად ახალი ომის ფრონტზე გავარდნას აღარავინ ცდილობს. ამის თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის უკიდურესად მკვეთრი პასუხი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენლის მოწოდებაზე სირიაში გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გაგზავნის შესახებ, რომლებსაც უნდა ჩაენაცვლებინათ ამერიკელების კონტინგენტი. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა **შტეფან ზეიბერტმა** უაპელაციოდ განაცხადა: მსგავსზე ლაპარაკიც არ შეიძლება! თუ უომრად არ შეგიძლიათ ყოფნა, თვითონ იომეთ. ბუნდესვერის არც ერთი სამხედრო პირი ფატერლანდს თქვენი ხუშტურის გამო არ დატოვებსო.

დაახლოებით ასეთივე სიტუაცია ჩამოყალიბდა იმ კრიზისში, რომელიც ამერიკელებმა ირანის წინააღმდეგ წამოიწყეს. შესაძლებელია, ამერიკელებს კიდეც განეხორციელებინათ უფრო მკვეთრი ძალისმიერი ღონისძიებები, მაგრამ კარგად ესმით, რომ ამ შემთხვევაში მარტო დარჩებოდნენ და ეს სულაც არ იქნებოდა ღირსეული და საამაყო. გენერალმა **ჯოზეფ დანფორდმა,** რომელიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების გაერთიანებულ კომიტეტს ედგა სათავეში, განაცხადა, რომ ვაშინგტონი შექმნის „სამხედრო კოალიციას ორმუზის სრუტეში ტანკერების დასაცავად და რაღაც ნოუჰაუსაც გაუზიარებს მოკავშირეებს. **სადაა ეს კოალიცია, სადაა „მოკავშირეთა“ რიგები, რომლებიც ამ გაერთიანებაში შესვლას ესწრაფვიან?** გსმენიათ რამე, აშშ-ის გარდა, კოალიციის სხვა წევრების შესახებ? მეც არ მსმენია... ლონდონიც კი, რომელიც ყოველთვის მკვეთრი განცხადებებით გამოირჩევა, თავის ტანკერებთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ სანქციებზე ლაპარაკობს, მაგრამ ირანის ნაპირებისკენ ძველი საბრძოლო ხომალდის გაგზავნაზე კრინტსაც არ ძრავს. აშშ-ის ინტერესებისთვის თავის გაწირვას არავინ აპირებს.

## მსოფლიო ამერიკის ფინანსურ სისტემას გაურბის

ასეთი დაუფიქრებელი მოქმედებით შეერთებულმა შტატებმა თვითონ გაიჩინა პრობლემები. მაგალითად განვიხილოთ თუნდაც მისი მთავარი ფასეულობა — ეროვნული ვალუტა, რომელიც ამერიკელებმა (უნდა ვაღიაროთ) არა მხოლოდ თავიანთი შემოსავლის მთავარ იარაღად, არამედ სხვა ქვეყნებზე, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად აქციეს — ზემოქმედება ნაკლებად ძლიერი რომ ყოფილიყო, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი... მაგრამ ამჟამად სულ უფრო მეტი ქვეყანა დოლარს ისე გაურბის, როგორც შავ ჭირს.

ირანის თემას თუ დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული ფინანსური მექანიზმი Instex-ი, რომელიც აშშ-ის დოლარისთვის გვერდის ასავლელად შეიქმნა, რეალურად მუშაობს. ეს ჯერ კიდევ გასული თვის ბოლოს დაადასტურეს ევროკავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც თეირანის ბირთვული პროგრამის შესახებ გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობდნენ. უფრო საინტერესო ვითარება ყალიბდება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ვაშინგტონის გავლენისგან გამოსვლას აქტიურად ცდილობენ.

რუსეთის საგადასახადო სისტემა მხოლოდ ხუთი წლის წინათ ჩამოყალიბდა. და თუ იგი თავს გამოიჩენს, როგორც აშშ-ის სანქციებიდან დაცვის სანდო ინსტრუმენტი, მასთან შეერთების მსურველთა რაოდენობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიზრდება. რუსეთისა და ინდოეთის გადასვლა ეროვნულ ვალუტებზე დღეს მხოლოდ თავდაცვის სფეროში ხდება, მაგრამ ეს უკვე არის ნაბიჯი ამ მიმართულებით. არცთუ შორეულ მომავალში რუსეთის დაგეგმილი ჩართვა ჩინეთის ბანკთაშორისი ანგარიშგების ანალოგიურ სისტემაში უეჭველად იქნება წარმატებული შედეგის მომტანი.

## მსოფლიოს აღარ სჯერა აშშ-ის დოლარის

დღეს სხვადასხვა ქვეყანა ეძებს ამერიკული დოლარის ალტერნატივას. შეერთებული შტატების სახაზინო ობლიგაციები, რომლებიც ახლახან სახსრების დაბანდების მოხერხებულ საქმედ ითვლებოდა და მსოფლიოს სავალუტო რეზერვების დიდ ნაწილს შეადგენდა, ჩვენ თვალწინ ყალიბდება „დაძველებულ ინვესტიციებად“, რომლებსაც თავიდან იცილებს ყველა, ვისაც შეუძლია.

რუსეთი აქაც მოწინავეა — 2014 წელს მისი სავალუტო რეზერვების „ტრეჟერისებიდან“ გათავისუფლების პროცესი არათუ არ შენელებულა, არამედ უფრო სწრაფად მიმდინარეობს. 2018 წელს მათი მოცულობა ცენტრალური ბანკის მარაგში 96 მილიარდი დოლარიდან სანახევროდ შემცირდა. დღეს კი 14 მილიარდსაც ვერ აღწევს! სანაცვლოდ, არნახული ტემპით მიმდინარეობს ოქროს შესყიდვა, მისმა რაოდენობამ ქვეყნის მთავარ განძსაცავში 2100 ტონას გადააჭარბა და შეფასებულია დაახლოებით 100 მილიარდ დოლარად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს ფასი მსოფლიოში განუხრელად იზრდება.

ამავე გზით მიდის ჩინეთი, რომელიც რუსეთივით დაჟინებით შეისყიდის ოქროს, აშშ-ის სახაზინო ვალდებულებები კი მხოლოდ ამ გაზაფხულზე 80 მილიარდი დოლარით შეამცირა: მაისში შეისყიდა 16 ტონა ოქრო და, ანალიტიკოსების გათვლით, წლის ბოლომდე დამატებით 150 ტონას ჩადებს თავის საცავებში.

მწვანე ქაღალდებისადმი ნდობა სულ უფრო მცირდება და ეს ეხება არა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც „სავაჭრო ომებს“ აწარმოებენ აშშ-თან. წლეულს ბრიტანეთში 15 მილიარდი დოლარით შემცირდა აშშ ვალუტის მარაგი. ბევრი ქვეყანა ჩქარობს თავისი ოქროს მარაგის გატანას, რომელიც აქამდე შტატებში ინახებოდა.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, აშშ-მა გადალახა სახელმწიფო ვალის 22-ტრილიონიანი ზღვარი და შეჩერებას არ აპირებს. ხოლო იმის გამო, რომ იკლო ბიუჯეტში შესატანი საგადასახადო ამონაგების რაოდენობამ (გადასახადების ოდენობის შემცირების მიზეზით), ქვეყანას სექტემბერში დეფოლტის საშიშროება ემუქრება.

## მსოფლიოს ამერიკის ეკონომიკის აღარ სჯერა

მხოლოდ სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებზე უარის თქმით პრობლემა არ ამოიწურება. არანაკლები ძალისხმევითა და მონდომებით თავისუფლდებიან ამერიკული კორპორაციების ფასიანი ქაღალდებისგან უცხოელი ინვესტორები. წელიწადზე მეტია, ეს პროცესი მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში მეანაბრეებმა მოიშორეს იმ საწარმოების აქციები, რომლებიც ახლახან აშშ-ის სიამაყედ ითვლებოდა. საერთო რაოდენობა 200 მილიარდ დოლარზე მეტია. მიზეზი რამდენიმეა: ერთი მხრივ, გამოწვეულია თეთრი სახლის არცთუ ადეკვატური მოქმედებით: „სავაჭრო ომი“ პეკინთან, რომელიც იმდენად ჩინელ მწარმოებლებს კი არ აზარალებს, რამდენადაც ამერიკულ Apple-სა და google-ს. „ბოინგს“ აწუხებს სხვადასხვა პრობლემა, რომლებმაც შეიძლება, საერთოდ, დამარხოს ეს კორპორაცია — ამერიკის ეკონომიკის ერთ-ერთი ბურჯი. ინვესტორებს აწუხებთ აშკარად დაუსაბუთებელი საბირჟო ინდექსები, რომლებიც ლოგიკის საწინააღმდეგოდ იზრდება და, ფინანსისტების აზრით, იმ კრიზისის აშკარა ნიშნების შემცველია, რომელიც იფეთქებს: „ნათურა გადაწვის წინ უფრო კაშკაშებს“.

სიმპტომები ბევრია და არც ერთი არ არის სასიამოვნო. შეერთებულმა შტატებმა წლეულს დაკარგა „მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკის“ სახელი, რომელიც ჰონგკონგმა ჩამოართვა. **სულ უფრო მეტი ამერიკელი ექსპერტი და ანალიტიკური ცენტრი დაუფარავად აცხადებს, რომ უაღრესად დიდია ალბათობა აშშ-ის ეკონომიკის მასშტაბური რეცესიის დაწყებისა, რომელთან შედარებით 2008 წლის კრიზისი, რომელმაც შემდეგ მთელი მსოფლიო მოიცვა, ბავშვურ გართობად მოგვეჩვენება.** უკვე დაწყებულია მსოფლიოში მოქმედი საფინანსო სისტემის დაშლა. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრმა **პეტერ ალტმაიერმა** თეთრ სახლს მიმართა წინადადებით, რომ ერთობლივად „გაანულონ“ სამრეწველო საქონლის შემოტანაზე დაწესებული საბაჟო გადასახადები. ამასთანავე, ამ მოხელემ ხაზი გაუსვა, რომ მორიგი „სავაჭრო ომი“, რომლის დაწყებას ვაშინგტონი ევროკავშირის წინააღმდეგ აპირებს, „უაღრესად მტკივნეულად დაარტყამს ამერიკის ეკონომიკას“.

დღეს მთელი მსოფლიო ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ აღიქვამს არც ლიდერად და არც სტაბილურობის გარანტად.

**ალექსანდრე ნეუკროპნი**
topcor.ru

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არავინ იცის, როგორ აპირებს კრამპ-კარენბაუერი გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მოქმედებების დაგეგმვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეცდომის გამოსწორებას". ლაპარაკია ქვეითთა საბრძოლო მანქანა „პუმაზე", — წერს გერმანული გაზეთის ჟურნალისტი. როგორც გფრ-ის თავდაცვის სამინისტროს კონფიდენციალური დოკუმენტებიდან ჩანს, ბუნდესვერი მიიღებს „ექსპლუატაციისთვის მოუმზადებელ სისტემებს", რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება სწავლების პროცესში და, მით უმეტეს, საომარ ოპერაციებში.**

# გერმანიის თავდაცვა რა დღეში ჩააგდო და ევროკავშირს რას უზამს?!

## Die Welt-ი: ფონ დერ ლაიენმა, რომელიც ახლახან ევროკომისიის ხელმძღვანელის პოსტზე დაამტკიცეს, ბუნდესვერის სავალალო მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის ტვირთი თავის მემკვიდრეს აჰკიდა

**ურსულა ფონ დერ ლაიენმა გერმანიის თავდაცვის მინისტრის პოსტი დატოვა და ამით „უსერიოზულესი პრობლემების" გადაწყვეტის პასუხისმგებლობა დააკისრა მემკვიდრეს — ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერს. რაც შეეხება გერმანიის არმიას, ამჟამად ბუნდესვერი „სავალალო მდგომარეობაშია", — წერს გამოცემა Die Welt-ი.**

კერძოდ, „აქამდე არ არის გადაწყვეტილი პრობლემური ავტომატური შაშხანა G36-ის შეცვლის საკითხი. ბოლო წლებში შაშხანის „მემკვიდრის" ძებნას „წარუმატებლობისა და ჩავარდნების სერია მოჰყვა", — აღნიშნავს სტატიის ავტორი **ტორსტენ იუნგჰოლტი.**

არავინ იცის, როგორ აპირებს კრამპ-კარენბაუერი გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მოქმედებების დაგეგმვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეცდომის გამოსწორებას". ლაპარაკია ქვეითთა საბრძოლო მანქანა „პუმაზე", — წერს გერმანული გაზეთის ჟურნალისტი.

**„როგორც გფრ-ის თავდაცვის სამინისტროს კონფიდენციალური დოკუმენტებიდან ჩანს,** — განაგრძობს იუნგჰოლტი, — **ბუნდესვერი მიიღებს ექსპლუატაციისთვის მოუმზადებელ სისტემებს, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლება სწავლების პროცესში და, მით უმეტეს, საომარ ოპერაციებში".**


ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერი


ურსულა ფონ დერ ლაიენი

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა თავდაცვითი პროექტის დასაფინანსებლად ფედერაციული რესპუბლიკის ბიუჯეტში, ელემენტარულად, საკმარისი ფული არ არის. ამის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მოდერნიზაციის საკითხი.

**„საერთოდ კი, სამინისტროსა და მის უწყებრივი დაქვემდებარების დაწესებულებებში, მათივე ანალიზის შედეგების მიხედვით, საორგანიზაციო პროცესები „დისფუნქციურია" და რეორგანიზაციას მოითხოვს",** — წერს Die Welt-ის ჟურნალისტი.

იუნგჰოლტის აზრით, კრამპ-კარენბაუერს ბუნდესვერის ბიუჯეტის პრობლემის მოგვარებაც მოუწევს. ამ საკითხშიც ლომის წილი აქვს გერმანიის თავდაცვის სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს. ლაპარაკია 30 მლრდ ევროზე მომდევნო 4 წელიწადში:

„დასასრულ, პირადი შემადგენლობა: ქაღალდზე წერია, რომ შეიარაღებული ძალების მომსახურეთა რაოდენობამ უნდა მოიმატოს, მაგრამ სამხედრო ვალდებულების გაუქმების შემდეგ გერმანიაში საკმარისი რაოდენობით არ არიან ახალწვეულები, ექსპერტებისა და ტექნიკური სპეციალისტების დეფიციტია და, აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე, რომ არცთუ შორეულ პერსპექტივაში პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის დონე შემცირდება", — წერს გერმანული გამოცემა.

**ქაღალდზე წერია, რომ შეიარაღებული ძალების მომსახურეთა რაოდენობამ უნდა მოიმატოს, მაგრამ სამხედრო ვალდებულების გაუქმების შემდეგ გერმანიაში საკმარისი რაოდენობით არ არიან ახალწვეულები, დეფიციტია ექსპერტებისა და ტექნიკური სპეციალისტების მხრივ და, აქედან გამომდინარე, არსებობს საფრთხე, რომ არცთუ შორეულ პერსპექტივაში პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის დონე შემცირდება**

# ტრამპმა მაკრონს სულელი უწოდა და დაიმუქრა, რომ ფრანგულ ღვინოს ბაჟს დაუწესებს



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს სულელი უწოდა და დაიმუქრა, რომ საბაჟო გადასახადს დაუწესებს ფრანგულ ღვინოს. ეს ტრამპმა სოციალურ ქსელში 26 ივლისს დაწერა.**

26 ივლისიდან საფრანგეთში ამოქმედდა გადასახადები ამერიკელი ტექნოლოგიური კომპანიების პროდუქციასა და მომსახურებაზე, ე.წ. „გადასახადი Google"-ზე. ეს არის გადასახადი (3 პროცენტი) ციფრულ მომსახურებაზე ამერიკული ტექნოლოგიური კომპანიების წლიური შემოსავლიდან.

ეს კანონი შეეხო ისეთ ამერიკულ კომპანიებს, როგორებიც არის Amazon, Apple, Facebook და Google.

აშშ-ის მთავრობამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ამ გადასახადის მიმართ და განაცხადა, რომ ის დისკრიმინაციული ხასიათისაა. მეტიც, თეთრ სახლში განაცხადეს, რომ ამერიკის სავაჭრო წარმომადგენელმა უკვე დაიწყო გამოძიება ფრანგული გადასახადის დაწესების გამო ციფრულ მომსახურებაზე და ვაშინგტონი უფლებას იტოვებს, ამ მიმართულებით რეაგირება მოახდინოს საფრანგეთის პოლიტიკაზე.

აშშ-ის პრეზიდენტი არ მოერიდა მწვავე შეფასებებს და საფრანგეთის პრეზიდენტს სულელი უწოდა. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ ციფრულ მომსახურებაზე გადასახადის დაწესების საპასუხოდ აშშ-ს შეუძლია, ბაჟი დაადოს ფრანგულ ღვინოს.

**„საფრანგეთმა ახლახან გადასახადი დაუწესა შესანიშნავ ამერიკულ ტექნოლოგიურ კომპანიებს. თუკი ვინმემ უნდა დაუწესოს მათ გადასახადები, ეს ამ კომპანიების სამშობლო — ამერიკის შეერთებული შტატებია. მაკრონის სისულელეს ჩვენ მალე საპასუხო ზომებით ვუპასუხებთ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ამერიკული ღვინო სჯობია ფრანგულს",** — დაწერა სოციალურ ქსელში ტრამპმა.

# ფინელებს ნატოში შესვლა არ სურთ



**ბოლო გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფინეთის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი უჭერს მხარს ნატოში შესვლის იდეას, 50%-ზე მეტი კი წინააღმდეგია.**

ფინეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ქვეყნის შესვლის წინააღმდეგია. ამას მოწმობს 3 გამოცემის — Maaseudun Tulevaisuus-ის, Verkkouutiset-ისა და Hufvudstadbladet-ის — ივნისში შეკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

ამ სტატისტიკური **მონაცემების მიხედვით, ნატოს წევრობის წინააღმდეგია ფინელების 51%. ამ საკითხისადმი ყველაზე ნეგატიურად არის განწყობილი ფინელი მემარცხენეების კავშირი, რომელთა შორისაც ნატოს წევრობის წინააღმდეგია 69%.**

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მსურველები კი არიან კოალიციური პარტიის მომხრეები, რომელთა 57% მხარს უჭერს საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

სულ კი ფინელთა შორის ნატოში შესვლის მომხრე მხოლოდ 26%-ია.

**გვერდი მოამზადა ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკრაინელებმა სენსაციურად განდევნეს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები წლების განმავლობაში მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ რუსეთთან კონფლიქტში, — წერს NEUE OSNABRUCKER ZEITUNG-ი. — და ახლა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დასავლეთი უკვე ვეღარ შეძლებს, წინ აღუდგეს უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის დაახლოებას, ამიტომ უკრაინაში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ უნდა „შერცხვეთ“ არა მხოლოდ ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს, არამედ „მოქმედ პირებსაც“ ბრიუსელსა და ბერლინში.

# ლიბერალებმა უკრაინელების არჩევანზე გნიასი ატეხეს

**დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში არც ერთ პრეზიდენტსა და პარტიას არ მიუღიათ ისეთი დონის მხარდაჭერა, როგორიც ვლადიმერ ზელენსკიმ და მისმა ცოტა ხნის წინათ შექმნილმა პოლიტიკურმა გაერთიანება „ხალხის მსახურმა“ მიიღო. საპარლამენტო არჩევნებში ზელენსკის პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 42%-მა. მანამდე უკრაინელთა 70%-მა მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას სახელმწიფო მეთაურის პოსტზე, — წერს გამოცემა Die Welt-ის ჟურნალისტი ფილიპ ფრიტცი.**




მეორე ადგილზე 13%-ით გავიდა „პრორუსული“ „ოპოზიციური პლატფორმა — სიცოცხლისთვის“. მისი ხელმძღვანელი **იური ბოიკო** ამ შედეგში ხედავს ნიშანს, რომ კრიზისებით გაწამებული უკრაინა, ბოლოს და ბოლოს, დაადგება მშვიდობიანი და ნორმალური განვითარების გზას. 8%-ით მესამეა ექსპრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** პარტია „ევროპული სოლიდარობა“.

„ამჟამად უკრაინაში შეინიშნება ორი ტრენდი, რომლებიც არის სხვა ევროპულ ქვეყნებში, — აღნიშნავს სტატიის ავტორი. — პირველი: **პოლიტიკაში ლიდერებად სულ უფრო ხშირად ერთვებიან მოყვარულები;** მეორე — **პოპულარობას იხვეჭს ელიტების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა.** უკრაინაში არსებული პოლიტიკური სისტემით უკმაყოფილება ისე დიდია, რომ სხვა პარტიებმა, როცა მიხვდნენ, ადამიანებს ცვლილებები სურდათ, „ხალხის მსახურის“ რიტორიკა გადმოიღეს და გააუმჯობესეს კიდეც. ამასთანავე, ზელენსკის პარტია არ ემსახურება ვიღაცის კონკრეტულ ინტერესებს, არ ხლეჩს საზოგადოებას და მიმართავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას“, — წერს ფრიტცი. მისი აზრით, ეს შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს, არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ ევროპისთვისაც.

**ამჟამინდელი პრეზიდენტის მომხრეთა უმრავლესობა პროევროპელია, თუმცა „ხალხის მსახურს“ ბევრმა მისცა ხმა იმ იმედით, რომ კიევი მოსკოვს დაუახლოვდება. ამასთანავე, უკრაინელები დაიღალნენ ომით ქვეყნის აღმოსავლეთში. ზელენსკი თავის პოლიტიკას, ალბათ, ამ ადამიანების ინტერესების გათვალისწინებით გაატარებს. თუ ის უარს იტყვის თავისი წინამორბედის, პეტრე პოროშენკოს, თანამიმდევრულ პოზიციაზე და წავა კომპრომისზე კრემლთან, ეს იქნება „პრობლემა სრულიად ევროპისთვის“. „ეს იქნება მკაფიო სიგნალი იმისა, რომ შეიძლება წარმატებით გადაკეთდეს საზღვრები ევროპაში. ეს ვლადიმერ პუტინს საშუალებას მისცემს, მომავალში უარი არ თქვას ესკალაციაზე“,** — ვარაუდობს ფრიტცი.

მეორე გერმანული გამოცემა კი იმაზე წუხს, რომ დასავლეთი ხელს ვეღარ შეუშლის უკრაინისა და რუსეთის დაახლოებას.

**უკრაინელებმა სენსაციურად განდევნეს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნები წლების განმავლობაში მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ რუსეთთან კონფლიქტში და ახლა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დასავლეთი უკვე ვეღარ შეძლებს, წინ აღუდგეს უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის დაახლოებას, ამიტომ უკრაინაში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ უნდა „შერცხვეთ“ არა მხოლოდ ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს, არამედ „მოქმედ პირებსაც“ ბრიუსელსა და ბერლინში,** — მიაჩნია სტატიის ავტორ **ბრუკჰარდ ევერტს.** — უკრაინაში ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმა წარმოაჩინა, რომ ყოფილი პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს, მთავრობამ „საბოლოოდ დაკარგა მოსახლეობის ნდობა“. ამასთანავე, საპარლამენტო არჩევნების შედეგები არის თავისებური მაჩვენებელი იმისა, რომ უკრაინის კონფლიქტის მიმართ დასავლეთის ყოყოჩა და ცალმხრივ პოზიციას ბოლო მოეღება“, — წერს Neue Osnabrucker Zeitung-ი. **რაკი უკრაინის პარლამენტში სახელმწიფოს მეთაურ ვლადიმერ ზელენსკის პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა, სტატიის ავტორი დარწმუნებულია, რომ უკრაინას ფორმალურად ხელს არაფერი უშლის, გარდაქმნების გზას დაადგეს. „ფორმალურად იმიტომ, რომ პარლამენტში, დიდი ალბათობით, კორუფციასთან ბრძოლისა და რუსეთთან შერიგების მოწინააღმდეგე ცოტა იქნება,** — **წერს გერმანული გამოცემის ჟურნალისტი,** — **მარტივი ენით რომ ვთქვათ, დასავლეთი უკვე ვეღარ შეძლებს უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის დაახლოებისთვის ხელის შეშლას“.**

> **ამჟამინდელი პრეზიდენტის მომხრეთა უმრავლესობა პროევროპელია, თუმცა «ხალხის მსახურს» ბევრმა მისცა ხმა იმ იმედით, რომ კიევი მოსკოვს დაუახლოვდება. ამასთანავე, უკრაინელები დაიღალნენ ომით ქვეყნის აღმოსავლეთში. ზელენსკი თავის პოლიტიკას, ალბათ, ამ ადამიანების ინტერესების გათვალისწინებით გაატარებს. თუ ის უარს იტყვის თავისი წინამორბედის, პეტრე პოროშენკოს, თანამიმდევრულ პოზიციაზე და წავა კომპრომისზე კრემლთან, ეს იქნება «პრობლემა სრულიად ევროპისთვის». «ეს იქნება მკაფიო სიგნალი იმისა, რომ შეიძლება წარმატებით გადაკეთდეს საზღვრები ევროპაში. ეს ვლადიმერ პუტინს საშუალებას მისცემს, მომავალში უარი არ თქვას ესკალაციაზე»**

# უკრაინის სახელმწიფო ვალმა 80 მლრდ-ს გადააჭარბა






**უკრაინის სახელმწიფო ვალმა ივნისის ბოლოს 2,5%-ით მოიმატა და 80,35 მლრდ შეადგინა. ეს ინფორმაცია უკრაინის ფინანსთა სამინისტრომ გაავრცელა.**

უკრაინის ვალმა დოლარის ეკვივალენტში ერთ თვეში თითქმის 2 მლრდ-ით მოიმატა. აღსანიშნავია, რომ 80,35 მლრდ-დან 70 მლრდ-ზე მეტი პირდაპირი სახელმწიფო ვალია, დანარჩენი — სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტის ვალის დასაფარავი სახელმწიფო გარანტიები.

უკრაინის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის თითქმის 18 პროცენტით შემცირებაზე უკრაინის ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებებმა იქონია გავლენა, რომლებმაც გაართულა ურთიერთობა რუსეთთან. უკრაინის სახელმწიფო ვალის დაფარვა, დიდი ალბათობით, ახალი ვალების აღებით მოხდება.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# პუტინმა მთავრობას დაავალა, სრულყოს კანონები მავნე ინფორმაციისგან ბავშვების დაცვის შესახებ

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მთავრობას დაავალა, საინფორმაციო პროდუქციის კლასიფიკაციიდან ამოიღონ კატეგორია „საინფორმაციო პროდუქცია ბავშვებისთვის, რომლებიც არ არიან 6 წლის“. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებულია კრემლის ვებგვერდზე.**



„რუსეთის მთავრობას... კანონმდებლობის სრულყოფისთვის წარედგინოს წინადადება: ბავშვების დასაცავად ინფორმაციისგან, რომელსაც შეუძლია დააზიანოს მათი ჯანმრთელობა და (ან) განვითარება, საინფორმაციო პროდუქციის კლასიფიკაციიდან ამოღებული იქნას კატეგორია „საინფორმაციო პროდუქცია ბავშვებისთვის, რომლებიც არ არიან 6 წლის“, — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის დავალებაში, რომელიც უნდა შესრულდეს 1 სექტემბრამდე.

მაისის ბოლოს რუსეთის საზოგადოებრივ პალატაში გაიმართა მრგვალი მაგიდა საკითხზე „აკრძალული კონტენტი ინტერნეტში: როგორ დავიცვათ ბავშვები?“

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის იმედგაცრუების მიზეზი ბევრია, თუმცა მათ შორის გამოირჩევა ე.წ. კოაბიტაცია — ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მოჩვენებითი, „ცივილიზებული“ ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2012 წელს საქართველოს ქალაქების ქუჩებში გამოსული ხალხის გულისწყრომის მთავარი მიზეზი იმჟამინდელი ნაცური ხელისუფლების არაადამიანური მმართველობა იყო. ხალხი ვერასდროს იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნება“ კარდინალურად შეცვლიდა თავის პოლიტიკას ნაცების მიმართ და ხალხის მტერ პარტიას საარსებო არტერიებს არ გადაუჭრიდა, ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის კანონგარეშედ არ გამოაცხადებდა და „ვირის აბანოში“ არ გაუშვებდა.

# არეულობა საქართველოში


ომარ მარგველაშვილი

**საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა რომ მძიმეა, მტკიცება არ სჭირდება. ქვეყნის ყველა მოქალაქე საკუთარ თავზე გრძნობს გაუსაძლის მდგომარეობას და იმასაც ხვდება, რომ უახლოეს ხანში ვითარება არ შეიცვლება, ვინაიდან ამის წინაპირობები არ ჩანს.**




ბოლო 28 წლის განმავლობაში მდგომარეობა იყო ცუდი ან ძალიან ცუდი, მიუხედავად ხელისუფალთა დაპირებებისა. იყო დახმარება დასავლური საფინანსო ორგანიზაციებისა და სააგენტოებისა, რომლებიც გვიწონებდნენ ეკონომიკურ რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას, მაგრამ ყველაზე დიდი ბარომეტრი, მოსახლეობის სოციალური პირობები, ისევ გაუსაძლისი რჩებოდა.

**2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა და ხელისუფლების ცვლამ იმედგაცრუებულ ხალხს შვება და დაპირებების კორიანტელი მოუტანა. დღემდე მმართველი პარტია, რომელიც მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით გახდა ქვეყნის საჭეთმპყრობელი, ვერ ახერხებს ამომრჩეველთა ნდობის გამართლებას; პირიქით — კარგავს ქულებს უნიათო მმართველობის, არაპროფესიონალიზმის, არასწორი საკადრო პოლიტიკისა და სხვა ნეგატიური ნაბიჯების გამო.**

რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“ და საზოგადოების შიში, რომ ეს პარტია კვლავ ჩაიგდებს ხელში ძალაუფლების სადავეებს, ხალხი მმართველ პარტიას მხარს არ დაუჭერდა და ისე დაივიწყებდა, როგორც „მოქალაქეთა კავშირს“.

**„ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის იმედგაცრუების მიზეზი ბევრია, თუმცა მათ შორის გამოირჩევა ე.წ. კოაბიტაცია — ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მოჩვენებითი, „ცივილიზებული“ ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2012 წელს საქართველოს ქალაქების ქუჩებში გამოსული ხალხის გულისწყრომის მთავარი მიზეზი იმჟამინდელი ნაცური ხელისუფლების არაადამიანური მმართველობა იყო. ხალხი ვერასდროს იფიქრებდა, რომ „ქართული ოცნება“ კარდინალურად შეცვლიდა თავის პოლიტიკას ნაცების მიმართ და ხალხის მტერ პარტიას საარსებო არტერიებს არ გადაუჭრიდა, ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის კანონგარეშედ არ გამოაცხადებდა და „ვირის აბანოში“ არ გაუშვებდა.**

ნაცური ოპოზიცია, დარწმუნებული ხელისუფლების უპრინციპობაში, უუნარობასა და დაუსჯელობაში, კვლავ გააქტიურდა და „რევოლუციური“ გზით ხელისუფლებაში მოსვლაც დააპირა. ეს დაადასტურა 20-21 ივნისის მოვლენებმა, განსაკუთრებით, პარლამენტის წინ გამართულმა „ომმა“.

მოიერიშეები წინასწარ შედგენილი სცენარით მოქმედებდნენ, ნაცური სცენარით. საბაბიც გამოძებნეს — რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ გალაშქრება, ანუ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრის, **გავრილოვის,** ჩაჯდომა პარლამენტის სპიკერის სავარძელში.

**თითიდან გამოწოვილმა საბაბმა გამოიწვია ქვეყნის პოლიტიკური რყევა, რომელსაც მოჰყვა საქართველოს პარლამენტის სპიკერის გადადგომა, პარლამენტის უმრავლესობის წევრის მიერ პარლამენტის დატოვება, ხელისუფალთა დათანხმება მომავალი საპარლამენტო არჩევნების (2020 წ.) მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებაზე.**

ხელისუფლებამ ჯერჯერობით არ დააკმაყოფილა მომიტინგეთა მოთხოვნა შს მინისტრ **გიორგი გახარიას** გადადგომის თაობაზე, მინისტრისა, რომელიც ხელმძღვანელობდა აღგზნებული და აგრესიული მომიტინგეების შეტევის პოლიციის მიერ მოგერიებას, რითაც ქვეყანა იხსნა მორიგი „ქუჩური“ გადატრიალებისგან.

მიტინგი დღესაც გრძელდება გახარიას გადადგომის მოთხოვნით და, როგორც იქ შეკრებილები აცხადებენ, გაგრძელდება მანამ, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

## რას ნიშნავს ყოველივე აღნიშნული და რა მოიტანა ან მოაქვს მას ქვეყნისთვის?

კითხვა მარტივია და პასუხიც იოლი გასაცემია, თუ ღრმად ჩავხედავთ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას. საქართველომ პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა **გამსახურდიას** ხელისუფლების პერიოდში დაიწყო. მან დამოუკიდებლობის აქტიც მიიღო და რეფერენდუმიც ჩაატარა ამ პრობლემაზე.

მაგრამ ვაღიაროთ: ნამდვილი დამოუკიდებლობა მაშინ იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა.

მოსკოვში გაჟღერებულმა თავისუფლების ჰანგებმა დიდი ვერაფერი აღმაფრენა გამოიწვია თბილისის ძმათამკვლელ ომში ჩართულ მოსახლეობაში, რაც არ არის გასაკვირი. დახოცილი, დასახიჩრებული ადამიანებისა და დედაქალაქის დანგრეული ცენტრის შემყურე, ვერ აღიქვამდა ნაბოძებ თავისუფლებას, ცხადია.

**შემდეგ იყო ომები ავტონომიების შესანარჩუნებლად, კატასტროფული მარცხი, უშუქობა, უგაზობა, უპურობა, სიცივე, ძმათა შორის შუღლი, გაუტანლობა, პარტიების სახელდახელოდ შექმნა და გაუქმება, საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებით ჩატარება და სხვა მრავალი ნეგატიური მოვლენა, რომლებიც დამახასიათებელია დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნებისთვის.**

> **საქართველო, ისევე, როგორც 30 წლის წინათ, მიტინგებითაა შეპყრობილი. ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს — პარლამენტის შენობის წინ მიტინგი, «მგზნებარე» უგუნური გამოსვლები, აგრესიული რიტორიკა, კარვების დაცემა და სხვა უკვე გულის ამრევი ქმედება. ვერც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (გარდა უკრაინისა) ვერ შეხვდებით ისეთ ბაკქანალიას, როგორიც ჩვენთან არის**

თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ჰქონდა (მეტ-ნაკლებად) ეს პრობლემები, მაგრამ საქართველოს — განსაკუთრებით. დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომები, რომელთა გამო ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტიც დავკარგეთ და შრომისუნარიანი მოსახლეობა ლუკმაპურის საძებნად უცხოეთში გადაიხვეწა.

ქვეყანამ ვერა და ვერ მოახერხა თავისი მოსახლეობის გამოკვება, სამუშაო ადგილების შექმნა, ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების ამუშავება, საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და სხვა მრავალი ის, რაც ესოდენ საჭიროა ნებისმიერი ქვეყნისთვის.

**საქართველო, ისევე, როგორც 30 წლის წინათ, მიტინგებითაა შეპყრობილი. ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს — პარლამენტის შენობის წინ მიტინგი, „მგზნებარე“ უგუნური გამოსვლები, აგრესიული რიტორიკა, კარვების დაცემა და სხვა უკვე გულის ამრევი ქმედება. ვერც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (გარდა უკრაინისა) ვერ შეხვდებით ისეთ ბაკქანალიას, როგორიც ჩვენთან არის.**

ყველა რესპუბლიკაში შეინიშნება წინსვლა უკეთესობისკენ, გარდა საქართველოსი. ყველა მათგანს დასავლეთი განუვითარებლად, არადემოკრატიულად მიიჩნევს, ჩვენ კი პირიქით — დემოკრატიის შუქურად გვაცხადებს.

**საქართველო სამაგალითო ქვეყანაა აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისთვის, რომლებმაც ყველაფერი იღონეს საქართველოს გადასაბირებლად, ისტორიული კავშირის გასაწყვეტად. მათი მიზანი მარტივი იყო — ტრადიციული ურთიერთობების ძირფესვიანად მოძირკვა, ჩვენი გულისყურის დასავლეთისკენ მიპყრობა, ძველის ლანძღვა-გინება, დასავლეთის ქება-დიდება.**

განადგურდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლების სისტემა — ფაქტობრივად, ყველაფერი, რითაც ხარობდა ერი — დასაქმებული, დაპურებული, მშვიდი ცხოვრებით დალხინებული. დასავლეთმა გვირჩია, მწარმოებლობა დაგვევიწყებინა და მომხმარებლობა გაგვეფეტიშებინა. და ჩვენც უმალ ავყევით ქვეყნის ნგრევის პროცესში. ჯართად გავყიდეთ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გრანდიოზული საწარმოები.

**საქართველო იქცა უზრდელი, უსაქმური, თავხედი, ნარკომანი ახალგაზრდების სათარეშო ადგილად, ამერიკული ფულითა და იდეოლოგიით გაჟღენთილი პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცრუ ჟურნალისტების ასპარეზად. ქვეყანა გადაიქცა დასავლური მდარე ხარისხის კვების პროდუქტების გასაღებლად. ვლაპარაკობთ ხმის ჩახლეჩამდე პარლამენტში, ვბღავით მიტინგებზე, ერთმანეთს ვეჩხუბებით და ვლანძღავთ თოქშოუებში, პირად საუბრებში; ვიგინებით ქუჩაში, ტელეგადაცემებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. დედის გინება ხომ ჩვეულებად იქცა.**



ჩვენ „თავისუფლები“, „დემოკრატები“ ვართ, ვინაიდან შეგვიძლია მეზობელი რუსეთისა და მისი პრეზიდენტის უწმაწური სიტყვებით გინება, რუსი ტურისტების შეურაცხყოფა, გაქურდვა. ერთ დროს ზრდილი, სტუმართმოყვარე ერი, ამერიკელთა წყალობით, გაუნათლებელ, აგრესიულ ბრბოდ იქცა.

მკითხველი ისე ნუ გამიგებს, რომ ჩემი ნათქვამი ყველას ეხება. საქართველოში ბევრია დარბაისელი, განათლებული, ზრდილობით შემკული ინტელიგენტი ადამიანი, მაგრამ მათი ხმა არ ისმის. არადა, რაოდენ აუცილებელია ჭკვიან მამათა ომახიანი შეძახილი — **შეჩერდით, რას სჩადით?! თვალი გაახილეთ, ერთმანეთისგან გაარჩიეთ მტერი და მოყვარე! ადამიანებო, პატივი ეცით და მოეფერეთ ერთმანეთს, გიყვარდეთ ერთმანეთი!**

ქართული მედია, ფულისა და განუკითხაობის პროცესში მონავარდე და აშშ-ის მოჯამაგირე, გონიერ, ჭკვიან ადამიანებს სტუდიაში სალაპარაკოდ არ მიიწვევს, საგაზეთო ინტერვიუს არ ჩამოართმევს მარტივი მიზეზის გამო — მათ ფონზე არარაობად, უმეცრად გამოჩნდება.

ზემომოყვანილმა მაგალითებმა **ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩააგდო, მაგრამ ვინ არის გამკითხავი: უმოქმედო ხელისუფლება თუ უცოდინართა საზოგადოება?**

**აშშ-მა უმაქნის სახელმწიფოდ გვაქცია. არაფერს ვაკეთებთ, გარდა რუსეთის გინებისა. დასანანია, რომ უდიდესი ისტორიისა და კულტურის ხალხი ლამის უისტორიო, მაგრამ ფულიანი ამერიკის მონად არის ქცეული და მის დავალებას — რუსეთთან დაპირისპირების ამოცანას — უყოყმანოდ ასრულებს.**

სულაც არ არის გასაკვირი ქვეყანაში სოციალური ყოფის გაუარესება, ქვეყნის მომავლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

**20-21 ივნისის მოვლენებმა, რუსოფობიის აფეთქებამ, ეკონომიკის სერიოზული ჩავარდნა გამოიწვია — გაუფასურდა ლარი; შეწყდა რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა; შეწყდა რუსი ტურისტების ნაკადი; დაცარიელდა ქვეყნის ზღვისა და მთის კურორტები. ტურისტების შემცირე-**

▶

**„დესტაბილიზაციას ჰყავს დამკვეთი — ეს დასავლეთია, შემსრულებელი კი — ადგილობრივი რადიკალური ძალები. ამ საქმეში რუსეთის დადანაშაულება გამიზნული პროვოკაცია და დეზინფორმაციაა. რუსეთს ყველაზე მეტად ესაჭიროება სიმშვიდე სამხრეთ საზღვრებთან, რასაც ვერ ვიტყვით აშშ-ზე, რომელიც რუსეთის ირგვლივ ქმნის ცხელ წერტილებს — ეს ამერიკული გეგმაა და არა რუსული“.**

აბრეშუმის გზა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ბამ ნეგატიურად იმოქმედა კაფეებსა და ბარებზე, რესტორნებზე, სასტუმროებზე, საერთოდ, მომსახურების სფეროზე და ა.შ. მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.**

**ვინ არის დამნაშავე?**

პასუხი მარტივია: ავანტიურისტი ოპოზიცია, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და მას მიტმასნილი პარტიები, დაავადებული ანტირუსული ბაცილით.

ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის პრეზიდენტმა **პუტინმა** უარყო რუსეთის დუმის გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს დაწესების თაობაზე, თუმცა ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო გააღიზიანა საზოგადოების ნაწილი და ე.წ. პოლიტიკოსები. „პუტინს კეთილი ბიძიას სახის შექმნა სურს“, — აცხადებენ ისინი და წამითაც არ ფიქრობენ, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ემბარგოს შემოღებას.

**მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფალთა წვლილი არეულობაში. გაუგებარია მისი გადაწყვეტილებები კრიმინალი „ნაცმოძრაობის“ მიმართ, დამნაშავეთა დაუსჯელობის საკითხში, გაჭიანურებულ გამოძიებაში, საქმისადმი ზერელე მიდგომაში, რაც საზოგადოებას არწმუნებს ხელისუფალთა უნიათობასა და ინდიფერენტულობაში.**

სხვას ვერაფერს ვიტყვით, როდესაც პარლამენტის წინ პერმანენტული მიტინგები მიმდინარეობს. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ მიტინგი საზოგადოებაში არსებული დაძაბულობისა და პროტესტის უკიდურესი ფორმაა, რომელიც მეხამრიდივით ისხლეტს ტურისტებს, ინვესტიციებსა და ქვეყნის სიმშვიდეს. პოლიტიკურად არასტაბილურ საქართველოში არც ტურისტი ჩამოვა და არც ინვესტიცია ჩაიდება.

რაც შეეხება ჩვენ მიერ უკვე მერამდენედ გალანძღულ და შეურაცხყოფილ რუსეთს, ის მზად არის საჰაერო კომუნიკაციების აღსადგენად, ოღონდ მას შემდეგ, რაც ვითარება ჩაცხრება და რუსოფობიური განცხადებების ნაკადი შეწყდება.

„ეს „მოღვაწეები“ (იგულისხმება რადიკალები) არც კი ფიქრობენ, როგორ აზარალეს საკუთარი ქვეყანა და ხალხი. რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან ელოდება ანტირუსული აგრესიის შედეგად გამოწვეული საფრთხისა და ზარალის სწრაფ გაანალიზებას და შესაბამისი ზომების მიღებას“, — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი **ლავროვი.**

რასა იქმს ხელისუფლება? — არც არაფერს. ნაცვლად მოწოდების შესრულებისა, თვითონ გამოდის რუსეთის კრიტიკით.

**საქართველოში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული არიან მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი, ვინაიდან კარგად იციან, რომ საქართველოში დაწყებული „რევოლუცია“ სერიოზულ გავლენას იქონიებს მათზეც. იმედოვნებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს ვითარების დარეგულირებას, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამის ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს. მათ ვერ გაუგიათ, რას ნიშნავს საქართველოს ხელისუფალთა ჭარბი ლიბერალიზმი — შიშს თუ ინდიფერენტიზმს?**

აზერბაიჯანის გულისწყრომა გამოიწვია ქართველი რადიკალების მიერ მოწყობილმა პროვოკაციამ დავითგარეჯში: თავდასხმა აზერბაიჯანელ მესაზღვრეებზე მკაცრად იქნა შეფასებული აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ. აზერბაიჯანის საგარეო უწყებამ განმარტებისთვის დაიბარა საქართველოს ელჩი **პატარაძე.**

აზერბაიჯანული პრესის მიხედვით, „ბაქომ თბილისს მოსთხოვა ინციდენტის სწრაფი გამოძიება და შესაბამისი ზომების განხორციელება. საქართველოს მხარემ აღიარა შეცდომა, როგორც „შეუფერებელი ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობებისთვის“.

გაზეთები იმასაც აღნიშნავენ, რომ თბილისში გამართული მიტინგების მსვლელობისას ისმის ანტიაზერბაიჯანული ლოზუნგები დავითგარეჯის კომპლექსის აზერბაიჯანის მიერ „მიტაცების“ გამო.

**„დესტაბილიზაციას ჰყავს დამკვეთი — ეს დასავლეთია, შემსრულებელი კი — ადგილობრივი რადიკალური ძალები. ამ საქმეში რუსეთის დადანაშაულება გამიზნული პროვოკაცია და დეზინფორმაციაა. რუსეთს ყველაზე მეტად ესაჭიროება სიმშვიდე სამხრეთ საზღვრებთან, რასაც ვერ ვიტყვით აშშ-ზე, რომელიც რუსეთის ირგვლივ ქმნის ცხელ წერტილებს — ეს ამერიკული გეგმაა და არა რუსული“, — წერს აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი ტოფიკ აბასოვი.**

დასაფიქრებელია დიასპორა „ჯავახკის“ ხელმძღვანელის, **აბასი არაბიანის,** განცხადებაც: „საქართველოს არაკეთილმოსურნეები მედიაში ინტენსიურად ავრცელებენ ქსენოფობიურ მასალებს, რითაც სურთ ჯავახკის (სამცხე-ჯავახეთის) სომხების თავიანთ საშინაო კონფლიქტებში ჩართვა. ისმის კითხვა: ვინ აღვივებს ახალ ეროვნებათაშორის კონფლიქტს, ვის სურს საბოლოო ჯამში საქართველოს დაშლა?“

ავტორს მაგალითად მოჰყავს რუსეთის დუმის წევრის — გავრილოვის ამბავი, რომელსაც წინასწარ მომზადებულ პროვოკაციად მიიჩნევს.

ავტორის დასკვნით, **„საქართველოში აგორებული პროვოკაცია, რომლის უკან ამერიკული ძალები დგანან, მიმართულია კავკასიაში დაძაბულობისა და ქაოსის შექმნისკენ. ამ დაკვეთას ასრულებენ ქართველი რადიკალები, რამაც შეიძლება მძიმე შედეგი მოუტანოს არა მხოლოდ საქართველოს“.**

აი, ასე ჩვენმა „შეუპოვარმა პატრიოტულმა“ ბრძოლამ, საქართველოს რომ თავი დავანებოთ, მთლიანად კავკასიაში გამოიწვია ნეგატიური შედეგი. ჩვენი მეზობლები საქართველოს ხელისუფლებისგან გადამჭრელი ზომების გატარებას მოითხოვენ.

და რას აკეთებს ხელისუფლება?

ქმედითს არაფერს!

სახელმწიფო მოხელეებისთვის 158 ახალი თეთრი ფერის „ჯიპის“ შეძენის გარდა, არაფერს.

ვაი, ჩვენს თავს!

**ომარ მარგველაშვილი**

# ახალი «აბრეშუმის გზა» მილიარდობით ინვესტიციასა და არსებით გეოპოლიტიკურ უპირატესობას მოუტანს რუსეთს




**მსოფლიოში ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“ ყაზახეთის საზღვრიდან ბელარუსამდე გასაყვანი ავტომაგისტრალის პროექტი გააანალიზა. ეს ხაზი ახალი „აბრეშუმის გზის“ პროექტის ფარგლებში ჩინეთის დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს. ჟურნალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე რუსეთის ფედერაციის ისტორიაში ეს უდიდესი სატრანსპორტო არტერია ძალთა მსოფლიო ბალანსს შეცვლის.**

ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ ახალი „აბრეშუმის გზის“ ეს „გარდამავალი მონაკვეთი“, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გაივლის, „საუკუნის მშენებლობად“ მონათლა. გლობალური ევრაზიული პროექტი რუსეთს მილიარდობით ინვესტიციასა და არსებით გეოპოლიტიკურ უპირატესობას მოუტანს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ავტომაგისტრალი უკრაინის ტერიტორიაზე არ გაივლის, რაც ამ უკანასკნელს აღმოსავლეთზე წვდომას ძალიან შეუმცირებს.

**„რუსეთში ამ „გარდამავალ მონაკვეთს“ „მერიდიანი“ უწოდეს. ამჟამად ჩინეთ-დასავლეთ ევროპის სატრანსპორტო დერეფნის ამ დიდი ხნის ნანატრი მონაკვეთის პროექტირების პროცესი მიმდინარეობს. ეს ფასიანი გზა სასაზღვრო პუნქტ საგარჩინიდან, რომელიც ყაზახეთის საზღვართანაა, ბელარუსის საზღვრამდე იქნება ორი ათასი კილომეტრი სიგრძის“,** — წერს „ფორბსი“.

ახალი „აბრეშუმის გზა“ ჩინეთსა და დასავლეთ ევროპას ერთმანეთთან დააკავშირებს. გამოცემის აზრით, სწორი საბაჟო პოლიტიკის გატარების პირობებში, ეს სატრანსპორტო არტერია რუსეთის ბიუჯეტს კოლოსალურ შემოსავალს მოუტანს და მატერიკზე ეკონომიკური ბატონობის წინაპირობად იქცევა. მით უმეტეს, რომ რუსეთის გარეშე ამ პროექტის რეალიზაცია შეუძლებელია, რადგან ის ევრაზიის უდიდეს ნაწილს იკავებს.

მანამდე გახდა ცნობილი რუსეთის გეგმა, შეკრას სავაჭრო წრე ევროპის ირგვლივ. ამისთვის მოსკოვი იყენებს „აბრეშუმის გზას“, ტრანსციმბირულ მაგისტრალსა და ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტს.

**politpuzzle.ru**

# რუსეთი ევროპის ირგვლივ სავაჭრო წრეს კრავს




**„აბრეშუმის გზა“, ტრანსციმბირული მაგისტრალი და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ევროპის შემოვლით სავაჭრო წრეს შეკრავს.**

ახლო მომავალში რუსეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე ნამდვილი სავაჭრო წრე შეიკვრება. ესენია: ტრანსციმბირული მაგისტრალი, ბაიკალ-ამურის მაგისტრალი და პერსპექტიული საერთაშორისო-სატრანსპორტო დერეფანი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“.

რუსეთს ბოლო პერიოდამდე სატრანსპორტო გზის მხოლოდ ერთი კონცეფცია ჰქონდა — ესაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაკავშირება ტრანსციმბირული და ბაიკალ-ამურის მაგისტრალების საშუალებით. ამჟამად შექმნილია პროექტი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომელიც რუსეთს მისცემს საშუალებას, შეკრას ნამდვილი სავაჭრო წრე, რომელითაც მუდმივად გახდება შესაძლებელი ტვირთების ტრანსპორტირება პოპულარული ევროპული მარშრუტების პარალელურად.

2002 წლიდან დღემდე ტარდება ტრანსციმბირული მაგისტრალის მოდერნიზება: ის მთლიანად ელექტროფიცირებული გახდა, ჩატარდა ე.წ. ხინგანის შვიდი გვირაბის რეაბილიტაცია, ააშენეს დამატებითი გვირაბები გამტარიანობის გასაზრდელად. ტრანსციმბირული მაგისტრალი მსოფლიო სატრანსპორტო ნაკადებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადაამისამართებს, აგრეთვე, ის უცხოელებისთვის პოპულარულ ტურისტულ მიმართულებასაც წარმოადგენს.

რუსეთი რიგ პარტნიორ ქვეყნებთან სახმელეთო და საზღვაო „აბრეშუმის გზის“ მეშვეობითაც თანამშრომლობს. ძირითადი მარშრუტი რუსეთის ევროპულ ნაწილსა და ყაზახეთზე გადის. ის ძალიან ხელსაყრელია, პირველ რიგში, ჩინეთისთვის, რადგან საბაჟო საზღვარს მხოლოდ ორ ადგილზე გადაკვეთს. თავის მხრივ, საზღვაო „აბრეშუმის გზა“ გადის არქტიკის გავლით და მდებარეობს სწორედ რუსეთის ფედერაციის არქტიკულ ზონაში, რაც ხელსაყრელია, როგორც რუსეთისთვის, ისე უცხოელი გადამზიდავი კომპანიებისთვის.

მთავარი კოზირი, რომელიც საბოლოოდ შეკრავს სავაჭრო წრეს, არის საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, რომლის რამდენიმე ტოტი უკვე აშენებულია: ძირითადი გადის სანქტ-პეტერბურგიდან ასტრახანამდე. ეს მარშრუტი საშუალებას მისცემს რუსეთს, აღარ იყოს დამოკიდებული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებზე, გააღრმავოს ეკონომიკური კავშირები და გეოპოლიტიკური ყოფნა კასპიის ზღვაში.

სავაჭრო წრის შეკვრა რუსეთს საშუალებას მისცემს, გაანეიტრალოს დასავლეთის ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციის ყველა სანქცია. მოსკოვი „იმპორტის ჩანაცვლების“ პროგრამას წარმატებით ახორციელებს და ევროპისგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას ავითარებს.

**ევგენია ზაიცევა**
**Русская Весна**
**politpuzzle.ru**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## მოსწავლე გოგონა ოთხ ნარკომანთან სექსით ერთობოდა საკუთარი დედის თვალწინ

**ეს მოხდა დიდი ბრიტანეთის ქალაქ სკანტორპის გარყვნილების ბუნაგში.**

დედა თავის მცირეწლოვან ქალიშვილს თავზე დაადგა მაშინ, როცა იგი ოთხ ნარკომანთან სექსით იყო დაკავებული, — იუწყება ინგლისური ტაბლოიდი The Sun.

ერთ-ერთმა მეზობელმა ქალმა განაცხადა, რომ იმ გოგოს დედამ, კარგა ხანია, იცოდა, რომ მისი ქალიშვილი ჰეროინზე იყო დამოკიდებული; ისიც იცოდა, რომ აკრძალული პრეპარატების საყიდლად ბავშვი ლინძის ქუჩაზე მდებარე გარყვნილების ბუნაგში დადიოდა. რამდენიმე დღის წინათ, როცა გოგონა კვლავ გაქრა, დედა მის საძებნელად სწორედ იქ გაემართა. სცენამ, რომელიც იქ ნახა, იმდენად დათრგუნა, რომ ატირებული ქალი იმ შენობიდან გამოვარდა. ამასობაში ნარკუშებმა მისი შვილი წრეზე ჩამოატარეს.

„ქალი ისტერიკაში იყო. მომიყვა, რა უბედურებაც ნახა. სახე აბსოლუტურად თეთრი ჰქონდა“, — განუცხადა ჟურნალისტებს გარყვნილების ბუნაგის მეზობლად მდებარე სახლში მცხოვრებმა ქალბატონმა.

დედამ დაუყოვნებლივ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. პოლიციელებმა მოაწყვეს რეიდი და დაარბიეს ის ბუდე. გოგონას შესახებ ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან.

## ტრანსგენდერმა იმშობიარა



**ფრედი მაკკონელმა, მამაკაცმა ტრანსგენდერმა დიდი ბრიტანეთიდან, ბავშვი გააჩინა. ამჟამად იგი მოითხოვს, რომ დოკუმენტურად აღიარონ მამად და არა დედად, — იუწყება Daily Mail.**

მაკკონელი ქალად დაიბადა. 25 წლისამ გადაწყვიტა, შეეცვალა სქესი, დაიწყო ჰორმონალური თერაპია, მოუშვა წვერი და პლასტიკური თერაპია გაიკეთა.

როცა დოკუმენტებით მამაკაცი გახდა, გადაწყვიტა, შვილი გაეჩინა. გამოიყენა სპერმის ბანკი და დაორსულდა. ვაჟიშვილი რომ გააჩინა, 30 წლის მამაკაცმა მიმართა სათანადო ორგანოებს, რათა დოკუმენტებში მითითებული ყოფილიყო მამად და არა დედად.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## სერიული მანიაკი 14 წელიწადს მოგზაურობდა ერთადერთი მიზნით — ვინმე მოეკლა

**იმთავითვე ეჭვობდნენ, რომ ალიასკელმა იზრაილ კიზიმ ბარმენი მოკლა, მაგრამ, როცა გამოძიების ფედერალურ ბიუროში დაჰკითხეს, გაირკვა, რომ იგი ის არ არის, ვის ნაცვლადაც თავს ასაღებს. იზრაილი მსხვერპლს თავისი სახლიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით პოულობდა და დაუნდობლად უსწორდებოდა. მის მიერ ჩადენილი მკვლელობების ისტორიამ შეძრა ამერიკის შეერთებული შტატები.**



ამერიკულ დოკუმენტურ ფილმში „ამერიკელი მხეცი“ სერიული მანიაკის დაკითხვის ექსკლუზიური კადრები აჩვენეს. მას შემდეგ, რაც კიზიმ 18 წლის ქალიშვილის მკვლელობა აღიარა, იგი შეუთანხმდა გამოძიებას, რომ მოუთხრობდა კიდევ ერთი არაადამიანური მკვლელობის შესახებ, რომელიც მის დაუხმარებლად ვერასოდეს გაიხსნებოდა. სწორედ მაშინ თქვა, რომ ქვეყანაში 14 წლის განმავლობაში ერთადერთი მიზნით მოგზაურობდა — მოეკლა ვინმე.

სანამ ბრალდებული ყვებოდა ამბავს, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები და ანალიტიკოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე,, რომ აქამდე მსგავსი არაფერი სმენიათ.

თავისი ისტორია იზრაილმა ბოლოდან დაიწყო — მსხვერპლი ვერმონტელი ცოლ-ქმარი იყო.

2011 წლის ივნისში კიზი ჩიკაგოში გაფრინდა, იქ დაიქირავა მანქანა და აღმოსავლეთისკენ გაემართა თავისი ძმების სანახავად. გზად რამდენჯერმე გაჩერდა, უკანასკნელად — ბერლინგტონში.

ღამის განმავლობაში ქალაქში დაბორიალობდა, მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მიადგა ერთ-ერთ სახლს. შემოუარა და გადაჭრა სატელეფონო ხაზი. აქ ცხოვრობდა ხანდაზმული ცოლ-ქმარი: უკანა ეზოში იყო აუზი და ბარბეკიუ, ბავშვების ან შინაური ცხოველების ნიშანწყალი არ ჩანდა. მანქანის ფარეხიდან სამზარეულოში შევიდა.

50 წლის **ბილი** და მისი 55 წლის ცოლი ლორენი უცებ ვერ გაერკვნენ, რა ხდებოდა. რამდენიმე წუთი დასჭირდათ იმის აღსაქმელად, რომ ეს კოშმარი არ იყო: წარმოსადეგი მამაკაცი პისტოლეტით ხელში იდგა მათ საწოლში. კიზიმ ხელფეხი შეუკრა ორივეს და ნივთების შეგროვება დაიწყო. განუცხადა, რომ 15 წუთში ყველანი დატოვებდნენ იქაურობას. აქ მკვლელმა შეწყვიტა თხრობა, რათა გამომძიებლების წინაშე წაეტრაბახებინა: „ძალიან მეეჭვება, რომ სადმე იპოვოთ ჩემი დნმ ან თითების ანაბეჭდი“.



კიზიმ ცოლ-ქმარი ფერმერის მიტოვებულ სახლში წაიყვანა, ბილი სარდაფში დაამწყვდია, ლორენი — საძინებელ ოთახში. მამაკაცმა შეძლო გაეთავისუფლებია ბაწრით დაბორკილი ხელები, რამაც გააცოფა ბოროტმოქმედი. მან იქვე დახვრიტა ბილი და დაბრუნდა ლორენთან, რომელიც ორჯერ გააუპატიურა. შემდეგ ჩაიყვანა სარდაფში, მოკლულ ქმართან დააწვინა და დაახრჩო.

„მე არ ვაპირებ იმის მოყოლას, როგორ მინდოდა მოვქცეოდი მათ. მან ჩემი გეგმა ჩამიფუშა და საკუთარი თავი ველარ გავაკონტროლე“, — დაასკვნა იზრაილმა.

## ისტორიაში უდიდესი გეიაღლუმი



**6-7 ივლისს ლონდონში გამართული გეიაღლუმი ორიენტაციაშეცვლილთა ისტორიაში უდიდეს შეკრებად აღიარეს.**

ლონდონის მერი **სადიქ ხანი** მიესალმა აღლუმის მონაწილეებს. წლეულს ლგბტ-აქტივისტები და მათი თანამგრძნობნი აღნიშნავენ მათთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს — „სტოუნვოლის ამბოხის“ 50 წლისთავს ნიუ-იორკში. 1969 წლის 28 ივლისის ღამეს პოლიცია აპირებდა რეიდის მოწყობას „სტოუნვოლ-ინნის“ ბარში, რომელიც ცნობილი იყო, როგორც პედერასტების შეკრების ადგილი, რაც იმ დროს ჩვეულებრივ პრაქტიკად ითვლებოდა. პოლიციის ამ ჩანაფიქრს წინ აღუდგნენ ბოჰემური კვარტლის — გრინვიჩ-ვოლეჯის მცხოვრებნი.

სოდომიტების დაცვის პირველ მასობრივ საჯარო გამოსვლას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა. ისტორიკოს **დევიდ კარტერის** სიტყვით, გეი-მოძრაობისთვის ამას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბასტილიის დაცემას საფრანგეთის რევოლუციისთვის. სტოუნვოლის ხსოვნის გეიაღლუმები მთელ მსოფლიოში ივნისის ბოლოს-ივლისის დასაწყისში იმართება.







ორი წლის წინათ ბრიტანელი პედერასტები ზეიმობდნენ სხვა მნიშვნელოვან მოვლენას: ინგლისსა და უელსში ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაციის 50-ე წლისთავს. აღლუმის წინა დღეს მათ შეგვახსენეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში არ დაკანონებულა გეიქორწინება, ხოლო მთელ რიგ სახელმწიფოებში სექსუმცირესობას დევნიან. მათ ბრიტანულ ბიზნესს მოუწოდეს, არ იქონიონ ურთიერთობა ასეთ ქვეყნებთან.

სადიკ ხანს მიაჩნია, რომ თანასწორობისთვის ბრძოლაში მიღწეულია „უდიდესი პროგრესი, მაგრამ დამშვიდების დრო ჯერ არ დამდგარა. წლეულს, მაისში ლესბოსელთა წყვილი სცემეს ლონდონის ღამის ავტობუსში. ღონისძიებას პირველად ოფიციალურად შეუერთდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია.

**მალაიზიური ავიალაინერის კატასტროფის გამოძიება „ფარსზე უარესს“ დაემსგავსა, იმის გამო, რომ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები ჯიუტად უგულვებელყოფენ და იგნორირებენ აშკარა მტკიცებულებებს, ცდილობენ რა მომხდარში რუსეთის დადანაშაულებას.**

გამოძიება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერნეტ-ბლოგმა Zero Hedge-მ ჰოლანდიელ რეჟისორ მაქს ფონ დერ ვერფის ახალი დოკუმენტური ფილმის შესახებ ვრცელი მასალა გამოაქვეყნა. საუბარია მალაიზიური „ბოინგის“ კატასტროფის გამოძიებაზე, რომელიც მან ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურის მიმართულებით ფრენისას უკრაინის საჰაერო სივრცეში განიცადა 2014 წლის 17 ივლისს. თვითმფრინავი უკრაინის ტერიტორიაზე, კერძოდ, დონბასში, მიწიდან გაშვებული რაკეტით ჩამოაგდეს, რომლის შედეგად რეის-MH17-ის ეკიპაჟი სრული შემადგენლობით და ყველა მგზავრი, სულ 298 ადამიანი, დაიღუპა.**

# «ბოინგის» შავი ყუთების გატაცება ჯერ ამერიკის, შემდეგ კი უკრაინის სპეცსამსახურებმა სცადეს



ახალი გამოძიება გამოირჩევა იმით, რომ მასში მალაიზიის ოფიციალური პირების: ამჟამინდელი პრემიერმინისტრ **მაჰამად მაჰატჰირისა** და მალაიზიის მთავრობასთან არსებული საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის, უშიშროების ნაციონალური საბჭოს დირექტორის — **მოჰამედ საკრის** ჩვენებები ფიგურირებს. საკრი ამ გამოძიებასთან დაკავშირებული მრავალი ისეთი მოვლენის თვითმხილველია, რომლებიც ამ დრომდე საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ასე მაგალითად: 2014 წელს მალაიზიის იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა **ნაჯიბ რაზაკმა** თვითმფრინავის ჩამოგდებიდან რამდენიმე საათის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** განუცხადა, რომ თვითმფრინავის ჩამოგდების „რუსული კვალის“ მას არ სჯეროდა.

რეის MH17-ის კატასტროფის ახალგამოქვეყნებული გარემოებები ხუთი წლის წინანდელ მოვლენებს ნათელს ჰფენს.

ფილმის ავტორებმა გვიჩვენეს, რომ მალაიზიის მთავრობა, რომლის წარმომადგენლებიც კიდევ ოთხი ქვეყნის: ჰოლანდიის, ავსტრალიის, უკრაინისა და ბელგიის წარმომადგენლებთან ერთად, საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ, წინა გამოძიების დასკვნებს სავსებით სამართლიანად არ ეთანხმება. **მაქს ფონ დერ ვერფმა** წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებული მრავალი მტკიცებულება უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ იყო ფალსიფიცირებული თუ გატაცებული.

მანამდე ამერიკელმა პოლიტოლოგმა **ერიკ ზიუსმა** განაცხადა, რომ მალაიზიური ავიალაინერის კატასტროფის გამოძიება „ფარსზე უარესს“ დაემსგავსა, იმის გამო, რომ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები ჯიუტად უგულებელყოფენ აშკარა მტკიცებულებებს, ცდილობენ რა, მომხდარში რუსეთის დადანაშაულებას.

გამოძიების ფედერალური ბიურო და უკრაინის უსაფრთხოების სამსახური 2014 წელს ყირიმზე შეტევის გადასაფარად ჩამოგდებული „ბოინგის“ „შავი ყუთების“ გატაცებას ცდილობდნენ.

**მაქს ფონ დერ ვერფმა წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებული მრავალი მტკიცებულება უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ იყო ფალსიფიცირებული თუ გატაცებული**

ინტერნეტ-ბლოგი Zero Hedge მტკიცებულებების ფალსიფიცირებაში უკრაინისა და აშშ-ის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს და მათი უშუალო მონაწილეობის დამამტკიცებელ მასალებსაც აქვეყნებს.

მალაიზიის ხელისუფლებამ პირველად განაცხადა იმის შესახებ, რომ „ბოინგის“ ჩამოგდებიდან ერთი კვირის განმავლობაში სწორედ მათ აღკვეთეს ნატოს ძალების ცხრაათასიანი კონტიგენტის შეტევა აღმოსავლეთ უკრაინაში, რომელიც ავიალაინერის ავარიის ადგილის დაცვის საბაბით უნდა განხორციელებულიყო. ამ სპეცოპერაციის მიზანი დონბასში კიევთან დაპირისპირებული ძალების განადგურება და ყირიმზე შეტევის შენიღბვა უნდა ყოფილიყო. ამ გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა, აგრეთვე, გერმანიის კატეგორიულმა პოზიციამ.

Zero Hedge-სთვის მიცემულ ინტერვიუში მალაიზიის პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ თავდაპირველად აშშ-ის, ავსტრალიისა და ჰოლანდიის მთავრობები გამოძიებაში მალაიზიის წარმომადგენლების დაშვებას არ აპირებდნენ, შემდეგ კი გამუდმებით მათთვის ხელის შეშლას ცდილობდნენ. მაგალითად: მალაიზიელები ავიალაინერის ჩამოგდების ადგილსაც კი არ გააკარეს და მათ ეს მხოლოდ ფარულად, ე.წ. სეპარატისტებთან შეთანხმებით მოახერხეს, რომლებმაც 22 ივლისს დონეცკში მალაიზიის წარმომადგენლებს ჩამოგდებული „ბოინგის“ „შავი ყუთები“ გადასცეს.

კიევში დაბრუნებისთანავე კუალა-ლუმპურის დელეგაციას „შავი ყუთების“ წართმევა დაუპირეს: მათი გატაცება ჯერ აშშ-ის, შემდეგ კი უკრაინის სპეცსამსახურებმა სცადეს. ამას გარდა, აშშ-ის მიერ შემდგომში წარმოდგენილი რადიოსაუბრების ჩანაწერები გაყალბებული აღმოჩნდა. ეს როგორც მალაიზიელმა, ასევე გერმანელმა ექსპერტებმაც დაადასტურეს.

politpuzzle.ru

# სისტემური დაუსჯელობა უკრაინაში



**2016 წლის 20 ივლისს კიევში მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი პავლე შერემეტი. მისი ცოლის, „უკრაინსკაია პრავდას“ ხელმძღვანელის — ალიონა პრიტულას მანქანაში დაამონტაჟეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც შემდეგ დისტანციურად აამოქმედეს.**

უკრაინის სამართალდამცველმა ორგანოებმა განაცხადეს, რომ განიხილავენ რამდენიმე ვერსიას, მაგრამ საზოგადოებრიობისთვის თავიანთი საქმიანობის შედეგების შესახებ არაფერი უცნობებიათ. მაისში ქვეყნის გენპროკურორმა **იური ლუცენკომ** განაცხადა, რომ საქმის გამოძიებაში „სერიოზული პროგრესი“ შეინიშნება, მაგრამ კონკრეტულად არაფერი უთქვამს.

2017 წელს პროექტ „გამოძიება.ინფო“-ს თანამშრომლებმა საერთაშორისო ორგანიზაცია „კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების პროექტის“ (OCCRP) წარმომადგენლებთან ერთად შექმნეს ფილმი შერემეტის დაღუპვის შესახებ. ჟურნალისტებმა მოიპოვეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რომლებითაც გაარკვიეს, რომ მკვლელობის წინა ღამეს შერემეტის სახლს უთვალთვალებდა უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი **უსტიმენკო** მეწყვილესთან ერთად. მაგრამ სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს დამნაშავის კვალის დადგენაც კი.

ექსპერტების აზრით, თუ ამ საქმეში გარეულია დიდი პოლიტიკა, გამოძიება შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ანალიტიკოსების განცხადებით, ჟურნალისტების მკვლელობის გახმაურებული შემთხვევების გამოძიება უკრაინაში პროფესიულ დონეზე არ მიმდინარეობს, რაც სისტემურ დაუსჯელობას უწყობს ხელს.

უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა **ვიქტორ შოკინმა** ამას წინათ გაასაჯაროვა შერემეტის მკვლელობის მონაცემები. მისი აზრით, ჟურნალისტის მკვლელობა შეიძლება მოეწყო მაღალჩინოსანს, რომელიც დღემდე თანამდებობაზეა. ამასთანავე, შოკინმა შერემეტის დაღუპვა დაუკავშირა „უკრაინის პრავდის“ პირველი მთავარი რედაქტორის, **გიორგი ღონღაძის,** მკვლელობას. ყოფილი გენპროკურორი მიიჩნევს, რომ შერემეტის საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ის ჯგუფი, რომელიც ღონღაძის მკვლელობას იძიებდა. 2015 წლის 16 აპრილს კიდევ ერთი ჟურნალისტი და მწერალი **ოლეს ბუზინა** ჩაცხრილეს თავის სახლთან კიევში. როგორც შერემეტის შემთხვევაში, გამოძიებამ აქაც ვერ შეძლო ვერც შემსრულებლებისა და ვერც დამკვეთების დადგენა. პრაქტიკულად არავინ დაეჭვებულა, რომ ბუზინა პოლიტიკური მოტივით მოკლეს: ჟურნალისტი აცხადებდა, რომ მას მოკვლით ემუქრებოდნენ „ევრომაიდნის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსულები, რომლებსაც იგი სამოქალაქო ომის დაწყებას აბრალებდა.

# «არალეგალური მიგრაცია ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას ემუქრება»

**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ განაცხადა, რომ არალეგალური მიგრაცია ევროპის მომავლისთვის, კულტურისა და ცივილიზაციისთვის საფრთხეს წარმოადგენს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქვეყნის სუვერენულ უფლებას, უარი უთხრას მულტიკულტურიზმს.**

„ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ უნგრეთი, როგორც უნგრული ქვეყანა. ჩვენ ამის უფლება გვაქვს. უნგრეთის სუვერენული უფლებაა, გადაწყვიტოს, ვის მივცემთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებას და ვისთან ერთად გვსურს ცხოვრება. ეს ეროვნული გადაწყვეტილებაა, ეროვნული სუვერენიტეტის საკითხია; არ გვინდა, ამაზე უარი ვთქვათ; არ გვინდა, ამ სახის გადაწყვეტილებები ჩვენ ნაცვლად ბრიუსელმა, ნიუ-იორკმა ან ჟენევამ მიიღოს“, — განაცხადა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა ფიქრობს, რომ მიგრაცია სასურველია, ამას უნგრეთი არ ეთანხმება.



„ვფიქრობთ, არალეგალური მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს ევროპული მომავლისთვის, საფრთხეა ევროპული კულტურისთვის და ევროპული ცივილიზაციისთვის. ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელიც მკაცრად ემხრობა ეროვნულ იდენტობას, რომელსაც სურს, დაიცვას რელიგიური, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენ მათი დაკარგვა არ გვინდა“, — აღნიშნა სიიარტომ და დასძინა, რომ მიგრაცია უნდა შეჩერდეს, როგორც ბალკანეთის დასავლეთით, ისე საზღვაო გზით.

„ამის გზა არის ის, რომლის განხორციელებაც იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრს, მატეო სალვინს სურს, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაცვლად ბრიუსელის მხარდაჭერისა, სალვინის თავს ესხმიან ევროპული ინსტიტუტები. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, მივხვდეთ, რა არის ადამიანის უფლებები და რა — არა. მიგრაცია არ არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. ეს არსად წერია. ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა უსაფრთხო და დაცული სიცოცხლე მის ქვეყანაში. პოლიტიკური დღის წესრიგი უნდა იყოს, დაეხმარო ადამიანებს იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ და არა ის, რომ წაახალისო სამშობლო დატოვონ და გადასახლდნენ“, — განაცხადა უნგრეთის მთავარმა დიპლომატმა.

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია, თვალი დავიბრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ საქვეყნოდ ჰღაღადებს. რად უნდა გავჩუმდეთ?“**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**პარლამენტთან აქცია ახალი ფორმატით განახლდა, ნაციონალები კი პარლამენტში 20 ივნისის მოვლენებზე საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის დაყენებას აპირებენ. როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი რომან გოცირიძე ამბობს, სწორედ ამ კომისიამ უნდა გამოიძიოს დანაშაულებრივი ქმედებები — გავრილოვის შემოყვანით დაწყებული, 20 ივნისის ღამით დამთავრებული. მაგრამ, თუ „ოცნება“ ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს, მომავალი პარლამენტი ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებსო...**

**რას გაიგებ ამ „კოაბიტირებულ“ ქვეყანაში?!**

**ტურამ ქვეყანა დააქცია, მგელს კი ბრალი აჰკიდესო.**

**პარლამენტთან კი აქცია გრძელდება. მოთხოვნა უცვლელია: გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია.**

**რუსთაველზე არსებულ ვითარებას ყოველ საღამოს სოციალურ ქსელში ერთსაათიანი გადაცემა ეძღვნება, აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის — შოთა დიღმელაშვილის თქმით კი, გადაცემაში გიორგი გახარიას მიწვევაც იგეგმება.**

**ვინ არის შოთა დიღმელაშვილი? — თუ „გუგლ“-ს ვენდობით, მმართველობის მონიტორინგის ცენტრის პროექტ „ფლანგვის დეტექტორის“ ხელმძღვანელი. ვერ გაიგეთ? სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან ვერც ჩვენ გავიგეთ, რომელ დეტექტორს ხელმძღვანელობს ეს 33 წლის ახალგაზრდა და რის ფლანგვაზეა საუბარი. იქნებ რუსთაველზე დროის ფლანგვას გულისხმობენ და „თავიანთი პროექტის ფარგლებში“ სწორედ ამას იკვლევენ იქ ყოფნით?!**

**...საით მიდიხარ, საქართველოვ?!**

**ეს არ არის „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ (იოანე საბანისძე), ანუ ერის სვლა თავის ისტორიულ გზასა და კვალზე, რაც ყოველ დროს ყველასთვის სახელმძღვანელო უნდა იყოს (ივანე ჯავახიშვილი).**

**ყველა ეპოქაში ახალი თაობა ყოველთვის სიახლეების დანერგვისკენ ისწრაფვის, ასე იყო ილიასა და მისი თაობის დროსაც, მაგრამ მათთვის ის სიახლე იყო მისაღები, რომელიც ქართველი კაცის ისტორიულ ტრადიციებს არ შეურაცხყოფდა და, ერის ზნეობრივ გადაგვარებას კი არა, მის განათლებას, მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებთან ზიარებას ემსახურებოდა. დღეს ლიბერალობა სალანძღავ სიტყვად არის ქცეული, რადგან ის ასოცირდება ათასგვარ სისაძაგლესა და სიბინძურესთან, რომლებიც პროგრესულ კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დასაძრახ საქციელად მიაჩნდა.**

**ჩვენ კი ჩვენს ახალგაზრდა მკითხველს ისევ ილია ჭავჭავაძის ბრძნულ ნააზრევს შევთავაზებთ განსჯისთვის და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა გაარჩიოს: „ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელიაო“.**

# არც თვალი არ უნდა დავიბრმავოთ, არც ყურებში ბამბა არ უნდა დავიცოთ და არც ენა არ უნდა მოვიჭრათ...



**ვინ არის შოთა დიღმელაშვილი? — თუ „გუგლ“-ს ვენდობით, მმართველობის მონიტორინგის ცენტრის პროექტ „ფლანგვის დეტექტორის“ ხელმძღვანელი. ვერ გაიგეთ? სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით, რადგან ვერც ჩვენ გავიგეთ, რომელ დეტექტორს ხელმძღვანელობს ეს 33 წლის ახალგაზრდა და რის ფლანგვაზეა საუბარი. იქნებ რუსთაველზე დროის ფლანგვას გულისხმობენ და „თავიანთი პროექტის ფარგლებში“ სწორედ ამას იკვლევენ იქ ყოფნით?!**

* „პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქულიო, ნათქვამია“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.)*

* „ლიბერალობა განა მალვაა, ანუ ხელის წაფარება ტყუილებისა, ოინბაზობისა, თაღლითობისა, თვალთმაქცობისა და ყოველგვარ ნამუსახდილობისა, და არა მხილება ყოველ ამისი? თუ საძრახავსა არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისიღაა ეგ თქვენი მოწონებული, თქვენი ქადებული დოყლაპია ლიბერალობა“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „...ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალსა. საბუთიანს, მართალსმხილებას, თუნდა მთელის ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინოდა, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო. ბაძით ქვეყანა წახდებაო, ნათქვამია. მსჯავრდაუდებელი ბოროტი — მაცდურების მახეა და შიგ ადვილად გაიბამს თავს გულლბილი და ხასიათდაუდგრომელი კაცი *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, — დასამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურვინ გაიხეთქს გულს. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიბრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ საქვეყნოდ ჰღაღადებს. რად უნდა გავჩუმდეთ?“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო“. სხვისა ნურა გინდა-რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

*** „ღმერთმა იცის, — კაცურკაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისი პურის ჭამა, თუ თავისის გაცემა. ვინ იცის: ზნეობა უფრო მაგარი ქვითკირია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, სჭამე, რაკი გემრიელიაო“** *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს“, ესე იგი, მისი ზნე, გაუწურთვნელი ზნე, ყავარჯენი კი არა, ჭირია“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

* „ტყუილად კი არ ამბობს ბოსსუეტი: „ერიდენით და უფრთხილდით საკუთარს ზნესა. ზნე იმისთანა მტერია, რომელიც, საცა წახვალთ, ყოველგან თან დაგდევთ სიკვდილის კარამდინაო“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).*

*** „ადამიანის უუძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობაა და ნურავის ნუ უკვირს, თუ ამ ვინაობის შემაგინებელს, შემბღალველს ყოველი პატიოსანი კაცი სამართლიანის გულისწყრომით ზედა ეგება“ *(„ქვათა ღაღადი“. 1899 წ.).***

* „გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა, თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებელი“.

* „რაც გინდ იყოს, ...„ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა ბრმად არ აჰყოლია ვილაც ორს ასოს ქვეშ მიმალული კორესპონდენტის ფეხის ხმას. იქ, საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასესს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ სარის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისის თავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ. ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

*** „ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვს სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმეს დებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).***

* „ბევრი კაცი, და იქნებ იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუძლებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს ულებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ, ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, — ვინ მტყუანი და ვინ მართალი“. „ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიში კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის. ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით“.

„ეს ხომ თავისუფლება კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაბატონებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით“.

„ნუთუ ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა, რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს ნამუსის ქუიდ მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით“.

„ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია მით, რომ პრესისგან უსამართლოდ და უსაბუთოდ შებღალვილს ღონისძიება აქვს თავი იმართლოს ბეჭდვითვეო, ბევრს ეს პრესის მეტის-მეტის პატივისცემით მოსდის და არა იმისათვის, რომ ამისთანა უკადრისი საქციელი პრესისა არ ეხამუშებოდეს. ეხამუშება, სწყინს კიდეც, მაგრამ არ უნდა რომ იმისთანა მზეს, როგორიც დღეს პრესაა, საქები რამ ჰქონდეს და არ გაუქარწყლოს“.

„მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა..., მაგრამ ამისთანა პატივისმცემელი კი არასდროს არა ვყოფილვარ და არც ვარ, რომ ყოველ წარამარად ბღაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველი საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. **ბრმად თაყვანისცემა რისიმე და ვისიმე, კერპთმსახურება და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა“.**

„კიდევ ვიტყვი, რომ პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელ კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიახ მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. და უამისოდ ბრალდებულთა სკამზედ ასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პი- ▶

**«უზრდელობა, უმართებულობა, გაუპატიურება ადამიანის უწვრთნელობის, გონება გაუხსნელობის და უჯიშობის უტყუარი ნიშანია»**

„ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევით, იმიტომ, რომ გაბოროტება, ვით ძლიერი თავდაუჭერელი ვნებათა-ღელვა, გულის-ყურის კარს დაუხშობს, და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია დამწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, აი საბოროტო დაშლილს საღერღელს, დაჟინებულს და თავდაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა!»




ურქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფაცხოვრება“.

„ეს ყველაზე უწინარეს პრესამ, ვით სალარომ ადამიანის ჭკუა-გონებისამ, უნდა იცოდეს და თვითეულს გაზეთს თუ ჟურნალს თავის დროშაზე დიდი ასოებით წააწეროს“.

„აქ აღვირის მიშვება და სადავის მიგდება კარის გაღებაა იმ ერთგვარი უწმინდურობისა, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან და მაშინ ძაღლიც ვეღარ იცნობს პატრონსა. ერთი-ერთმანეთსშევეჯახებით, ერთი-ერთმანეთს თავს შევახლით, ერთი-ერთმანეთს დავჭამთ, მაშინ ტყეში მგელთან და აფთართან ცხოვრება უკეთესი და უფრო მოსვენებული იქნება, ვიდრე კაცთა შორის“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ეგენიც გაუჩენია სამართლიანად თუ უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის კალმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერის, როგორიც დღეს „მოგზაურის“ რედაქციას ქვეყნის სასაცილოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს!“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* **„ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ასე გამწვავებულია საქმე წოდებათა შორის, ყოველივე ამბავი და ნაამბობი ათასჯერ ასაწონია, ათასჯერ გასაზომია და ერთხელ ძლივად დასაჯერებელი. თუ კაცი სინდისსა და ნამუსზე ხელაღებულია და ვისიმე ჯავრის ამოყრა გულს მოსწოლია, ადვილად მოახერხებს ათქმევინოს თავად-აზნაურს, თუ გლეხს, ავზნეობა და ავკაცობა ერთმანეთისა“** *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* **„საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰღვიძებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს**, — აი გლეხობა სხვასთან ერთად ამასაც შემოსწყრა, ამას „ბოიკოტობა“ გამოუცხადა, არამედ გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, — **ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოველთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია?“** *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „ლანძღვა-გინებაც ხელშეხებაა ადამიანის ღირსებისა, მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას. ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავზნეობის ნიშანი კი არ არის. გაუზრდელობის, გაუწვრთნელობის საქმეა. იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ქვეყანაზედ ბრიყვი და უზრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოვლად კარგი და პატიოსანი“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* **„უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, აი საბოროტო დაშლილს საღერღელს, დაჟინებულს და თავდაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა!“** *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* „განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმე დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულებით“ *(„ნუთუ“. 1905 წ.).*

* **„ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცთათვის“** *(„პასუხი“. 1861 წ. 14 მაისი).*

„ვინც ლაფში თავიდამ ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს“

(„საქართველოს მოამბეზედ“. 1862 წ.).

* „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ინგლისელი, სულერთია ჩვენთვის, ორივ წყალში გადასაყარნი იქნებიან“ *(„საქართველოს მოამბეზედ“. 1862 წ.).*

* „მიირთვიც რომ გითხრა, ამ კარგს დარბაისლურს სიტყვას, თუ მოინდომებ, ცუდად ჩამომართმევ, თუ ნამეტნავად ზოგიერთი კაცის გულის გარყვნილებაში შენც წილი ჩაგიდვია“ *(„ზოგიერთი რამ“. 1866-1876 წ.).*

* **„განათლებულს, მაღალ ზნეობის კაცს მართლად შენიშნული წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქებადიდება; გაუნათლებელს სულმოკლეობას კი პირიქით სულ სხვა მადა აქვს ამაებისათვის“** *(„ქართული თეატრი“. 1886 წ.).*

* „იგი სიცილი მაშხალასა ჰგავს, რომელიც მინამ ანთია, კიდევ ჰო, როცა დაიწვის და ჩაქრება, დამწვარი მჩვარი-ღა დარჩება და ცხვირის მოსარიდებელი ნატისუსალი“ *(„ქართული თეატრი“. 1886 წ.).*

* „ადამიანის გრძნობას როგორღაც ეთაკილება, ეზიზღება ხუმრობა და გასართობი სიცილი იქ, საცა ზრზენამ და ზიზღმა თავისი მრისხანე და სამართლიანი განაჩენი უნდა წარმოსთქვას და მახვილმა შეგინებულის ზნეობისამ თავი უნდა იჩინოს“ *(„ქართული თეატრი“. 1886 წ.).*

* „ხასიათი და ზნე-ჩვეულება ყველგან არის, მაგრამ ყოველის თესლის ერს თავისი განსხვავებული ხასიათი აქვს და ზნე-ჩვეულება, იმიტომ, რომ ხასიათის და ზნე-ჩვეულების ასე თუ ისე აგებაზედ მოქმედებს მთელი კრებული იმ გარემოებათა, რომელთ წრეშიაც სული და ხორცი დიდი ხანია უტრიალებია ერს და დღესაც ატრიალებს“ *(„ქართული თეატრი“. 1886 წ.).*

* „პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთსა“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

* „პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შერცხვენა იქნება. ცუდია. თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (1877 წ. 3 მარტი).*

* „ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და **აღიარებს“** *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

* „სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს?“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

* „სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არ ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩელედ?“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (I) 1877 წ. 3 მარტი).*

* „სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არა მზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?“

(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (I) 1877 წ. 3 მარტი).

* „ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

* „უზრდელობა, უმათებულობა, გაუპატიურება ადამიანის, უწვრთნელობის, გონება-გაუხსნელობის და უჯიშობი სუტყუარი ნიშანია“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

* „ეხლანდელს ზნეობით დავარდნილ დროში ფეხადგმულია უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე“ ვგონებ, არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო“ *(„ვიცინოთ თუ ვიტიროთ“. 1877 წ.).*

* „ლანძღვა-თრევა გოგობიჭების ჩალაურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელის ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ — რაღა თქმა უნდა“ *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“. (II) 1885 წ. 31 დეკემბერი).*

* „ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდაროდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. აპრილი).*

* „თუ უწვრთნელს, უზრდელს, სხვის გამაუპატიურებელს, ჩვენს შინაობაშიაც, სახლობაშიაც, საცა მარტო ერთიორი კაცია, ვერ ვიშვნევთ და ვთაკილობთ, თუ მაგაების პატრონს ჩვენს საკუთარს პატარა ოჯახშიაც ფეხს არ შევადგმევინებთ და კარს ამოვუქოლავთ, მაშ როგორ-ღა უნდა შევიშვნიოთ, შევიწყნაროთ იგი იმ დიდს ოჯახში, საცა არამცთუ მარტო მე და თქვენა ვართ ჩვენის ცოლ-შვილით, არამედ მთელი ერია, მთელი ქვეყანაა, იმიტომ რომ ლიტერატურეს მთელს ერთანა აქვს საქმე, მთელს ქვეყანასთან. ეს რაცა ვსთქვით იმას კი არა ჰნიშნავს, რომ აღმა მხვნელს და დაღმა მფარცხველს საქციელი უსათუოდ მოვუწონოთ, ანუ გავუჩუმდეთ, ავის მომქმედი არ გავამხილოთ, არ გავკიცხოთ. არა. ხოლო გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. წუნის დადება და ლანძღვა-თრევა შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. განა ცუდს ცუდი, ავს ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახებლად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? ამ შემთხვევაში **ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევით, იმიტომ რომ გაბოროტება, ვით ძლიერი თავდაუჭერელი ვნებათა-ღელვა გულის-ყურის კარს დაუხშობს, და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია დამწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს. ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული, გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ ზოგიერთებსავით სიხარულით ქუდი ჭერს აჰკრას, აცა, ჩემს მოძმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო. არამედ იმისთვის, რო მან ავის მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი“** *(„ივერიის“ წინასიტყვაობა“ (1885 წ. 31 დეკემბერი).*

## «სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს?»

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მსოფლიოს ყველაზე ცნობილი საიდუმლო კონტინენტებიდან ყველაზე დაშორებულ დასახლებულ კუნძულზეა. ქვის გიგანტური სტატუების წარმოშობაზე ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ, თუმცა ზუსტად ვერავინ ამბობს, რა მიზნით შეიქმნა ეს სტატუეტები და რატომ მიატოვეს ისე, რომ არ დაუსრულებიათ.**

# იდუმალი ობიექტები, რომლებიც შექმნილია ჩვენს ერამდე რამდენიმე ათასი წლის წინათ

მსოფლიოში არის იდუმალებით მოცული რამდენიმე ათეული ადგილი და ობიექტი, რომელთა საიდუმლოს ამოცნობას მეცნიერები წლების განმავლობაში ცდილობენ. ქვის სფეროები, ფილები, ღვთაებები, ტაძრები — ეს საუკუნოვანი ისტორიული ფასეულობები უნიკალურია და შესაძლებლობას გვაძლევს, დავბრუნდეთ წარსულში — ცივილიზაციის განვითარების საწყისთან.



## კარნაკის ქვები. საფრანგეთი

კარნაკის ქვები — ეს არის 3 ათასზე მეტი ქვის კოლექცია საფრანგეთის ქალაქ კარნაკის გარშემო. ქვები დადგმულია ჩვენს ერამდე 4500-სა და 3500 წლებს შორის. ამ ქვების დადგმის მიზანზე უამრავი თეორია არსებობს. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ქვებს ასტრონომები იყენებდნენ და ეს ობსერვატორიაა; სხვების აზრით. ქვებს იყენებდნენ, როგორც სეისმურ მოწყობილობას, მიწისძვრის წინასწარმეტყველებისთვის.



## დაუსრულებელი ობელისკი. ასუანი, ეგვიპტე

ასუანის ახლოს უძველეს კარიერებში ნაპოვნია გიგანტური ქვის ნატეხი, რომლითაც ობელისკი უნდა შეექმნათ. ობელისკი დასრულებული არ არის, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ნაპრალები გაუჩნდა (ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ობელისკის შექმნის სამუშაოები ძალისმიერი მეთოდით შეწყდა). შთაბეჭდილებას ახდენს ობელისკის უზარმაზარი ზომები, მისი სიმაღლე 42 მეტრია, წონა — 1200 ტონა. უკეთესად რომ წარმოიდგინოთ, ობელისკის სიმაღლე 10-სართულიანი სახლის ტოლია. ასეთი ობიექტის ტრანსპორტირება ბევრი თანამედროვე მექანიზმითაც კი შეუძლებელია. როგორ აპირებდნენ ობელისკის ტრანსპორტირებას ეგვიპტელები, გამოცანად რჩება.



## გებეკლი თეფე, თურქეთი

გებეკლი თეფეს მსოფლიოში ყველაზე ძველ რელიგიურ ნაგებობად მიიჩნევენ. მეცნიერთა აზრით, ეს სტრუქტურა შეიქმნა 10000-9000 წლებში ჩვენს ერამდე. ქვის ნაგებობებსა და ბოძებზე ამოკვეთილია მტაცებელი ცხოველები. ვარაუდობენ, რომ გებეკლი თეფე აგებულია სოფლის მეურნეობის შექმნამდე, აგრეთვე, ცხოველების მოშინაურებამდე. როგორ შექმნეს ეს კომპლექსი, საიდუმლოდ რჩება.

## ანტეკერა. ესპანეთი



სამი ყველაზე მნიშვნელოვანი დოლმენი (უზარმაზარი ქვების ნაგებობა — შედგება ვერტიკალური შემოსაზღვრული კოჭებისა და ჰორიზონტალური ბლოკებისგან, ფილებისგან) ესპანეთში — კუევა-დე-მენგა, კუევა — დე-ვიერა და ტოლოს ელ-რომერალი მსოფლიოში ყველაზე დიდია. მათ კონსტრუქციაში გამოყენებული ქვები 180 ტონას იწონის და გადმოტანილია ახლანდელი მდებარეობის ადგილიდან, სულ ცოტა, 2 კმ-ის მანძილიდან, უნიკალური კონსტრუქცია შეიქმნა 3700 წლის წინათ ჩვენს ერამდე.



## იონაგუნის ქანდაკება. იაპონია

1987 წელს იაპონიის კუნძულ იონაგუნის სანაპიროსთან წყალქვეშა წარმონაქმნები აღმოაჩინეს. ამ წარმონაქმნებს აქვთ ბრტყელი კიდეები, პარალელური სწორი კუთხეები და კოლონები. ადგილი, სადაც აღმოაჩინეს კონსტრუქცია, ხმელეთი იყო ბოლო გამყინვარების პერიოდში 8-დან 10 ათასამდე წლის წინათ, ამიტომ, თუ იონაგუნი ადამიანებმა შექმნეს, ის ერთ-ერთი ძველი ნაგებობაა დედამიწაზე.



## კამბეის ყურე (ჰამბჰატი). ინდოეთი

2001 წელს ინდოეთის სანაპიროსთან, კამბეის ყურეში აღმოაჩინეს ჩაძირული ქალაქი. რამდენიმე ხელოვნური სტრუქტურა ჰიდროლოკატორის გამოყენებით იპოვეს. ფსკერიდან ამოიღეს ბევრი არტეფაქტი. მათ შორის: თიხის ქოთნის ნამტვრევები, სტატუეტები, სამკაულები. ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი არსებობდა ჩვენს ერამდე 9500 წლიდან. და 1000 წლით ძველია ინდოეთის ყველაზე ძველ ქალაქ ვარანასიზე.



## მოაი. აღდგომის კუნძული

მსოფლიოს ყველაზე ცნობილი საიდუმლო კონტინენტებიდან ყველაზე დაშორებულ დასახლებულ კუნძულზეა. ქვის გიგანტური სტატუების წარმოშობაზე ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს სხვადასხვა თვალსაზრისი აქვთ, თუმცა ზუსტად ვერავინ ამბობს, რა მიზნით შეიქმნა ეს სტატუეტები და რატომ მიატოვეს ისე, რომ არ დაუსრულებიათ. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, აღდგომის კუნძული მიწისქვეშა მთის პიკია და დაღუპული ცივილიზაციის — მოაის, ნარჩენებს წარმოადგენს.



## ჯგანტია. მალტა

ჯგანტია წარმოადგენს მალტის კუნძულ გოზოზე ორი მეგლითური ტაძრისგან შექმნილ კომპლექსს. ქვის ტაძრები აშენებულია ჩვენს ერამდე 3600 წლის წინათ და გებეკლი თეზეს (თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი) შემდეგ რიგით მეორე რელიგიური სტრუქტურაა, რომელიც ოდესმე უპოვიათ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ იმხანად ჯერ კიდევ არ არსებობდა ლითონის იარაღები და არც ბორბლი იყო გამოგონებული. მეცნიერთა აზრით, ეს არის ნაყოფიერების საკულტო ადგილი, რადგან იქ ნაპოვნია ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ფიგურები და სტატუეტები.



## ქვის სფეროები. კოსტა-რიკა

კოლექცია, რომელიც შედგება 200 ქვის სფეროსგან, კოსტარიკაში იპოვეს. ქვების ზომა რამდენიმე სანტიმეტრიდან იწყება და 2 მ-ს აღწევს. ვარაუდობენ, რომ სფეროები გამოკვეთილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500-დან 500-მდე წლებში. არსებობს რამდენიმე ლეგენდა ამ ქვის სფეროების შექმნის შესახებ. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ეს ქვები ატლანტიდის რელიქტებია (გეოლოგიური ეპოქის ფლორისა და ფაუნის ნარჩენები), მეორე ლეგენდის მიხედვით, ამ ქვების შემქმნელებს ჰქონდათ კლდის დამარბილებელი ნივთიერება და ამ ნივთიერების დახმარებით გამოკვეთეს სფეროები.



## ოლმეკების თავები. მექსიკა

ოლმეკების თავები — ეს არის ქვისგან გამოკვეთილი 17 კოლოსალური თავის კოლექცია, რომელიც შეიქმნა დაახლოებით 1500-1000 წლებში ჩვენს ერამდე. თავების წონა 6-დან 50 ტონამდეა, თითოეულს უნიკალური ქუდი აქვს, რის გამოც ზოგიერთს მიაჩნია, რომ ისინი ოლმეკების მმართველები იყვნენ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„მეტრეველი ღვთისგან დაჯილდოებული ჩოგბურთელია. როდესაც მის თამაშს უყურებ, ჭეშმარიტ სიამოვნებას განიცდი. ეს არ არის უბრალოდ თამაში, ეს არის მაღალი ხელოვნება. მის თამაშში არის ყველაფერი, რითაც მომხიბვლელია დიდი ჩოგბურთი: მრისხანე შეტევები, ოსტატური დაცვა, ფილიგრინული ტექნიკა და ფანტაზია, რომელთა გარეშეც ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოუდგენელია“.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უიმბლდონის ტურნირის ქართველი ფინალისტი

**ალექსანდრე მეტრეველი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ჩოგბურთის ისტორიაში. ის იყო აღმოსავლეთ ევროპაში პირველი მოყვარული (არაპროფესიონალი) ჩოგბურთელი, რომელმაც უმაღლესი რანგის ტურნირებში შთამბეჭდავი გამარჯვებებით, დევისის თასზე ბრწყინვალე გამოსვლებით მაღალი რეიტინგი დაიმსახურა და პროფესიონალი ჩოგბურთელების საუკეთესო ათეულში დაიმკვიდრა ადგილი.**

**ალექსანდრე მეტრეველი**, თავისი სახელგანთქმული მეტოქეებისგან (**როდ ლეივერი, ჯიმი კონორსი, ბიორნ ბორგი, კენ როზუელი, ილიე ნასტასე**) განსხვავებით, არ სარგებლობდა იმ სიკეთეებით, რომლებითაც საჩოგბურთო ტრადიციებით მდიდარი ქვეყნების წარმომადგენლები. იმხანად არც საპრიზო ფონდები იყო დღევანდელივით განადიოზული, მაგრამ ალექსანდრე მეტრეველმა პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლო ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და ჩოგბურთისადმი ფანატიკური სიყვარულის გამოვლენით.

ალექსანდრე მეტრეველი დაიბადა 1944 წლის 2 ნოემბერს თბილისში, ირაკლი და ანა მეტრეველების ოჯახში. ჩოგბურთის თამაში 10 წლისამ დაიწყო მწვრთნელ **არამ ხანგულიანთან**, რომლის ხელმძღვანელობითაც დამწყებმა ჩოგბურთელმა ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო ერთეულთა თანრიგში, 1962 წლიდან კი საბჭოთა კავშირის 10 საუკეთესო ჩოგბურთელის სიაში შევიდა. ეს სია ალექსანდრე მეტრეველს 18 წლის განმავლობაში არ დაუტოვებია, 1966-67 და 1969-1978 წლებში კი პირველი იყო.

ამ პერიოდზე მოდის ალექსანდრე მეტრეველის ბრწყინვალე გამარჯვებები საბჭოთა კორტებზე. ის არის საბჭოთა კავშირის 29-გზის ჩემპიონი ერთეულთა, წყვილთა და შერეულთა თანრიგებში. 18 წლის იყო, როდესაც პირველად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში და 1962 წლიდან 14 წლის განმავლობაში იცავდა ქვეყნის ღირსებას დევისის თასზე. ამ თასზე გამართული მატჩების მიხედვით ალექსანდრე მეტრეველი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელების ხუთეულშია. ასეთი რანგის ტურნირზე გამართული 105 (!) მატჩი მართლაც ფანტასტიკური შედეგია. დევისის თასზე გამართული შეხვედრების მიხედვით, ალექსანდრე მეტრეველს უსწრებს იტალიელი **ნიკოლო პეტრანჯელი**, რუმინელი **ილიე ნასტასე** და ესპანელი **მანუელ სანტანა.**

მეტრეველი დევისის თასის გათამაშების №1 მოთამაშეს პირველად 1968 წელს იტალიაში შეხვდა და სამ სეტში დაამარცხა (დათმო მხოლოდ 2 გეიმი).

აღსანიშნავია, რომ სპორტული ფორმის პიკზე მყოფმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის მთავარ ძალას წარმოადგენდა 2 ქართველი ჩოგბურთელი — **ალექსანდრე მეტრეველი** და **თეიმურაზ კაკულია** — და რომელიც 1977 და 1978 წლებში დევისის თასის გათამაშებაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი იყო, პოლიტიკური მოტივების გამო უარი თქვა ამ პრესტიჟულ გათამაშებაში მონაწილეობაზე.

ალექსანდრე მეტრეველის უმაღლესი მიღწევა იყო 1973 წელს უიმბლდონის ტურნირის ერთეულთა თანრიგის ფინალში მონაწილეობა. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ტურნირის ფორვარტი, შემდგომ მსოფლიოს №1 ჩოგანი, დიდი მუზარადის ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, ამერიკელი **ჯიმი კონორსი.** ფინალში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების უმრავლესობა ალექსანდრე მეტრეველს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ის ჩეხ **იან კოდეშთან** დამარცხდა.

საერთოდ კი, ალექსანდრე მეტრეველმა 3-ჯერ ითამაშა უიმბლდონის ტურნირის ფინალში: ერთხელ — ერთეულთა





**ალექსანდრე მეტრეველის უმაღლესი მიღწევა იყო 1973 წელს უიმბლდონის ტურნირის ერთეულთა თანრიგის ფინალში მონაწილეობა. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ტურნირის ფორვარტი, შემდგომ მსოფლიოს №1 ჩოგანი, დიდი მუზარადის ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, ამერიკელი ჯიმი კონორსი. ფინალში, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების უმრავლესობა ალექსანდრე მეტრეველს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ის ჩეხ იან კოდეშთან დამარცხდა**



ალექსანდრე მეტრეველი და ანა დმიტრიევა

თანრიგში (1973 წ.) და 2-ჯერ (1968, 1970 წლებში) — შერეულ წყვილთა თანრიგში. ამას გარდა, ალექსანდრე მეტრეველი არის ევროპის 16-გზის ჩემპიონი ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგებში, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1970 წ.) სკანდინავიისა და შვედეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული (1966), აზიის ჩემპიონი (1970), იტალიის, ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატების ნახევარფინალისტი და ა.შ.

კორტზე მეტრეველი ყოველთვის იყო პიროვნება. თავისი მწვავე კომბინაციებით, მოულოდნელი და გათვლილი სვლებითა და დარტყმებით, ინტელექტით ყოველთვის იმსახურებდა მათ პატივისცემას, ვისთანაც ჰქონდა საქმე. ის ჩოგბურთის ჯენტლმენური ეთიკის მიმდევარი იყო.

აი ასე ახასიათებდა ალექსანდრე მეტრეველს გამოჩენილი სპორტსმენი და კომენტატორი, სსრკ-ის სახალხო არტისტი **ნიკოლაი ოზეროვი: „მეტრეველი ღვთისგან დაჯილდოებული ჩოგბურთელია, როდესაც მის თამაშს უყურებ, ჭეშმარიტ სიამოვნებას განიცდი. ეს არ არის უბრალოდ თამაში — ეს არის მაღალი ხელოვნება. მის თამაშში არის ყველაფერი, რითაც მომხიბვლელია დიდი ჩოგბურთი: მრისხანე შეტევები, ოსტატური დაცვა, ფილიგრინული ტექნიკა და ფანტაზია, რომელთა გარეშეც ჭეშმარიტი ხელოვნება წარმოუდგენელია“.**

მეტრეველმა აქტიურ ჩოგბურთს თავი დაანება 1980 წელს, შემდეგ ის მუშაობდა მწვრთნელად საქართველოს ნაკრებში, 1982-1987 წლებში იყო საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტის წევრი, რუსეთის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველი.

ალექსანდრე მეტრეველი პროფესიით ჟურნალისტია — 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ყოფილმა პარტიორმა **ანა დმიტრიევამ** ტელევიზიაში კომენტატორად მუშაობა შესთავაზა და მეტრეველი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მას ანა დმიტრიევასთან ერთად დღესაც მიჰყავს რეპორტაჟები უმაღლესი დონის საჩოგბურთო ტურნირებიდან. მათი რეპორტაჟები ჰგავს ორი მცოდნე ადამიანის ინტელექტუალურ ბაასს. ისინი იშვიათად კამათობენ და, თუ განსხვავებული აზრი აქვს ამა თუ იმ საკითხზე, მეტრეველი, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, დუმს და საუბრის თემას ცვლის.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე მეტრეველი არის თბილისის საპატიო მოქალაქე, აგრეთვე, ავსტრალიის საპატიო მოქალაქე.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. 2 ნოემბერს ალექსანდრე მეტრეველს 75 წელი შეუსრულდება.**







# ალექსანდრე ლუკაშენკო: ბელარუსი რუსეთის ფულზე არ გაცვლის



**„ჩვენ გვინდა კარგი ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან, საერთოდ, ევროპასთან, ევროკავშირთან, აშშ-თან. მესმის, რაც არის ევროკავშირი და აშშ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში და არასდროს არანაირი ფულის სანაცვლოდ ურთიერთობებს მოძმე რუსეთთან არ გავწყვეტთ, ბელარუსი რუსეთს ფულზე არ გაცვლის“,** — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრ ედგარ რინკევიჩთან მინსკში შეხვედრისას.

ლუკაშენკოს თქმით, ბელარუსში ალმაცერად არ შეხედავენ ქვეყანას, რომელიც მძიმე დროს მათ ყოველთვის მხარში ედგა.

**„ეს ჩვენი რუსეთია, ეს ჩვენი ხალხია, რომლებიც ჩვენ პატივს გვცემს“,** — ხაზი გაუსვა ლუკაშენკომ და ყველას მოუწოდა, გააცნობიერონ, რომ ბელარუსი სუვერენული სახელმწიფოა.

ბელარუსის პრეზიდენტმა ამ განცხადებით უპასუხა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვრცელ ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა ბელარუსულ პორტალ tut.by-ში. ამ ინტერვიუში ედგარ რინკევიჩმა ვრცლად ისაუბრა რეგიონში არსებულ საფრთხეებზე და თქვა, რომ რიგას აღელვებს მინსკისა და მოსკოვის ინტეგრაციის გაღრმავება.



# გერმანიაში მიგრანტმა 8 წლის ბავშვი მატარებლის ბორბლებში ჩააგდო

**გერმანიაში დაიღუპა 8 წლის ბავშვი, რომელსაც კაცმა ხელი ჰკრა და ჩქაროსნული მატარებლის ქვეშ ჩააგდო, — იუწყება Deutsche Welle.** შემთხვევა ქალაქ ფრანკფურტის რკინიგზის მთავარ სადგურზე მოხდა. გავრცელებული ცნობით, კაცმა 8 წლის ბიჭი ბაქნიდან გადააგდო, რის შემდეგაც ბავშვის დედის გადაგდებასაც შეეცადა. მომხდარის შემდეგ ბოროტმოქმედმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ის თვითმხილველებმა დააკავეს. ის ერითრეის მოქალაქეა.

# ლგბტ პირების თავდასხმების საპასუხოდ აშშ-ში ქრისტიანი კონსერვატორები ჰეტეროსექსუალების აღლუმის ჩატარებას გეგმავენ




**„ჰეტეროსექსუალების პრაიდის ეროვნული კოალიციის“ ბროშურა, რომელიც სოციალურ მედიაში გავრცელდა, ამერიკელებს 24 აგვისტოს კალიფორნიის შტატის ქალაქ მოდესტოში ჰეტეროსექსუალების ღონისძიებაზე იწვევს.**

„ღონისძიებაზე აღინიშნება ჰეტეროსექსუალიზმი, მამაკაცურობა-ქალურობა, ბავშვები — დაბადებული და დასაბადებელი, დასავლური ცივილიზაცია, ჩვენი ქვეყნის მშვენიერება, ქრისტიანობა“, — წერია მოსაწვევ ბროშურაში. ორგანიზატორების აზრით, თეთრკანიანები და ქრისტიანები ბუნებრივად არიან უპირატეს მდგომარეობაში, მაგრამ ლგბტ ადამიანები მათ თავს ესხმიან და სწორედ ამიტომ ატარებენ აღლუმს.





თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22


# ბანკებს ქალები უფრო მეტ ჯარიმას უხდიან, ვიდრე კაცები



გამოცემა „ბლუმბერგმა“ **აშშ-ში საფინანსო ბაზარი შეისწავლა და დაასკვნა, რომ ბანკებს ქალები უფრო მეტ ჯარიმას უხდიან, ვიდრე კაცები. გამოცემამ 500 ათასი ქალის ფინანსური ისტორია გამოიკვლია და გაარკვია, რომ მათ მიერ გადახდილი წლიური ჯარიმა მხოლოდ ოვერდრაფტის შემთხვევაში 214 დოლარს შეადგენს.**

ოვერდრაფტი (მოკლევადიანი კრედიტი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მიიღოს დამატებითი თანხა საბარათე ანგარიშზე და დაფაროს მიმდინარე ხარჯები აღნიშნული ფულადი რესურსით) არის ძირითადი ჯარიმების შემადგენელი ნაწილი. ბანკები ყოველწლიურად მილიარდ დოლარს იღებენ ოვერდრაფტიდან და სხვა ფინანსური ნაკადებიდან.

კვლევამ აჩვენა, რომ კაცების წლიური ჯარიმა ოვერდრაფტით სარგებლობისას 182 დოლარს შეადგენს.

# გეტებორგის ცენტრში მოიმატა მკვლელობის, ძარცვისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემთხვევებმა

**შვედეთის სიდიდით მეორე ქალაქ გეტებორგის მცხოვრებნი ამბობენ, რომ ქალაქის ცენტრში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა, რადგან გახშირდა ნარკოტიკების მოხმარება, ძალადობა და ძარცვა.** ერთი კვირის განმავლობაში ქალაქის ცენტრში ორი ადამიანი დაჭრეს და მოკლეს. ადგილობრივების თქმით, გეტებორგის ცენტრალური უბნები ისეთი საშიში გახდა, რომ ზოგი იქ ღამით მარტო გავლას ერიდება. „ტაქსის“ მძღოლი იმად ელ-სანეჰი, რომელიც იქ 1990 წლიდან მუშაობს, აცხადებს, რომ ქალაქის ცენტრში ახლა მეტი ნარკოტიკი და იარაღია და, 1990-იან წლებთან შედარებით, სიტუაცია გაუარესდა. ადგილობრივები ამბობენ, რომ ქვეითი პატრულის ნაკლებობაა და პოლიციელები, ძირითადად, მანქანებში სხედან. ქალაქის პოლიციის პრესსპიკერმა ტომას ფუქსბორგმა განაცხადა, რომ პოლიციას ქვეითი პატრულის რესურსი, უბრალოდ, არ აქვს და ბოლოდროინდელ პრობლემებში ზაფხული და ახალგაზრდული საფეხბურთო ტურნირი დაადანაშაულა.








# მილოცვა

**სახალხო მკურნალი — ასე იცნობენ ბიჭიკო (ვლადიმერ) ასკურავას, ადამიანს, რომელმაც სხვადასხვა სახის მოტეხილობის სამკურნალო თავისი საგვარეულო რეცეპტით ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც კი. არის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.**

ათწლეულების განმავლობაში ის თავის უნიკალურ მალამოსთან ერთად თავადაც მალამოდ ედებოდა მასთან საშველად მისული ადამიანების სულს, რომელთა შორის სხვადასხვა დროს იყვნენ ვერიკო ანჯაფარიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, კოლაუ ნადირაძე, გურამ დოჩანაშვილი, რეზო ჩხეიძე, რობერტ სტურუა, თენგიზ აბულაძე, იური ლუჟკოვი და მრავალი სხვა ცნობილი ადამიანი.

თავისმა საქმიანობამ ბიჭიკო ასკურავას უამრავი მეგობარი შესძინა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ მისთვის სულ სხვა ფასი აქვს იმ სიყრმის მეგობრებს, რომლებისთვისაც ის მხოლოდ ძმაა და, უბრალოდ, ბიჭიკო — ულალატო და ერთგული ადამიანი.

ჩემო ბიჭიკო!

სწორედ ამ ადამიანების სახელით მინდა მოგილოცო 80 წლის იუბილე, გისურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, წარმატებები და ბედნიერება შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

**ამირან სვანიძე**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**








სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894